

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები

ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი

ეკა აკობია, რატი თვალავაძე, მარიამ ტარასაშვილი, ლაშა კაკაშვილი, თათია მოსიძე



| გამოცემა



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2021



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY



საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები:
ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღისწესრიგი

INTERNATIONAL RELATIONS THEORIES:
CORE LITERATURE AND CONTEMPORARY RESEARCH AGENDA

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

სახელმწიფო მართვის სკოლის ელექტრონული გამოცემა, N1
SCHOOL OF GOVERNANCE E-PUBLICATION, N1

თბილისი, 2021
TBILISI, 2021

ელექტრონული გამოცემა მზადდება კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის ბაზაზე და აქვს ორი მიმართულება:

Electronic Publication is published by the Caucasus University School of Governance and has two thematic directions:

საერთაშორისო ურთიერთობები / International Relations

საჯარო მმართველობა / Public Administration

გამოცემის რედაქტორი: ეკა აკობია, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

Issue Editor: Eka Akobia, PHD in International Relations

ნომრის კონტრიბუტორები / Issue Contributors:

- ეკა აკობია / Eka Akobia
- რატი თვალავაძე / Rati Tvalvadze
- მარიამ ტარასაშვილი / Mariam Tarasashvili
- ლაშა კაკაშვილი / Lasha Kakashvili
- თათია მოსიძე / Tatia Mosidze

დაკაბადონება და დიზაინი: ლაშა ჩილინდრიშვილი

Typesetter and Designer: Lasha Chilindrishvili

კავკასიის უნივერსიტეტი, 2021

Caucasus University, 2021

ISBN: 978-9941-9746-2-5

პ. სააკაძის ქ. #1

Paata Saakadze st. #1

ქ. თბილისი, საქართველო, 0102

Tbilisi, Georgia, 0102

საკონტაქტო ელ. ფოსტა/contact email: csgepublications@cu.edu.ge

ვებ-გვერდი/Internet page: www.cu.edu.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის რაობა: საორიენტაციო გზამკვლევი ეკა აკობია	7
ნეორეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში რატი თვალავაძე	28
კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში მარიამ ტარასაშვილი	46
დემოკრატიული მშვიდობის თეორია: თანამედროვე კვლევები ლაშა კაკაშვილი	64
უსაფრთხოების კვლევები (კოპენჰაგენის სკოლა): თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი თათია მოსიძე	82

წინასიტყვაობა



და ტენდენციებზე ფოკუსირებული სასწავლო და კვლევითი პროცესი. მიმდინარე კვლევითი დღისწესრიგის გაღრმავებისა და გაფართოვების პროცესი.

ქვეყანაში თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევებისა და ანალიზის პრაქტიკის გაძლიერებისთვის სახელმწიფო მართვის სკოლა ლექტორებისა და სტუდენტების ჩართულობით იწყებს ელექტრონულ პუბლიკაციათა სერიას, რომელსაც ექნება ორი თემატური მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები და საჯარო მმართველობა. სკოლის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და ახალგაზრდა პრაქტიკოსებს გამოაქვეყნონ პუბლიკაციები, რათა, ერთის მხრივ, განვიითარონ კვლევითი უნარები და მეორეს მხრივ, წვლილი შეიტანონ საქართველოში აღნიშნული მიმართულებების პოპულარიზაციაში, კლასიკური თუ თანამედროვე ტენდენციების ამსახველი ლიტერატურის გაშუქებითა და მიმდინარე საერთაშორისო თუ საჯარო პოლიტიკის მოვლენების ანალიზით.

პირველი ელექტრონული პუბლიკაცია ეძღვნება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის რაობას და მოწინავე თეორიების: ნეორეალიზმის, კონსტრუქტივიზმის, ლიბერალიზმისა და უსაფრთხოების კვლევების ანალიტიკურ ლიტერატურის მიმოხილვას. ამ გამოცემის მიზანია, გაზარდოს ქართულ ენაზე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ლიტერატურის შესახებ ცოდნის ხელმისაწვდომობა და დარგის სტუდენტებს გაუღვივოს მეტი ინტერესი აკადემიური პირველწყაროებისადმი. პირველი გამოცემისთვის იდეა სადოქტორო კურსის - „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ ფარგლებში დაიბადა. იმედი გვაქვს, გამოცემა წვლილს შეიტანს საქართველოში საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე საერთაშორისო პოლიტიკის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

მსურს, მადლობა გადავუხადო და წარმატება ვუსურვო პირველი გამოცემის კონტრიბუტორებს, რომლებმაც დიდი მონდომებით იმუშავეს პუბლიკაციაზე და განმსჭვალული იყვნენ სურვილით, ხელი შეუწყონ საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დისციპლინის პოპულარიზაციას საქართველოში.

მოუთმენლად ველით მომავალ ავტორებთან თანამშრომლობას და სკოლის ელექტრონულ პუბლიკაციათა სერიის თემატურ გაფართოებას.

ეკა აკობია

სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი

ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის რაობა: საორიენტაციო გზამკვლევი

ეკა აკობია

დეკანი, ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი

1. შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიათა სამყარო აირეკლავს შესასწავლი სფეროს - საერთაშორისო პოლიტიკის - კომპლექსურობასა და მულტი-სექტორულ ბუნებას, რომელშიც გადაჯაჭვულია ერთი მხრივ, პოლიტიკა, უსაფრთხოება, ეკონომიკა, სამართალი, ეკოლოგია, რელიგია თუ მრავალი სხვა მიმართულება და მეორეს მხრივ, ლიდერების, სახელმწიფოების, ერებისა და ეთნოსების, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა მრავალი აქტორის ქმედებები და ინტერესები, შეზღუდული რესურსების გარემოში. აღნიშნულ სექტორებსა და აქტორებს შორის ურთიერთქმედება ქმნის საერთაშორისო პოლიტიკის მუდმივად ცვალებად და მრავალგანზომილებიან ლანდშაფტს. ამგვარი კომპლექსურობის გამო არ არსებობს საერთაშორისო პოლიტიკის ერთი, უნივერსალური თეორია, არამედ, დისციპლინაში წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობების მრავალი თეორია, განსხვავებული კვლევის ფოკუსითა და პროგნოზით. იმისთვის, რომ სწორად ორიენტირდეს სტუდენტი სუ-ს თეორიულ მენიუში, მნიშვნელოვანია მხედველობაში ჰქონდეს თეორიასთან დაკავშირებული ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, მეთოდოლოგია და ანალიზის დონე და სხვა მეცნიერების ფილოსოფიასთან დაკავშირებული საკითხი. ამ წინარე თეორიული გარემოებების შეცნობის გარეშე, სტუდენტსა თუ მკვლევარს გაუჭირდება სწორად შეარჩიოს თეორია მისთვის საინტერესო მოვლენის ასახსნელად, ხოლო ანალიზის დონის და საჭირო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით შერჩეული თეორიული ჩარჩო ვერ გაგვიყვანს ღირებულ ანალიზზე. წინამდებარე თავის ამოცანაა, გააშუქოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მნიშვნელობა, განვითარების ისტორია და ძირითადი კრიტერიუმები, რაც მხედველობაში უნდა გვქონდეს თეორიული ანალიზის მცდელობისას.

2. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განმარტება და რაობა

ყოველდღიური გამოცენებისას სიტყვა „თეორია“ ხშირად ნიშნავს ინტუიტიურ მოსაზრებას მოვლენის ან მოვლენათა რიგის შესახებ. საუბრისას მოაზრებული „თეორია“ რაიმე მოვლენის შესახებ არ ეყრდნობა კონკრეტულ და გადამოწმებულ მტკიცებულებებს. მეცნიერებაში კი თეორიას სრულიად საპირისპირო მნიშვნელობა აქვს. თეორია არის კარგად დასაბუთებული ახსნა შესასწავლ გარემოში არსებული ფენომენის

ან ქცევის განმეორებითი ფორმის შესახებ. თეორია შეიძლება მოიცავდეს კანონებს (ემპირიულად დადასტურებული ჰიპოთეზა), ჰიპოთეზას (მიზგზ-შედგობრივი ვარაუდი, რომელიც საჭიროებს შემოწმებას) და ფაქტებს (ემპირიულად დაკვირვებადი მონაცემები). თეორიის მთავარი დანიშნულება არის ფაქტების ახსნა და აქედან გამომდინარე პროგნოზირება, რას შეიძლება ველოდოთ მომავალში. სამეცნიერო თეორია უნდა იყოს შემოწმებადი. თუ ახალი მტკიცებულებები ადასტურებენ თეორიის ძირითად პოსტულატს, ეს ნიშნავს, რომ თეორია მძლავრია. თუ ახალი მტკიცებულებები/ფაქტები წინააღმდეგობაში მოდიან თეორიის ცენტრალურ ელემენტთან, ესეიგი საჭიროა თეორიის რევიზია.

თეორიის დანიშნულებაში გასარკვევად სასარგებლოა ჰოლიდის მოსაზრების განხილვა იმაზე, თუ რატომ გვჭირდება მაინცდამაინც თეორია საერთაშორისო პოლიტიკაში: 1) უნდა არსებობდეს წინასწარი კონცეფცია იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ფაქტი არის ძალიან ბევრი. უნდა გვეჩვენოს ფაქტის მნიშვნელოვნობის კრიტერიუმი. 2) თითოეულ ფაქტს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ინტერპრეტაცია. 3) ადამიანებს არ აკმაყოფილებთ მხოლოდ ფაქტები. ყოველთვის აღიძვრება კითხვები მორალზე, სწორზე და არასწორზე და ა. შ. ამ კითხვებზე პასუხს გვცემენ თეორიები და არა ფაქტები.

გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიას დღესდღეობით მრავალი სინონიმი აქვს. მაგალითად, ურთიერთთანაცვლებადად გამოიყენება თეორია, პარადიგმა, პერსპექტივა, დისკურსი, აზროვნების სკოლა, ხედვა და ტრადიცია. ზოგიერთი დასახელება უშუალოდ თეორიული სკოლის სამეცნიერო ფილოსოფიით არის განპირობებული. მაგალითად, კონსტრუქტივიზმი დისკურსს ანიჭებს უპირატესობას, რადგან მეტყველების აქტს პოლიტიკური პროცესის ნაწილად განიხილავს, ხოლო უფრო პოზიტივისტური თეორიები, მაგ. ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი, უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს თეორია და პარადიგმა. ხშირ შემთხვევაში კი ტერმინების მრავალფეროვნება კონკრეტული ავტორების ან სარედაქციო ჯგუფის არჩევანია კონკრეტული სახელმძღვანელოსთვის (მაგ. ვიოტი და კაუპი თეორიულ სკოლებს იმიჯებს უწოდებენ).

დისციპლინაში მრავალფეროვნება არსებობს თეორიის დანიშნულების გაგების კუთხითაც, ამიტომ სასარგებლოა ვიცოდეთ განსხვავებული ხედვები და განმარტებები. უოლცი მას განმარტავს როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოთა ქცევის განმეორებითი ფორმების ამხსნელს, სადაც ახსნა არის მთავარი დანიშნულება. ამის საპირისპიროდ, კრიტიკული სკოლა საერთაშორისო ურთიერთობებში ნაკლებად არის დაინტერესებული საერთაშორისო პოლიტიკაში ქცევის განმეორებადი ფორმებით და მათი ახსნით, რადგან კონსტრუქტივიზმის მსგავსად, თვლის, რომ ქცევები და ნორმები, შესაბამისად მასთან დაკავშირებული ინსტიტუტები, ცვალებადია, ამიტომ თეორიის დანიშნულებას ხედავს დომინაციის ფორმებისა და იმ ხედვების კრიტიკაში, რომლებიც სოციალურად კონსტრუირებულ და მაშასადამე პოტენციურად ცვალებად ქცევას წარმოაჩენენ როგორც ბუნებრივსა და უცვლელს. მაგალითად, კრიტიკული თეორია და ნაწილობრივ კონსტრუქტივიზმი, სწორედ ნეორეალიზმის მთავარი თეორიული დაშვებების წინააღმდეგ ილაშქრებენ და მიაჩნიათ, რომ რეალიზმს, განსაკუთრებით სტრუქტურულ რეალიზმს, აქვს ტენდენცია ფუნქციონირებდეს როგორც თვით-აღსრულებადი წინასწარმეტყველება (ინგლ. self-fulfilling prophecy), რაც გულისხმობს იმას, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ძლიერია რეალიზმის წინასწარი თეორიული დაშვების - თითქოსდა გარკვეული რიგის ქცევები ბუნებრივად დომინირებენ ადამიანებისა თუ სახელმწიფოს ქმედებებში - როლი (მაგ. მტაცებლობა, თვითდახმარებითობა, ომი როგორც პოლიტიკის ბუნებრივი გაგრძელება და ა. შ.). ამ

ინტერპრეტივისტულ მიდგომებს უფრო ის აინტერესებთ, როგორ უნდა განთავისუფლდეს დისციპლინა და კაცობრიობა ამ აზროვნებაში ჩაშენებული პარადიგმებისგან და ასეთი გზების ძიებაში ხედავენ თეორიის როლს. მეორეს მხრივ, ასეთ მცდელობას რეალიზმი უტოპიზმად და სასურველის რეალობად წარმოიჩინად განიხილავს. დისციპლინაში გვხვდება ასევე ნორმატიული თეორიები, რომლებიც ორიენტირებული არიან არა მომხდარის ახსნაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული სამყარო უფრო მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის და თეორიის სარგებელს ხედავენ იმის გაანალიზებაში, თუ როგორ არის შესაძლებელი ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის განპირობება და დაცვა.

ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ თეორეტიკაციას საერთაშორისო ურთიერთობებში კომპლექსური რეალობის გამარტივებისა და ახსნის მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ამას გარდა, ქვევით აღვწერთ, როგორ წარმოიშვა მე-20 საუკუნეში ეს აკადემიური დისციპლინა და მოიპოვა ავტონომიური მეცნიერების სტატუსი სწორედ თეორიული ნაშრომების საფუძველზე.

3. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარება

ბევრი სხვა მეცნიერებისგან განსხვავებით, საერთაშორისო ურთიერთობები ახალი დისციპლინაა და სულ ერთი საუკუნეა არსებობს. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა და საერთაშორისო დიპლომატია უხსოვარი დროიდან არის კაცობრიობის განვითარების შემადგენელი ნაწილი, მე-20 საუკუნის 20-ან წლებამდე არ არსებობდა საერთაშორისო პოლიტიკის ერთიანი და ავტონომიური აკადემიური დარგი. აღნიშნულ პრობლემატიკას აშუქებს მარტინ უაითი თავის 1960 წლის კლასიკურ ნაშრომში „რატომ არ არსებობს საერთაშორისო თეორია?“ იგი მიმოიხილავს საერთაშორისო პოლიტიკის თეორეტიკაციის განვითარებას და აღნიშნავს, რომ ის პოლიტიკური თეორიისა და საერთაშორისო სამართლის ჩრდილში დაიბადა. მისი აზრით, „თუ პოლიტიკური თეორია სახელმწიფოს შესახებ სპეკულაციის ტრადიციაა, მაშინ საერთაშორისო თეორია შეიძლება ითქვას, რომ არის სახელმწიფოთა საზოგადოების ან ერთა ოჯახის ან საერთაშორისო საზოგადოების შესახებ სპეკულაციების ტრადიცია“¹ (1960, 36).

უაითის აზრით 1914 წლამდე პერიოდის წყაროები, რომლებშიც ვპოულობთ საერთაშორისო თეორიის რაიმე ნიშანსვეტს, ოთხ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: 1) ირენისტების² ნაშრომები - ერაზმუსი, სალი, კამპანელა, კრუჩე, პენი, აბატი სენტ პიერიდან და სხვები. თუმცა, ამ ნაშრომებში არ არის წარმოდგენილი სრულფასოვანი საერთაშორისო თეორია, არამედ ძირითადად ეხებიან სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ფორმებს; 2) მაკიაველისტები, ანუ ავტორები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდნენ, თუმცა ამა თუ იმ ფორმით ეხმიანებოდნენ სახელმწიფო ინტერესების - *raison d'état* - თემას. მაგალითად, სახელმწიფო მოღვაწეებიდან ფრიდრიხ დიდი, ფილოსოფიიდან ჰეგელი, ისტორიკოსებიდან რანკე და სხვები; 3) პოლიტიკური ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების ნაშრომებიდან ცალკეული ამონარიდები. მაგალითად, ჰიუმის ესე „ძალთა ბალანსის შესახებ“, რუსოს სამუდამო მშვიდობის პროექტი, ბენტამის უნივერსალური

1. მოელს ტექსტი სხვადასხვა პირველწყაროდან შერჩეული ციტატების თარგმანი და პარაფრაზი ქართულ ენაზე ეკუთვნის წინამდებარე თავის ავტორს.

2. ირენიზმი ქრისტიანულ თეოლოგიაში გულისხმობს ქრისტიანული სისტემების გაერთიანების მცდელობებს, გონის/რაციონალურობის მთავარ ატრიბუტად გამოყენების მშველით. მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „eirene“ რაც ნიშნავს მშვიდობას. ირენისტებში აერთიანებენ სასულიერო ლიტერატურას, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიის, ვისივე ან რისივე დაცვას, გამართლებას, აპოლოგეტიკას. ადრინდელი ირენისტების ძირითადი საქმიანობა იყო სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობების გაერთიანება, ხოლო უფრო თანამედროვე გამოყენებით ირენიზმი გულისხმობს იდეალისტურ და პაციფისტურ მოძღვრებებს, როგორიცაა მშვიდობის თეორიები.

მშვიდობის გეგმა, ბურკის მოსაზრებები საფრანგეთის საგარეო ურთიერთობებზე და წერილები მშვიდობაზე, რანკეს ესე დიდ სახელმწიფოებზე და ჯ. მილის ესე ერთა კანონებზე. უაითის აზრით ამ გამოჩენილ ავტორთა შორის მხოლოდ ბურკმა განიცადა სრული ტრანზიცია პოლიტიკური თეორიიდან საერთაშორისო თეორიაში. 4) ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეებისა და დიპლომატების გამოსვლები, მოხსენებები, მემუარები და ესეები. მაგალითად, ჯორჯ ქანინგის 1923 წლის მოხსენება, რომელმაც გავლენა მოახდინა ბრიტანული საგარეო პოლიტიკის შემდგომ თაობებზე, ბისმარკის მემუარები „ფიქრები და მემუარები“ (Gedanken und Erinnerungen) და ლორდ სალისბურის ადრეული ნამუშევრები საგარეო პოლიტიკაზე ჟურნალ „Quarterly Review“-დან (1960, 37-38).

ფუნდამენტური ისტორიული ლიტერატურული საწყისების არ ქონის გარდა უაითი იმასაც აღნიშნავს, რომ საერთაშორისო თეორეტიზაცია მე-16 საუკუნის შემდგომი პერიოდის ისეთმა ისტორიულმა მოვლენებმაც კი არ წარმოშვა, რომლებიც მასშტაბით გლობალური გავლენისა იყვნენ. მაგალითად, სახელმწიფოთა საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ისეთმა ისტორიულმა პროცესებმა, როგორიც იყო რეფორმაცია, კონტრ-რეფორმაცია, საფრანგეთის რევოლუცია და ტოტალიტარული რევოლუციები. თუმცა, არც ერთ ამ ფუნდამენტურ პროცესთან არ არის დაკავშირებული საერთაშორისო თეორია. რეფორმაცია და კონტრ-რეფორმაცია დაკავშირებული იყო სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთმიმართების საკითხებთან, საფრანგეთის რევოლუცია უშუალოდ სახელმწიფოსთან, კომუნიზმი და ფაშიზმი სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან (1960, 41).

უაითი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური თეორიის კლასიკური ნაშრომები პოლიტიკის ფილოსოფოსებს ეკუთვნის, საერთაშორისო თეორიის კლასიკური ტექსტი კი ისტორიკოსი თუკიდიდეს ნაშრომთანაა დაკავშირებული. საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებული დიპლომატიური საქმიანობის შესახებ კი ძირითადად ისტორიულ ტექსტებში ვკითხულობთ (1960, 48). უაითის აზრით, მე-20 საუკუნემდე საერთაშორისო თეორიას ახასიათებდა ინტელექტუალური და მორალური სიღარიბე, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო მე-16 საუკუნიდან მოყოლებული საერთაშორისო საზოგადოების იმგვარი ორგანიზებით, რომელშიც საზოგადოების ძირითად აქტორებად მხოლოდ სუვერენები (პრინცები, მეფეები) განიხილებოდნენ (იქვე, 38).

მთლიანობაში, უაითი საერთაშორისო თეორიას უწოდებს თეორიას გადარჩენის შესახებ. ის, რაც პოლიტიკის ფილოსოფოსისთვის ექსტრემალური შემთხვევაა (რევოლუცია, სამოქალაქო ომი) ჩვეულებრივი მოვლენაა საერთაშორისო თეორიისთვის (მაგ. ომი, ინტერვენცია, უსაფრთხოება, განიარაღება, ბირთვული შეკავება). „საერთაშორისო უსაფრთხოება მოიცავს სიკვდილისა და სიცოცხლის, ეროვნული არსებობისა და გადაშენების საკითხებს“ (გვ. 48). მოგვიანებით, ამავე სათაურის წიგნში, უაითი აღნიშნავს, რომ საუკუნეების მანძილზე საშინაო პოლიტიკურმა სისტემებმა განიცადეს ექსტრაორდინალური ცვლილებები. პოლიტიკური თეორია ვითარდებოდა, რათა ეპასუხა კარგი ცხოვრების მოთხოვნებისთვის. მისი ძირითადი თვისებების მიხედვით კი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა თითქმის არ შეცვლილა და წარმოადგენს მოვლენათა „გამეორების“ სფეროს, რის გამოც საერთაშორისო თეორია ჯერ კიდევ მიჯაჭვულია გადარჩენის (survival) საკითხებზე (1966).

ადრინდელი თეორიული სიმწირის მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობები აღმოცენდა როგორც თეორიული დისციპლინა, როგორც რეაქცია პირველ მსოფლიო ომზე, რის შემდგომაც მსოფლიოში უმთავრეს

კითხვად დაისვა საკითხი - კაცობრიობამ როგორ უნდა აირიდოს თავიდან საზარელი ომები. საერთაშორისო პოლიტიკა მანამდეც ისწავლებოდა, მაგრამ მეტწილად სხვადასხვა დისციპლინის კონტექსტში. 1919 წლიდან კი პირველი კათედრა (chair) გაიხსნა უელსის უნივერსიტეტში, აბერისტეიტში, რასაც მოჰყვა საერთაშორისო ურთიერთობების სხვა კათედრების დაარსება დიდ ბრიტანეთსა თუ აშშ-ში. იმ დროის მოაზროვნეები (მაგალითად, სერ ალფრედ ციმერნი და ნოელ ბეკერი) ავითარებდნენ ჰიპოთეზას, რომ ომი თავიდან იქნებოდა არიდებული, თუკი ძალთა ბალანსის სისტემას ჩაანაცვლებდა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა. ამ „ინტერნაციონალისტურ“ იდეებს ემხრობოდა ამერიკელი ინდუსტრიალისტი და ფილანტროპი, ენდრიუ კარნეგი, რომელმაც იდეის მხარდასაჭერად 1910 წელს დაარსა სპეციალური ფონდი, გადასცა რა 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის უძრავი ქონების ფასიანი ქაღალდებით დენომინირებული სიმდიდრე, ხოლო მათზე ყოველწლიურად დარიცხული სარგებლის განკარგვის უფლება მისცა ფონდის ეგიდით დაარსებულ ანალიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც „კარნეგის ფონდი საერთაშორისო მშვიდობისათვის“ და დღემდე წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბის გავლენიან არასამთავრობო ანალიტიკურ ორგანიზაციას. იდეალისტური შეხედულებები გაზიარებული იყო უმაღლეს პოლიტიკურ წრეებშიც. აშშ-ის პრეზიდენტმა, ვუდრო უილსონმა სპეციალური კამპანია აწარმოა, რათა დაერწმუნებინა ევროპის სახელმწიფოები შეექმნათ მშვიდობისა და უსაფრთხოების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც, რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, კონგრესის წინააღმდეგობის გამო არ შეუერთდა თავად აშშ-ი. ხანგრძლივი ევროპული ტურნედან დაბრუნებულმა უილსონმა ვერ მოახერხა კონგრესის დარწმუნება. 55-დღიანი განხილვების შემდგომ, სენატმა ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი, რომლის ნაწილიც იყო ერთა ლიგის შექმნა, ჩააგდო, 38 ხმით 55-ის წინააღმდეგ.

ერთა ლიგისა და კოლექტიური უსაფრთხოების კრახად შეფასდა ოც წელიწადში განმეორებული მეორე დამანგრეველი მსოფლიო ომი, რამაც საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ახალი პრობლემატიკა წარმოშვა: არამართო ომისა და მშვიდობის საკითხები დარჩა დისციპლინის კვლევითი დღისწესრიგის ცენტრალური „თავსატეხი“, არამედ გამოწვევად დაინახეს სწორი თეორეტიზაციის მნიშვნელობა და თეორიული ხედვების გავლენის საკითხი პოლიტიკის რეალურ სამყაროზე. ედუარდ ქარის და სხვების ნაშრომებში მიჩნეულ იქნა, რომ ომამდე არსებულმა „უტოპისტურმა“ და „იდეალისტურმა“ ხედვამ საერთაშორისო პოლიტიკაში მშვიდობის შანსებისა და გზების შესახებ შეცდომაში შეიყვანა გადაწყვეტილების მიმღებნი, შენიღბა რა ძლისმიერი პოლიტიკის ნამდვილი ბუნება, რითიც დამახინჯდა რეალობის აღქმა და გზა გაეხსნა „დაყვავების“ პოლიტიკებს, რამაც მსოფლიო მეორედ მიიყვანა ოპორტუნისტული ექსპანსიით გამოწვეულ დამანგრეველ შედეგამდე.

ედუარდ ჰალეტ ქარის წიგნმა - „ოცწლიანი კრიზისი“ (პირველად გამოქვეყნდა 1939 წელს) და ჰანს იოაკიმ მორგენტაუს წიგნმა „პოლიტიკა ერებს შორის“ (პირველად გამოქვეყნდა 1948 წელს) სათავე დაუდეს, ერთის მხრივ, რეალიზმის სკოლას საერთაშორისო ურთიერთობებში და მეორეს მხრივ, საფუძველი ჩაუყარეს საერთაშორისო პოლიტიკის, როგორც ავტონომიური აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბების იდეას. მორგენტაუს პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპის მეორე პრინციპში ვკითხულობთ: „მთავარი ნიშანსვეტი, რომელიც საშუალებას აძლევს პოლიტიკურ რეალიზმს საერთაშორისო პოლიტიკის ლანდშაფტში გაიკვლიოს გზა, არის ძალის კონტექსტში განმარტებული ინტერესის კონცეფცია... ეს განსაზღვრავს პოლიტიკის სფეროს ავტონომიურობას სხვა სფეროებისგან, როგორიცაა ეკონომიკა (სადაც ინტერესი განსაზღვრულია

სიმდიდრის კონტექსტში), ეთიკა, ესთეტიკა ან რელიგია. ამგვარი კონცეფციის გარეშე, პოლიტიკის თეორია, საერთაშორისო თუ საშინაო, საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მის გარეშე ვერ განვასხვავებდით პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ფაქტებს და ვერც სისტემური წესრიგის მინიმუმს უზრუნველყოფდით პოლიტიკის სფეროში“ (Morgenthau, 1948).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ში ახლად შექმნილი გლობალური დომინაციის ამოცანების რეალიზაციის და პასუხისმგებლობის გაზიარების სამსახურში ჩააყენეს მეცნიერების ყველა დარგი, მათ შორის პოლიტიკური მეცნიერებები. ამ პროცესს მფარველი გამოუჩნდა ამერიკელი ბიზნესმენისა და ფილანტროპის, ჯონ როკფელერის სახით, რომლის დაარსებული ფონდი განათლების სხვადასხვა დარგის განვითარებაში უზარმაზარ რესურსს დებდა და წვლილი შეჰქონდა ამერიკული სახელმწიფოს და ასევე გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში.

როკფელერის ფონდის საქმიანობის 1954 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სოციალურ მეცნიერებებს ფონდმა იმ კონკრეტულ წელს ჯამში 2,992,030 აშშ დოლარი გამოუყო. ამ დახმარების მიზანი გახლდათ დარგის საუკეთესო მეცნიერების ცოდნის და გამოცდილების ჩაყენება „გადაჩენისა და თავისუფალი საზოგადოებების გაძლიერების“ საქმეში (Rokefeller Foundation, 1956, 230). რეპორტში ვკითხულობთ, რომ მხარდაჭერა მიზნად ისახავდა „თავისუფალი ეკონომიკის, დემოკრატიული საზოგადოებებისა და მთავრობების მძლავრ ფუნქციონირებას და პროდუქტიული და ჰარმონიული ურთიერთობების ხელშეწყობას ამგვარ თავისუფალ ეკონომიკებს, საზოგადოებებსა და მთავრობებს შორის“ (იქვე).

იმ წლებში ბევრი მეცნიერი ჯერ კიდევ არ ემხრობოდა პოლიტიკის ავტონომიურ და სამეცნიერო კვლევით სფეროდ ჩამოყალიბებას, ისევე როგორც არ იყო თანხმობა კვლევის მეთოდზე. სწორედ როკფელერის ფონდის მასპინძლობით, 1954 წელს შეიკრიბა დიდი სამეცნიერო კონფერენცია კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც იყო მცდელობა ანალიზისა და მეთოდების ერთიანობის მიღწევისთვის ამ დარგში. პოზიტივისტებსა (აშშ-ი) და ტრადიციონალისტებს შორის (ევროპა, ავსტრალია) მიდგომებში განსხვავებების გამო ეს კონფერენცია ჩაიშალა, თუმცა, ისტორიული თვალსაზრისით ფასდება, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. ამის შემდგომ, ამერიკული სკოლა (უილიამ ფოქსი, ჰანს მორგენტაუ, რაინოლდ ნიბური და იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კენეთ უოლცი) დიდწილად ჩამოშორდა თეორიის კონტინენტურ გაგებას და განვითარდა როგორც ბიჰევიორალისტური (პოზიტივისტური) მიდგომა, ხოლო დიდ ბრიტანეთში განვითარდა ე. წ. ინგლისური სკოლა (ჰერბერტ ბატერფილდი, ჰედლი ბული, მარტინ უაითი, ადამ უოტსონი და სხვები), რომლებიც ემხრობოდნენ საერთაშორისო პოლიტიკაში მოვლენების განვითარების და ისტორიის მეშვეობით დასკვნების გამოტანას და ეწინააღმდეგებოდნენ პოზიტივიზმის „დეგენერაციულ“, ფაქტების გაბომვებაზე ორიენტირებულ და მშრალ, ჩარჩოებში ჩასმულ მიდგომას. ეს დიქტომია გარკვეულწილად დღემდე ნარჩუნდება: „ინგლისურ სკოლას“ მეტად აინტერესებს სახელმწიფოთა საზოგადოება და ის ნორმები და ფასეულობები, რაც აყალიბებს სისტემას საზოგადოებად, ხოლო ამერიკულ სკოლას მეტად აინტერესებს სახელმწიფოთა სისტემა და სისტემური თეორია, ხოლო მისი ძირითადი ავტორები სისტემის ცვლილებას, როგორც შესაძლო მოვლენას გამორიცხავენ, იმ დრომდე, სანამ არსებობენ სუვერენული სახელმწიფოები მსოფლიო მთავრობის გარეშე.

მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უპრიანია დეტალურად შევეცხოთ საერთაშორისო ურთიერთობებში

პოზიტივისტური მიდგომის საფუძველზე სტრუქტურული თეორიის განვითარების საწყისებს.

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის მეცნიერულ საწყისებზე გადაყვანა და სუ თეორიის განვითარება დაკავშირებულია ამერიკელი პოლიტიკის მეცნიერის კენეთ ნილ უოლცის (1923-2013) სახელთან და კონკრეტულად მის 1979 წლის ნაშრომთან „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“. აღნიშნული წიგნი არის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული სავალდებულო საკითხავი. წიგნში განვითარებულია პოლიტიკური რეალიზმის იმ დროისთვის ახალი თეორია - სტრუქტურული რეალიზმი, იგივე ნეორეალიზმი. უოლცი აღიარებულია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილის მქონე მეცნიერი. „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ წარმოადგენს არა მარტო მძლავრ სიტყვას დისციპლინაში, არამედ დღემდე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერთა ახალ თაობებზე. მეცნიერების ნაწილი აგრძელებს ნეორეალიზმის კვლევით დღისწესრიგს, ნაწილი განავრცობს და განავითარებს მას, ნაწილი კი ნეორეალიზმის მწვავე კრიტიკით არის დაკავებული. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ნაშრომი დღემდე არის გაცხოველებული შესწავლისა და კრიტიკის საგანი, ერთგვარად ამ წიგნში გამოთქმული მოსაზრებების მნიშვნელობის დადასტურებაც არის.

უშუალოდ რეალიზმის სკოლას და კონკრეტულად ნეორეალიზმის თეორიას ამ პუბლიკაციის მეორე თავი ეხება. აქ კი უოლცის გავლენიანი წიგნიდან დეტალურად გავაშუქებთ მის მოსაზრებებს თეორიაზე, ჰიპოთეზის შემოწმების სამეცნიერო გზებზე და ახალი, სტრუქტურული, ანუ სისტემური თეორიის შექმნის მნიშვნელობაზე საერთაშორისო პოლიტიკის მეცნიერული შესწავლისთვის.

უოლცის წიგნის პირველი თავი კანონებისა და თეორიების ურთიერთმიმართებას ეხება. მისი აზრით, თეორია განსხვავდება სამეცნიერო კანონისგან ან კანონის მაგვარი მოსაზრებისგან. ეს უკანანსკნელი მხოლოდ აღწერს კავშირს ცვლადებს შორის. თეორია კი ხსნის ფენომენს ან ურთიერთკავშირს, რომელსაც აღწერს კანონი ან კანონის მსგავსი მოსაზრება. უოლცი აღნიშნავს, რომ რაც არ უნდა ზუსტად აღვწეროთ მოვლენა რიცხვებით, ეს არ არის იგივე რაც აღწერის ახსნა. ეს მხოლოდ ინდუქციური³ ილუზიაა, თითქოს შესაძლებელია მივიღეთ ჭეშმარიტებამდე უფრო მეტი ფაქტის აღწერით და მეტი მონაცემის შეგროვებით. მხოლოდ მონაცემები არაფერს არ გვეუბნება თუ არ გვაქვს იდეა, თეორია, იმის შესახებ, თუ როგორ ავსხნათ ეს მონაცემები. მაგალითად, ელვა და ქუხილი ერთად ხდება, მაგრამ რატომ იწვევს ერთი მეორეს, ამის ასახსნელად თეორია გვჭირდება. ისევე როგორც ხმის სიჩქარე და სინათლის სიჩქარე განსხვავდება, მაგრამ მათ შორის ურთიერთკავშირის გასაგებად გვჭირდება თეორია (1979, 4). საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში კი გვჭირდება თეორია სახელმწიფოთა ქცევის ისტორიულად ხშირად გამეორებად ქცევის ფორმებზე, როგორიცაა ომის წარმოება, დაბრუნება, კავშირების შექმნა, უნდობლობა, შპიონაჟი და მრავალი სხვა.

თავის მხრივ, თეორია უნდა შეიქმნას, გამოგონებულ იქნას. თეორიული ვარაუდი (theoretical assumption) არ არის მთელი თეორია, არამედ მხოლოდ დაშვება. მაგალითად, როდესაც სახელმწიფოებს წარმოვიდგენთ როგორც აქტორს საერთაშორისო ურთიერთობებში, ეს არის თეორიული დაშვება. სახელმწიფოები არ ფიქრობენ და მოქმედებენ, არამედ ფიქრობენ და მოქმედებენ ლიდერები. ამ დაშვებით ვამარტივებთ რეალობას, რათა დასკვნები გამოვიტანოთ ფართო სურათზე - სახელმწიფოთა ქცევის დროში განმეორებად ფორმებზე

3. ინდუქცია არის სამეცნიერო ხერხი, რომლის დროსაც ვაკვირდებით ინდივიდუალურ ფაქტებს და შემდგომ ვახდენთ გენერალიზაციას. ე. წ. ქვევიდან ზევით მიდგომა.

და ვდისტანცირდეთ თითოეული ლიდერისა და მთავრობის ათასობით გადაწყვეტილების დეტალებისგან, რათა შევძლოთ დავინახოთ არა ყოველწამიერი პროცესი, თუ რა ხდება პოლიტიკაში (რაც უფრო ისტორიის საგანია), არამედ ის ფართო მოვლენები, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო პოლიტიკის დიდ სურათს. თეორია და აბსტრაქცია მნიშვნელოვანია კომპლექსური რეალობის გასამარტივებლად (იქვე, 4-5).

უოლცის აზრით თეორიის როლი არის არა ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის ქონა, არამედ ის, რომ იყოს სასარგებლო ინსტრუმენტი ახსნისთვის. რეალიზმი რეალობის ზუსტი აღწერა კი არ უნდა იყოს, არამედ კარგი ახსნა, როგორ მუშაობს საერთაშორისო პოლიტიკა. თეორია სუ-ში სასარგებლოა იმიტომ, რომ ამარტივებს რთულ რეალობას. სხვაგვარად, გვექნებოდა რთული და მრავალგანზომილებიანი რეალობა, რომელსაც ვერ ავხსნიდით (იქვე, 6).

აქიდანვე გამომდინარეობს უოლცის შემდეგი მიდგომა: თეორიები პირდაპირ ფაქტებით ვერ გაბათილდება, არამედ სხვა, უკეთესი თეორიით. უკეთესი თეორიის გამოსავლენად უოლცი ორ კრიტერიუმს განიხილავს: 1) თეორია, რომელიც უკეთ ხსნის მოვლენას, ვიდრე მიმდინარე თეორია ან 2) თეორია, რომელიც ხსნის თანაბრად კარგად, მაგრამ უფრო მარტივად (ე. წ. ოკამის სამართებლის პრინციპი) ან ორივე ერთად - ხსნის უფრო მარტივად და უფრო კარგად (იქვე, 9).

თეორია არის რეალობის გასამარტივებელი ინტელექტუალური ხრიკი, ხოლო რეალობის გამარტივების მეთოდებია იზოლაცია, აბსტრაქცია, აგრეგაცია და იდეალიზაცია. თეორიები არის აღწერილობითი და თეორიული ცნებების კომბინაცია. თეორიული მტკიცებულებები არა-ფაქტობრივია. მაგ: ეროვნული ინტერესი, სახელმწიფო, როგორც აქტორი და ა. შ. მათ ვიყენებთ იმიტომ, რომ ისინი არიან სასარგებლო კომპლექსური რეალობის ასაღწერად (იქვე, 10).

თეორიის რაობის შესახებ მსჯელობიდან უოლცი გადაინაცვლებს საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლისადმი იმ დროს არსებული მიდგომების კრიტიკაზე. იგი აღნიშნავს, რომ ხშირად საერთაშორისო პოლიტიკას სწავლობენ რედუქციონისტულად⁴, ანუ როგორც ეროვნული გადაწყვეტილებების და ქმედებების ჯამს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად პრობლემატურია სახელმწიფოთა საერთაშორისო ქცევის ახსნა მათ შიდა პოლიტიკებზე დაკვირვებით, უოლცი ჰობსონის და ლენინის თეორიებს ამოწმებს (testing), როგორც იმ დროისთვის არსებულ მოწინავე „რედუქციონისტულ“ თეორიებს და ამოწმებს მათი დაშვების სისწორეს რეალურ პროცესებთან მიმართებით, მათივე თეორიული მტკიცებულებებიდან გამომდინარე. უოლცი მოსაზრებებს ტესტავს თეორიაში არსებული სამი დაშვების ჭრილში: 1) გამოთქმული ეკონომიკური თეორია ვალიდურია თუ არა; 2) თეორიით ნაკარნახევი ეკონომიკური გარემოებები დადგა თუ არა იმპერიალისტურ ქვეყნებში; 3) ქვეყნები, სადაც ეს გარემოებები დადგა, იმპერიალისტური არიან თუ არა.

ჰობსონის თეორიის მიხედვით, სიმდიდრე გროვდება მცირერიცხოვან ელიტაში, რომლებიც თავიანთი შემოსავლის მცირე ნაწილს ხარჯავენ, ხოლო ღარიბები თავიანთი შემოსავლის უდიდეს ნაწილს. ამის გამო ხარჯვითი ნაწილი ეკონომიკაში იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე წარმოება. შესაბამისად, იქნება ნაკლები

4. აღნიშნულს უოლცი განმარტავს როგორც მცდელობას, მთლიანობა შეიმეცნო მისი შემადგენელი ნაწილების და მათ შორის ინტერაქციაზე დაკვირვებით. მისი აზრით, ასეთი მიდგომა მუშაობს ზოგიერთი მეცნიერებისთვის (მაგ. ბიოლოგია), მაგრამ არ ესადაგება საერთაშორისო პოლიტიკას.

მოთხოვნა მაღალფასიან პროდუქტებზე, რაც თავის მხრივ აუცილებელია მოგებისთვის. ასეთ ეკონომიკას შედეგები არ აქვს მუშათა კლასისთვის. ასეთ დროს დგება იმპერიალიზმი, როგორც არჩევანი. ყველა ახალი კაპიტალისტური ქვეყანა, სადაც მსგავსი იმპერიალისტური მექანიზმები დაინერგება, იგივე დილემის წინაშე დადგება. იმპერიული ქვეყანა თავისივე ქმედების - ომების წამოწყების მსხვერპლი გახდება, რასაც მოჰყვება კაპიტალიზმის მსხვერპე და კლასობრივი რევოლუცია. ლენინმა ჰობსონის მოსაზრებები განავრცო და ამტკიცებდა, რომ იმპერიალიზმი და ომი გამოწვეულია კაპიტალიზმით. საბოლოოდ მსოფლიო მთლიანად გადანაწილდება, რასაც მოჰყვება ომი ხელახალი რედისტრიბუციისთვის.

დაშვება ნაკლები მოხმარებისა და ჭარბი კაპიტალის შესახებ (ტესტი 1) ყოველთვის არ ბოლოვდება იმპერიალიზმით - უოლცის აზრით აქ გამოსავალი რამდენიმეა და არა მაინცადამაინც ხსენებული ავტორების მიერ ნაკარნახევი იმპერიალიზმი. მაგალითად, კეინსმა ამ დილემას სხვა გამოსავალი მოუძებნა: პროგრესული გადასახადი და მოგების რედისტრიბუცია, რათა გაიზარდოს აგრეგატული მოთხოვნა. უოლცის აზრით, გამოსავალი ერთგვაროვანი არ არის და დამოკიდებულია ქვეყანაზე. შესაბამისად, მისი აზრით, პირველი ტესტი ჩააგდო იმპერიალიზმის თეორიამ.

დაშვება იმის შესახებ, რომ ყველა იმპერიალისტური ქვეყანა კაპიტალისტური და ჭარბი კაპიტალის მქონეა (ტესტი 2) და ყველა კაპიტალისტური ქვეყანა იმპერიალისტურია (ტესტი 3) ასევე არაზუსტ დაშვებად მიაჩნია უოლცს. იგი აღნიშნავს, რომ 1870 წლიდან ყველა კაპიტალისტური ქვეყანა იმპერიალისტურად იყო, მაგრამ ზოგი ახდენდა კაპიტალის ექსპორტს, ზოგი არა. ზოგს არც ჰქონდა ჭარბი კაპიტალი. მაგალითად, ბრიტანეთი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას აკმაყოფილებდა, მაგრამ მისი კაპიტალის მიმღები ძირითადად აშშ იყო. ამასთან, ბევრი იმპერიალისტური სახელმწიფო არ იყო კაპიტალისტური. ანუ, უოლცის მტკიცებით, თეორიამ ეს ტესტიც ვერ გაიარა.

იგივე პრობლემატიკაზე უოლცმა ალტერნატიული ხედვა ჩამოაყალიბა: მოწინავე სახელმწიფოები იმპერიალისტური იყვნენ კაპიტალიზმის გამო თუ იმიტომ, რომ მოწინავენი იყვნენ? ისტორიის მანძილზე იმპერიები იქმნებოდა მათ მიერ, ვინც ყველაზე კარგად იყენებდა რესურსს. უოლცის აზრით: „სისუსტე კონტროლის დამყარების წინაპირობას წარმოშობს, ძალაუფლება მისი გამოყენების ცდუნებას იწვევს“ (Weakness invites control; strength tempts one to exercise it). ბრიტანეთის შემთხვევაში კაპიტალიზმი დიდი ფაქტორი იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ეკონომიკა, არამედ პოლიტიკა - როგორც შიდა, ასევე საგარეო (იქვე, 26-27).

უოლცი აგრძელებს ჰობსონისა და ლენინის თეორიის ტესტირებას პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის დათქმების გათვალისწინებითაც. მოსაზრებები განავრცო ტროცკიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ აშშ იქმნებოდა ყველაზე იმპერიალისტური ერი და ომების გამომწვევი. შუმპეტერი საუბრობდა სამხედრო კლასებზე, ხოლო ნეოკოლონიალიზმის თეორეტიკოსები მარქსის, ჰობსონის და ლენინისგან განსხვავებით თვლიდნენ, რომ ღარიბი ქვეყნების განვითარება გაიყინებოდა (მარქსი თვლიდა, რომ ყველა კაპიტალისტური გახდებოდა). ლენინის თეორია არ გამართლდა. მოხდა საპირისპირო: იმპერიები გადავარდა.

უოლცის აზრით, ამ ერთი შეხედვით ელევანტური თეორიის პრობლემა იყო ის, რომ მათ ჰქონდათ მცდელობა, საგარეო პოლიტიკა აეხსნათ ეკონომიკური მიზეზებით. როდესაც ისტორიული მოვლენები სხვაგვარად წარიმართა, მოახდინეს თეორიის რედეფინიცია და უთანასწორობა გახდა იმპერიალიზმის განსაზღვრება

და მისი გვერდითი მოვლენაც. უოლცის აზრით ეროვნული ეკონომიკა როგორ წარმოშობს ჯარბ კაპიტალს და როგორ განკარგავს მას ქვეყანა, ორი სხვადასხვა რამეა და მეორეს პასუხი ვერ გაეცემა ნაციონალური ეკონომიკის თეორიებზე დაყრდნობით. ლენინის თეორია ეცადა უფრო მეტი აეხსნა ვიდრე ეკონომიკურ თეორიას შეუძლია და სწორედ აქ გამოიკვეთა პრობლემა, რომელსაც უოლცი უწოდებს „მეტობით ახსნისა და ცვლილების პრობლემას“. ეკონომიკური ნაწილი – მოხდება სიტარბის გენერირება და მდიდრები ეცდებიან მოგების გაზრდას, გამართლდა, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკური მოსაზრებები არ გამართლდა. ასევე, ემპირიულ რეალობაში ცვლილებების შესაბამისად თეორიის მუდმივი განახლება არ არის სწორი მიდგომა და თეორიაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.⁵ უოლცის აზრით, დაშვება, რომ კონკრეტულ პრობლემაზე გამოსავალი მოაგვარებდა ზოგად პრობლემას – იმპერიალიზმს და ომს, იყო პრობლემატური და შესაბამისად არ გამართლდა. სწორედ ამ მსჯელობიდან გამომდინარე ასკვნის უოლცი, რომ თეორიები, რომლებიც ცდილობენ ახსნან შედეგები ეროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ირიბად უშვებენ ვარაუდს, რომ არ არსებობს კონფლიქტის გამომწვევი საერთაშორისო მიზეზი. მაგალითად, განხილულ თეორიაში კონფლიქტის გამომწვევი იყო კაპიტალიზმი. შესაბამისად, იმპერიალიზმის თეორიიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ მიზეზი გაქრა, სიმპტომებიც გაქრება. სინადვილეში კი ეს ასე არ იქნება. ამის მარტივი დასტურია ის ფაქტი, რომ ისტორიულად ძალიან ბევრ სხვადასხვა შიდა პოლიტიკური ფორმისა და ეკონომიკის მქონე ქვეყანას უომა. შესაბამისად, კაპიტალიზმის გაქრობა ომს არ მოსპობს (იქვე, 36-37).

უოლცის თქმით, რედუქციონიზმი (ანუ შემადგენელ ელემენტებზე დაკვირვება) გვჭირდება როცა სისტემის ზეგავლენა სუსტია. სისტემური თეორია გვჭირდება მაშინ, როდესაც შედეგებზე ზემოქმედებს არა მარტო შემადგენელი ნაწილების ურთიერთქმედება, არამედ ის, თუ როგორ არიან ისინი ორგანიზებული (იქვე, 39). თუ ორგანიზების პრინციპი მოქმედებს შემადგენელი ნაწილების საქციელზე, გვჭირდება სისტემური მიდგომა. ეკონომიკა პოლიტიკაზე და პირიქით, რაღაცას გვეუბნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთმა თეორიამ შეიძლება მეორე ჩაანაცვლოს.

უოლცმა ამ მსჯელობით დაასაბუთა საერთაშორისო პოლიტიკური თეორიის არსებობის აუცილებლობა, რომელშიც მთავარი დაშვებაა სისტემის მოწყობის პრინციპი, ელემენტების (სახელმწიფოების) ფუნქცია და შესაძლებლობათა გადანაწილება ელემენტებს შორის (ძალის რამდენი პოლუსია სისტემაში). სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს სისტემის მოწყობის პრინციპს (უნიპოლარული, ბიპოლარული, მულტიპოლარული). თუ საშინაო პოლიტიკური სისტემა იერარქიულია, საგარეო, ანუ საერთაშორისო სისტემა არის ანარქიული. უოლცს ანარქია (მსოფლიო მთავრობის არარსებობა) შემოაქვს როგორც საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის ცენტრალური ვარაუდი, დამშვები გარემო, რომელიც ქმნის მუდმივ წინაპირობას იმისას, რომ ომი, როგორც პოლიტიკის წარმოების ინსტრუმენტი, შეიძლება იყოს გამოყენებული სახელმწიფოების მიერ ეროვნული ინტერესის მიზნებისთვის. სანამ არსებობს ანარქიული გარემო, მუდმივად იარსებებს ომის საფრთხე საერთაშორისო სისტემაში.

სისტემური თეორიები ხსიან განგრძობადობას სისტემის შიგნით და რატომ არის, რომ ცვლილება ელემენტების დონეზე (მაგალითად, სახელმწიფოების გაქრობა, ახალ სახელმწიფოების შექმნა, საერთაშორისო სამართლისა და კონკრეტულად კი ადამიანის უფლებების ნორმების გაძლიერება, საერთაშორისო

5. ფილოსოფიაში ამგვარ მიდგომას თეორიისადმი ხსიან ფალსიფიკაციით, რომელიც ილუსტრირებულია მაგალითით „მცდარობა შოტლანდიელობაზე“ (ინგლ. Scotsman fallacy), და გულისხმობს მცდარი თეორიის დაზუსტებას, პირვანდელი თეორიული მტკიცების მამხილებელ ფაქტებზე პასუხად.

ორგანიზაციების მომრავლება) იწვევს ნაკლებ ცვლილებას სისტემის დონეზე. მაგალითად, ცვლილებების მიუხედავად ომი, თვითგადარჩენაზე ზრუნვა, შიში, ღალატი, ექსპანსია - კვლავ გვხვდება სახელმწიფოთა ქცევებში, იმისდა მიუხედავად, თუ რამხელა პროგრესი არის მიღწეული წესებისა და ნორმების დამკვიდრების მიმართულებით.

უოლცის აზრით, სისტემური თეორიის პროგნოზები იქნება ზოგადი და მიაწინებს იმ გარემოებებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოხდება, მაგრამ მას არ უნდა მოვთხოვოთ პროგნოზები იმაზე, თუ რა იწვევს ინდივიდუალურ ომებს. ცვლილებები სისტემაში ხდება მაშინ, როდესაც სტრუქტურა იცვლება. მაგალითად, ევროპის ქვეყნები დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს ებრძოდნენ და მათ შორის მოქმედებდა ნულოვან ჯამოვანი ლოგიკა. თანამშრომლობის ზრდა შესაძლებელი გახდა მას მერე, რაც რუსეთი და ამერიკა სუპერ ძალები გახდნენ (ანუ, მულტიპოლარულიდან ბიპოლარული გახდა სტრუქტურა). მიუხედავად ამისა, უოლცი შენიშნავს, რომ ევროპაში ომის და მშვიდობის დეტერმინანტები გარე ფაქტორები იყო და არა შიდა. სისტემურ თეორიას არ შეუძლია გვითხრას როგორ რეაგირებას მოახდენენ სახელმწიფოები სისტემურ წნეხზე, მაგრამ გვეუბნება, რომ სახელმწიფოთა ქცევის მთავარი განმაპირობებელი არის სისტემა, რომელიც ანარქიულია (იქვე, 70).

მართლაც, საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურ სამყაროში სახელმწიფოთა გამეორებადი ქცევის ფორმების (ომი და მშვიდობა) თეორიული ახსნის გარეშე, დისციპლინა დარჩებოდა ისტორიისა და სამართლის, პოლიტიკის ფილოსოფიისა და ეკონომიკის გზაგასაყარზე, ხოლო ზემოთ აღწერილი უაითის წუხილი ისეთივე რელევანტური იქნებოდა მომდევნო ათწლეულებზე, როგორც ის იყო მე-20 საუკუნემდე პერიოდზე. უოლცის 1979 წლის ნაშრომმა სათავე დაუდო საერთაშორისო პოლიტიკის მეცნიერულ შესწავლას (ჰიპოთეზაზე დაფუძნებული ემპირიული კვლევა), რომელშიც დომინანტური პოზიცია დაიკავა სისტემურმა, იგივე სტრუქტურულმა თეორიამ.

მოგვიანებით, 80-იანი წლებიდან, დისციპლინა გამდიდრდა და გაფართოვდა კონსტრუქტივისტების, კრიტიკული თეორიისა და პოსტ-მოდერნისტების ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური სიახლეებით, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკაში სამართლის სხვადასხვა ნორმების განმტკიცებამ და მაშასადამე, იდეების, ნორმებისა და იდენტობის როლის გაძლიერებამ ეს ინტერპრეტივისტული და კრიტიკული მიდგომები აქტუალური გახდა. მეორეს მხრივ, XXI საუკუნეში, ევროპაში თითქმის უკვე მივიწყებული ტერიტორიული თავდასხმების განახლებამ (2008 წელს რუსეთის თავდასხმა საქართველოზე და მისი განუყოფელი რეგიონების ოკუპაცია და 2014 წელს უკრაინაში შეჭრა და ყირიმის ანექსია), ძალისა და კონკურენციის თემა ახალი სიმწვავეთ წამოსწია პოლიტიკის წინა პლანზე. 2018 წელს კი დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ განაახლა აშშ-ის თავდაცვის სტრატეგია, რომელშიც „რევიზიონისტულ“ ქვეყნებად რუსეთი და ჩინეთი მოიხსენია და განაცხადა, რომ აშშ-ის სამხედრო სტრატეგიის ყურადღების ცენტრში კვლავ ექცევა „დიდ სახელმწიფოებს შორის კონკურენცია“.

ახლანდელ ეპოქაში ძალის როგორც მატერიალური, ასევე იდეური განზომილებაა რელევანტური. მათი შემსწავლელი თეორიების მრავალფეროვნება უდაოდ თავსატეხის სხვადასხვა ნაწილების ახსნის უკეთეს საშუალებას იძლევიან, ვიდრე ამას შევძლებდით ერთი-ორი ცენტრალური თეორიით, როგორც ეს იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში.

4. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კომპლექსურობა

4.1 ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, მეთოდოლოგია და ანალიზის დონეები

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ მენიუში გასარკვევად მნიშვნელოვანია მხედველობაში გვქონდეს სამი წინარე თეორიული გარემოება, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ თეორიის მთავარ საკვლევ ობიექტს, შესასწავლი გარემოს ხედვასა და შესწავლის მეთოდს:

1. **ონტოლოგია.** ეტიმოლოგიურად სიტყვა მომდინარეობს ბერძნულიდან: *ontos* ნიშნავს ყოფიერებას, ხოლო *logos* მოძღვრებას. ონტოლოგია წარმოადგენს მეცნიერების ფილოსოფიის განხილას ყოფიერების შესახებ. ონტოლოგია სწავლობს თუ რა წარმოადგენს ყოფიერების ბუნებას, როგორ უყურებს თითოეული ჩვენგანი სამყაროს და როგორ გვესმის ჩვენ გარშემო არსებული საგნების არსი. ყველა აკადემიურ დისციპლინას თავისი ონტოლოგიური საფუძვლები აქვს. საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი ონტოლოგიური საკითხებია აქტორის/აგენტის (ადამიანი, სახელმწიფო) და სტრუქტურის (როგორ არის ძალები გადანაწილებული სისტემაში) ურთიერთმიმართება. ზოგიერთი თეორია თვლის, რომ არსებობს სტრუქტურა (მაგალითად, ნეორეალიზმისთვის ეს არის ანარქია და თვითდახმარება, მარქსიზმისთვის გლობალური კაპიტალიზმი და კლასობრივი უთანასწორობა, ინგლისური სკოლისთვის კი საერთაშორისო სისტემა და საერთაშორისო საზოგადოება), რომელიც გავლენას ახდენს აქტორთა ქცევაზე (მაგ. რეალიზმისა და ინგლისური სკოლისთვის სახელმწიფოთა ქცევაზე, ხოლო მარქსისტული თეორიებისთვის პროლეტარიატის/მუშათა კლასის ქცევაზე). ასევე, თეორია გვეუბნება როგორია ეს სტრუქტურა. მაგალითად, რეალიზმისთვის სტრუქტურა დიდწილად მატერიალისტურია და მოიცავს შეიარაღებას, ადამიანურ, ბუნებრივ და ეკონომიკურ რესურსს (ანუ, სტრუქტურა არის წამყვანი). კონსტრუქტივიზმის თეორიისთვის კი სტრუქტურა შედგება საერთაშორისო დონეზე გაზიარებული იდეების, რწმენისა და ნორმებისგან, რომელებიც თავის მხრივ განაპირობებენ ქცევას, რომელშიც აგენტი არის წამყვანი და გავლენას ახდენს სტრუქტურაზე. ზოგი მარქსისტული თეორიისთვისაც წამყვანია სტრუქტურა, თუმცა სტრუქტურული მახასიათებელი არის არა ძალის, არამედ სიმდიდრის განაწილება კლასებს შორის, ხოლო სტრუქტურის ბუნება ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომ არის კაპიტალისტური. ასეთ სისტემაში სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის წყაროა ბრძოლა სიმდიდრის გადანაწილებისთვის.

2. **ეპისტემოლოგია.** ეტიმოლოგიურად სიტყვა მომდინარეობს ბერძნულიდან: *episteme* — ნიშნავს ცოდნას და *logos* მოძღვრებას. ეპისტემოლოგიაც მეცნიერების ფილოსოფიის განხილას, რომელიც შეისწავლის შემეცნების პროცესის კანონზომიერებებს. სვამს კითხვებს თუ რა ვიცით სამყაროს შესახებ და საიდან ვიცით? ანუ, როგორია ჩვენი ცოდნის მიღების მეთოდი? საიდან ვიცით ის, რაც ვიცით, ანუ როგორ ხდება ცოდნის გენერირება? სუ-ში ცოდნის მიღების მეთოდიც მრავალფეროვანია. ზოგიერთი თეორია ემპირიულ მონაცემებს ეყრდნობა, ზოგი ისტორიულ წყაროებს, ზოგიერთი კი იდეებს, ნორმებსა და იდენტობას.

3. **კვლევის მეთოდოლოგია.** ეს უკანასკნელი ხშირად იგივეა, რაც ეპისტემოლოგია. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი ეპისტემოლოგია, იგივე კვლევის მეთოდი, გახლავთ პოზიტივიზმი, რომელიც 50-იანი

წლებიდან მოყოლებული დამკვიდრდა საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ დისციპლინაში ე. წ. ბიპეივიორისტული რევოლუციის შედეგად. პოზიტივისტური მეთოდოლოგია გულისხმობს ჰიპოთეზის (ვარაუდი მიზეზ-შედეგობრიობაზე) ქონას და მის ფორმალურ შემოწმებას მონაცემებზე დაყრდნობით (რიცხობრივი ან ხარისხობრივი მეთოდის გამოყენებით). პოზიტივისტურ მეთოდოლოგიაში აქცენტი კეთდება ჰიპოთეზის აუცილებლობაზე და მონაცემების ემპირიულ ტესტირებაზე და არა აღწერაზე, როგორც ამას ისტორიკოსები ან ზოგი ტრადიციონალისტი საერთაშორისო პოლიტიკის სპეციალისტი აკეთებენ (მაგალითად, ჰანს მორგენტაუს, ჰენრი კისინჯერისა და ჰედლი ბულის კვლევებში უპირატესობა ენიჭება ისტორიას, სამართალს, ფილოსოფიას, ანუ აკადემიური კვლევის კლასიკურ მეთოდებს. ამათგან განსხვავებით კი დღეს უკვე პოპულარული მიმდინარეობაა ინტერპრეტივისტული მიდგომები - იდეებისა და სოციალური ინტერაქციის როლის გავლენა პოლიტიკურ ქმედებაზე (Burchill, 2005; Viotti and Kauppi, 2012).

ონტოლოგიის არსს სუ თეორიის ჭრილში კარგად ხსნის მაიკლ დოილი წიგნში „ომისა და მშვიდობის გზები“. მისი აზრით, რა გვინდა და როგორ ვხედავთ სამყაროს: ერების, მოქალაქეების, კლასების თუ სამივეს კომბინაცია, განსაზღვრავს იმას, თუ როგორ მოვახდენთ სამყაროს ინტერპრეტაციას. რა უნდა გავაკეთოთ? (ნორმატიული საკითხი) და რა მოხდება? (ანალიტიკური საკითხი) დაკავშირებულია ჩვენს იდენტობასთან და სამყაროს ხედვასთან. ის, ვინც ამერიკის ძალაუფლების გარანტიებს ეძებს, საბჭოთა კავშირშიც იგივე სურვილს ხედავს. ის, ვინც კლასობრივ სოლიდარობასა და სოციალურ რევოლუციაზე ოცნებობს, კლასობრივ დომინირებასა და კაპიტალისტურ იმპერიალიზმს განიხილავს კონფლიქტის გამომწვევ ძირითად საფრთხედ და არა სამხედრო ძალის განაწილებასა და კონკურენციას ძალაუფლებისთვის (დოილი, 2004).

4.2 ამხსნელი და შემადგენელი თეორიები

ონტოლოგია და მეთოდოლოგია განსაზღვრავს თეორიის ბუნებას. თეორია, რომელიც ამოწმებს ჰიპოთეზას, ხსნის მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობას ცვლადებს შორის და აკეთებს პროგნოზს მომავალ განვითარებაზე, წარმოადგენს ამხსნელ თეორიას (explanatory theory). მაგალითად, ასეთია ნეორეალიზმი, სისტემური კონსტრუქტივიზმი, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი და დემოკრატიული მშვიდობის თეორია.

თუმცა, ზოგიერთი ავტორის აზრით, თეორიული მიდგომა შეიძლება იყოს იდეოლოგიურად მიკერძოებული ან ასახავდეს კონკრეტულ კულტურულ კონიუქტურას ან ინტერესს. აღნიშნულ საკითხებში ჩაღრმავებამ წარმოშვა თეორიათა მეორე კატეგორია - შემადგენელი თეორიები (constitutive theories). ასეთი თეორიები იკვლევენ უშუალოდ იმ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ვაკვირდებით სამყაროს. ასეთი თეორიები ზრდიან ცნობიერებას იმის შესახებ თუ თითოეული თეორიული შეხედულება რამდენად დამახინჯებულია ავტორის ქვენა მოტივით (იდეოლოგიური, კულტურული თუ სხვა) და რამდენად დამახინჯებს შესასწავლ გარემოს ეს მიდგომა. მაგალითად, მარქსიზმი იკვლევს კლასობრივ უთანასწორობას, მაგრამ რეალურად ეს რამდენად სრულფასოვნად წარმოაჩენს საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურ სამყაროს? ამასთან, სამყაროს ასეთმა ხედვამ რა შედეგები მოიტანა პოლიტიკის რეალური სამყაროსთვის, როდესაც მარქსიზმი საფუძვლად დაედო სოციალიზმსა და კომუნიზმს. იგივენაირად, რატომ იკვლევს ნეორეალიზმი მუდმივად ხისტ, მატერიალურ ძალას და არა ცვლილების სხვა მნიშვნელოვან ფორმებს საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორცაა სუვერენიტეტი და სამართლის ნორმები და ამით როგორ გავლენას ახდენს სახელმწიფოთა

ქმედებებზე, როდესაც ხელისუფლებაში მოდიან რეალიზმის თეორიის მიმდევრები ან მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ასწავლიან რეალიზმს, როგორც ცენტრალურ ტრადიციას საერთაშორისო ურთიერთობებში (მაგალითად, ნიქსონი და კისინჯერი ან ჯორჯ ბუში უმცროსი და მისი მხარდამჭერი ნეოკონსერვატორი იდეოლოგიები ან უფრო ადრე ლენინი და სტალინი და მათი გავლენა პოლიტიკის რეალურ სამყაროზე). შემადგენელი თეორიების დანიშნულებაა გააანალიზოს შემეცნების (რეფლექსიის) სხვადასხვა ფორმები და ასევე ხაზი გაუსვას, რომ ისინი მხოლოდ კი არ აირეკლავენ სამყაროს, არამედ ასევე მის ფორმირებაშიც ღებულობენ მონაწილეობას (Burchill, 2005, 15-18). საერთაშორისო ურთიერთობების კრიტიკული სკოლის ავტორის, რობერტ კოქსის თანახმად „თეორია ყოველთვის ვილაციისთვისაა და რაღაც მიზანს ემსახურება“ (Cox 1981, 128). მეორეს მხრივ, ზემოთ განხილული იყო სამეცნიერო მიდგომის უპირატესობა, რაც გამოირიცხავს სუბიექტურობას და ეყრდნობა ფაქტების ემპირიულ ანალიზს.

ეს ურთიერთშეპირისპირებული ხედვები დისციპლინაში მიჩნეულია, როგორც ჯანსაღი აკადემიური დებატი, რომელიც ემსახურება უკეთესი და უფრო ზუსტი თეორიების შექმნას ან არსებულის განახლებას და საბოლოოდ, საერთაშორისო პოლიტიკის გაუმჯობესებულ ახსნას. მართლაც, დასკვნით ქვეთავში ვნახავთ თანამედროვე თეორიების როგორც მსგავსებებს, ასევე განსხვავებებს და ამ მრავალფეროვნების დანიშნულებას, ურთულესი და კომპლექსური შესაწავლი სფეროს ახსნის საქმეში.

4.3 ანალიზის ობიექტი და კვლევის ფოკუსი

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, ასევე, განსხვავდებიან ანალიზის დონეების მიხედვით. დღეისათვის დისციპლინაში არსებობს ანალიზის ოთხი დონე: ადამიანის, სახელმწიფოს, სისტემისა და გლობალური მმართველობის დონე (Goldstein and Peavehouse 2013). მაგალითად, პოლიტიკის კვებაში ადამიანის როლის დასადგენად პოლიტიკური ფსიქოლოგიის თეორიები იკვლევენ ლიდერებს (ანალიზის პირველი დონე). ომისა და მშვიდობის ფუნდამენტურ საკითხებში გასარკვევად ლიბერალები და მარქსისტები იკვლევენ პოლიტიკური მოწყობის ტიპს (ანალიზის მეორე დონე); ზოგიერთი ავტორისთვის პირველი ორი ანალიზის დონე მნიშვნელოვანია, მაგრამ არა საკმარისი ამხსნელია, ამიტომ პოლიტიკას იკვლევენ საერთაშორისო სისტემის დონეზე (ანალიზის მესამე დონე. მაგალითად, ზემოთ განხილული უოლცის სტრუქტურული რეალიზმი). ზოგიერთი ავტორი კი ანალიზის დონეთაშორის დღისწესრიგს ავითარებს. აქ მნიშვნელოვანია არ მოხდეს დონეების აღრევა და მაგალითად, სისტემური თეორიით კონკრეტული ლიდერის კონკრეტული ნაბიჯების ახსნის მცდელობა ან პირიქით, ლიდერის ხასიათის და იდეოლოგიის ჭრილში სისტემური ფაქტორებით (მაგ. დარღვეული ძალთა ბალანსი) გამოწვეული ქმედების კონკრეტულ ისტორიულ ფიგურაზე მიწერა.

5. როგორ იქმნება თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში?

უოლცის მიერ იდენტიფიცირებულია თეორიის შემოწმების თანმიმდევრული ნაბიჯები, რომელიც ნათელს ჰფენს ჩვენს დისციპლინაში თეორეტიზაციის პროცესს. ეს ნაბიჯები შემდეგია:

1. ჩამოაყალიბეთ თეორია, რომელიც უნდა შემოწმდეს
2. გამოიყვანეთ მისგან ჰიპოთეზა

3. დაუქვემდებარეთ ჰიპოთეზა ექსპერიმენტს ან დაკვირვებას
4. გამოიყენეთ შემოწმების ეტაპზე მყოფ თეორიაში მოცემული ტერმინების განმარტებები
5. გამოცდის პროცესში იზოლირება გაუკეთეთ ან გააკონტროლეთ გარეშე ცვლადები, რომლებიც არ არის თეორიაში ნახსენები
6. შეიმუშავეთ რიგი განსხვავებული და მომთხოვნი ტესტები თეორიის შესამოწმებლად
7. თუ თეორიის გამოცდა წარუმატებელია, დასვით კითხვა: თეორია მთლიანად ჩავარდა? თუ საჭიროა გაუმჯობესება და განახლებული ფორმულირება? თუ შესამოწმებელი თეორია მოითხოვს ახსნის ფოკუსის დავიწროვებას? (1979, 10)

თეორეტიზაციის საკითხზე ჯეიმს როზენაუმ, თავის 1980 წელს გამოცემულ წიგნში „საგარეო პოლიტიკის მეცნიერული კვლევა“, გადმოგვცა შემოქმედებითი თეორეტიზაციის ცხრა პრინციპი, რაც ნათელს ჰფენს თეორიის როლს და სარგებელს საერთაშორისო პოლიტიკის ახსნაში, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ავტომატურად მიდრეკილი არ არის თეორიული, იგივე აბსტრაქტული აზროვნებისკენ.

ეს პრინციპები პოზიტივისტური ხედვის საფუძველზეა შემუშავებული (მეცნიერების ფილოსოფიის მიმართულება, რომელიც ფაქტების ღირებულებებისგან გამიჯვნას შესაძლებლად მიიჩნევს) და ეყრდნობა შეხედულებას, რომ ადამიანურ ქმედებებს პოლიტიკაში საფუძვლად უდევს ფუნდამენტური წესრიგი (underlying order) რაც მის მეცნიერულად შესწავლას შესაძლებელს ხდის.

1. თეორიული აზროვნება ნიშნავს, თავიდან აიცილო ამ ამოცანის ისე განხილვა, თითქოს უნდა ჩამოაყალიბო თეორიის შესატყვისი დეფინიცია.
2. თეორიულად აზროვნებისთვის მნიშვნელოვანია იცოდეთ ემპირიული თეორია გაინტერესებს თუ ღირებულებებით.
3. თეორიული აზროვნებისთვის უნდა თვლიდე, რომ ადამიანურ ქმედებებს საფუძველში უდევთ ფუძემდებლური წესრიგი.
4. თეორიული აზროვნებისთვის ადამიანი წინასწარგანწყობილი უნდა იყოს თითოეულ მოვლენაზე, შემთხვევაზე, სიტუაციაზე თუ დასაკვირვებელ ფენომენზე დასვას კითხვა „რომელი ფართო ფენომენის მაგალითია ეს“?
5. თეორიული აზროვნებისთვის ადამიანი მზად უნდა იყოს დააფასოს და ეთანხმებოდეს ზოგადი დაკვირვებისთვის დეტალების აღწერის შეწირვის აუცილებლობას.
6. თეორიულად აზროვნება ნიშნავს იყო ტოლერანტული გაურკვევლობისადმი, გადარდებდეს ალბათობები და ეჭვის თვალთ უყურებდე აბსოლუტურს.
7. თეორიული აზროვნებისთვის არ უნდა მოერიდო საერთაშორისო ფენომენით „თამაშს“.
8. თეორიული აზროვნებისთვის გულწრფელად უნდა გაინტერესებდეს საერთაშორისო მოვლენები.
9. თეორიული აზროვნებისთვის მუდმივად მზად უნდა იყო, რომ საპირისპიროს დაგიმტკიცებენ.

აქ, ასევე, ღირებულია ვახსენოთ კარლ პოპერისა და იმრე ლაკატოშის მიდგომა მეცნიერების ფილოსოფიისადმი, რომელიც ნახსენებია საერთაშორისო ურთიერთობებში. ისეთი მონაცემების შეგროვება, რომლებიც, ერთი შეხედვით, ჰიპოთეზის დამადასტურებელ სურათს ქმნის, არ მუშაობს, რადგან მკვლევარმა არ შეიძლება იცოდეს სად იმალება ისეთი მონაცემი, რომელიც დაამარცხებს „თეორიას“. პოპერის „კრიტიკული“ ტესტის იდეა ეფუძნება სიმართლის დამტკიცების მცდელობის გამიჯვნას სიყალბის დემონსტრირებისაგან. პოპერს სჯეროდა, რომ სიყალბის დემონსტრირება შესაძლებელია; ჭეშმარიტების დამტკიცება არა.

მაგალითად, მილიონი თეთრი გედის არსებობა მაინც ვერ დაადასტურებს მოსაზრებას, რომ ყველა გედი თეთრია. საკმარისია ერთი შავი გედის გამოჩენაც კი, რომ მოცულობით ემპირიულ ფაქტებზე დაფუძნებული ვარაუდი ყალბი აღმოჩნდეს (Waltz, vii, 2003).

თუმცა, ტესტირების უარყოფით შედეგებსაც სჭირდება ინტერპრეტირება. როდესაც კრიტიკულ ტესტს ვერ უძლებს მონაცემი, მეცნიერს მაინც უწევს ჩამოყალიბდეს, რა დასკვნების გამოტანა შეიძლება მიღებული შედეგიდან. ლაკატომის პოზიციას, რომ ჩვენ არც თეორიების დამტკიცება შეგვიძლია და არც უარყოფა (Lakatos 1965, 100 ციტირებულია Waltz 2003, viii). სანამ ფაქტები თეორიებით არ დადასტურდება, მათ ზედმეტად ვერ დავყვარდებით. მაგალითად, შუა საუკუნეებში ფაქტი იყო გეოცენტრულობა და ამ „ფაქტის“ ვერიფიცირება ხერხდებოდა სხვადასხვა მეთოდით და მონაცემით და ეკლესიის მიერ დოგმის დონეზე იყო აყვანილი. კოპერნიკიდან მოყოლებული კი, ახალმა თეორიამ და ფაქტების ვერიფიცირების ახალმა გზამ შეცვალა მანამდე აღიარებული ფაქტი - გეოცენტრულობა და თანდათანობით მიღებული თეორია ჰელიოცენტრულობა გახდა (იქვე).

ლაკატომი და პოპერი, მეცნიერების ფილოსოფიის საკითხზე ბევრ რამეში ვერ თანხმდებიან, თუმცა, თანხმდებიან, რომ საჭიროა თეორიების შეფასება, რათა უკუვადოთ მცდარი თეორიები. ლაკატომის მოსაზრებაა, რომ გაფართოვდეს „კვლევითი პროგრამა“ სანამ ხერხდება თეორიულად მწყობრი ახალი ფაქტების გენერირება. ანომალიურმა ფაქტებმა შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ძირითად თეორიას, მაგრამ ვინაიდან ვთანხმდებით, რომ თეორიის ბოლომდე არც ფალსიფიცირებაა შესაძლებელი და არც ვერიფიცირება, თეორია შეიძლება დაამრცხოს მხოლოდ უკეთესმა თეორიამ (Waltz 2003, x).

6. თანამედროვე თეორიული მენიუ: ძირითადი მახასიათებლები

წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობების ოქსფორდის სახელმძღვანელო“ ავტორებმა არჩიეს ფოკუსირება მოახდინონ არა თეორიის ბუნებაზე (როგორც ზემოთ იყო განხილული), არამედ თეორეტიზაციის ხელოვნებაზე, რომელშიც გამოყვეს სამი კომპონენტი: 1. თეორეტიზაციას ადგილი აქვს იმ კითხვების გარშემო (ემპირიული იქნება თუ ნორმატიული), რომელსაც ვსვამთ საერთაშორისო პოლიტიკური სამყაროს შესახებ. ეს კითხვები შეიძლება იყოს ძალიან აბსტრაქტული ან ძალიან ემპირიული, ფართო ან ვიწრო ფოკუსით. 2. თეორეტიზაცია ეფუძნება ჩვენ მიერ შემუშავებულ ვარაუდებს საერთაშორისო პოლიტიკური სამყაროს შესახებ. მაგ. დაშვება, რომ „სახელმწიფო არის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორი“ ან დაშვება, რომ „აგენტები არიან რაციონალური სარგებლის მაქსიმიზატორები“ ან რომ „ადამიანის უფლებები უნივერსალურია“ და სხვა. აქ განასხვავებენ ონტოლოგიურ, ნორმატიულ და ეპისტემოლოგიურ დაშვებებს, მაგრამ ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. მაგალითად: პოსტმოდერნისტები არ უარყოფენ ონტოლოგიურ დაშვებას, რომ სახელმწიფოა ძირითადი აქტორი და არც ნორმატიულ დაშვებას, რომ ადამიანის უფლებები უნივერსალურია. 3. თეორეტიზაცია აუცილებლად ეფუძნება ლოგიკურ არგუმენტს. არგუმენტის მეშვეობით ვაძლევთ მნიშვნელობას ჩვენ დაშვებებს ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობისას. ლოგიკური თანმიმდევრულობა და ევრისტიკური და დედუქციური სიმძლავრე არის ის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელსაც ყველა თეორიული მიმდინარეობა იზიარებს. კარგი თეორია საშუალებას იძლევა არსებულ ვარაუდებში გამოვავლინოთ, თუ რა არის უცვლელი და რა შეიძლება შეიცვალოს როგორც თეორიაში, ასევე რეალურ ქცევებში (Reus-Smit 2010,

12-13).

ავტორები, ასევე, ცდილობენ პასუხი გასცენ დისციპლინაში არსებულ მწვავე კითხვას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების სიმრავლისადამათშორისშეუსაბამობისშესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები აღიარებენ, რომ სხვადასხვა სუ თეორიებს შორის არსებობს ფუნდამენტური აზრობრივი შეუთავსებლობა, მიაჩნიათ, რომ სხვადასხვა თეორიის წიაღში მიღებული გაკვეთილები მიგრირებს პერსპექტივებს შორის, რაც მათი ხედვით მიაღწინებს, რომ სუ თეორეტიზაცია ერთმანეთს შორის განსხვავებების ხაზგასმას კი არ ემსახურება, არამედ იმის გამოვლენას, თუ რომელი განსხვავებები არის ფუნდამენტური და რომლებია ისეთი, რომელთა დაკავშირება და შერწყმა შესაძლებელია (იქვე, 15). მაგალითად, რაციონალისტებმა მიაქციეს იდეების როლს დიდი ყურადღება (Goldstein and Keohane 1993; Snidal 2002, ციტირებულია Reus-Smit 2010, 16) და მსგავსად ამისა, კონსტრუქტივისტებმა დაიწყეს სტრატეგიული რაციონალურობის ცნების ინკორპორაცია საკუთარ კვლევებში (Keck and Sikkink 1998, ციტირებულია იქვე).

ასევე, დისციპლინაში არსებული ემპირიული და ნორმატიული დიქტომიის მიუხედავად, ოქსფორდის სახელმძღვანელოს ავტორები ცდილობენ აჩვენონ, რომ გარკვეული დოზით საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორიას აქვს ემპირიული და ნორმატიული განზომილება. სწორედ ამ გადასახედიდან ავტორებმა შეიმუშავეს ათი წამყვანი თეორიის ემპირიული და ნორმატიული მახასიათებლების გრაფა, რომელიც სამძირითად მსგავსებას (pattern) ავლენს: პირველი, ღირებულებითი კომპონენტი აქვს ყველაზე ურთიერთგამომრიცხავ თეორიებსაც კი, მაგ. როგორებიცაა კრიტიკული თეორია და ახალი ლიბერალიზმის თეორია. მეორე, თეორიები, რომლებიც ეყრდნობიან ძალის სავალდებულო კონცეფციას და თეორიები, რომლებიც ეყრდნობიან ძალის პროდუქტიულ კონცეფციას, უფრო მიდრეკილი არიან ისეთი თეორიული დასკვნებისკენ, რომელიც ნაკლებად იზიარებენ ქცევის ცვლილების შესაძლებლობას საერთაშორისო პოლიტიკაში. მაგ. როგორც რეალიზმი, ასევე პოსტმოდერნიზმი, სკეპტიკურად უყურებენ საერთაშორისო ურთიერთობებში ისეთი ცვლილების დადგომის შესაძლებლობას, რომელიც უფრო მორალურ ქცევას გახდის შესაძლებელს, თუმცა ერთნაირ დასკვნამდე სხვადასხვა ლოგიკით მიდის: რეალიზმისთვის მორალის პოლიტიკა ყოველთვის დაიჩრდილება ძალის პოლიტიკით, ამიტომ მისი მეცნიერულად შესწავლა ნაკლებ მნიშვნელოვანია და დისციპლინა ძალის შესწავლაზე უნდა ფოკუსირდეს. პოსტმოდერნიზმისთვის კი მორალის აღმატებაზე მიმართულ ყველა პროცესს საბოლოო ჯამში მიყვავართ ურთიერთობების ახლებურ ფორმებამდე, რომელიც წარმოშობს დომინაციის ახალ იერარქიას, რაც წარმოშობს ძალდატანების ახალ ფორმას. მესამე, ვლინდება მწყობრი კორელაცია სტრუქტურულ თეორიებსა და სკეპტიციზმსა და აგენტო-ცენტრულ და სტრუქტურალისტურ თეორიებსა და ოპტიმიზმს შორის. მეთოდებითა და კვლევის ფოკუსით განსხვავებული რეალიზმი, მარქსიზმი და ინგლისური სკოლის პლურალისტური მიმართულება - სტრუქტურალისტები არიან. ამ მხრივ ისინი უყურებენ სტრუქტურას (ანარქია ან კაპიტალიზმი) როგორც სოციალური ძალებისთვის სტიმულის მიძღვმს ან შემზღუდველს. ამის საპირისპიროდ, თეორიები, რომლებიც სტრუქტურალისტური ან აგენტო-ცენტრულია, როგორიცაა ახალი ლიბერალიზმი, სოლიდარიზმი ან კონსტრუქტივიზმი - მეტ როლს ანიჭებენ ადამიანის ინდივიდუალურ ან კოლექტიურ კრეატიულ ძალას ცვლილების განპირობებაში, როგორც ქცევითი მორალის, ასევე პრაქტიკული ცვლილების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს თეორიები აღიარებენ, რომ აგენტის ფუნქცია არ იქნება ყოველთვის პოზიტიური. შესაძლებელია ცვლილება ემსახუროდეს ცუდ მიზნებსაც (მაგალითად: ცუდი ნორმების დამკვიდრება ან თანამშრომლობა სხვების წინააღმდეგ).

თეორიები	ემპირიული ასკეპტები			ნორმატიული ასკეპტები	
	აგენტი-სტრუქტურა	იდეური-მატერიალური	ძალის კონცეპტუალიზაცია	ღირებულებებისადმი დამოკიდებულება	ცვლილებისადმი დამოკიდებულება
რეალიზმი	სტრუქტურული (ანარქია)	მატერიალისტური	სავალდებულო	ეროვნული ინტერესი	სკეპტიკური
მარქსიზმი	სტრუქტურული (კაპიტალიზმი)	მატერიალისტური	სტრუქტურული	ინდივიდუალური თავისუფლება (ნეგატიური-ემანსიპაცია)	სკეპტიკური
ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი	აგენტი (სახელმწიფო)	რაციონალურ ინსტიტუციონალისტური	ინსტიტუციური	საერთაშორისო თანამშრომლობა	ოპტიმისტური
ახალი ლიბერალიზმი	აგენტი (ინდივიდი)	რაციონალურ ინსტიტუციონალისტური	ინსტიტუციური	ინდივიდუალური თავისუფლება (ნეგატიური-სამოქალაქო თავისუფლებები)	ოპტიმისტური
ინგლისური სკოლა (პლურალისტები)	სტრუქტურული (ანარქია)	რაციონალურ ინსტიტუციონალისტური	ინსტიტუციური	საერთაშორისო თანამშრომლობა	სკეპტიკური
ინგლისური სკოლა (სოლიდარისტები)	სტრუქტურალისტური	იდეური	სტრუქტურული	ინდივიდუალური თავისუფლება (პოზიტიური- უნივერსალური ადამიანის უფლებები)	ოპტიმისტური
კონსტრუქტივიზმი	სტრუქტურალისტური	იდეური	სტრუქტურული	ინდივიდი პოზიტიური თავისუფლება/ საერთაშორისო თანამშრომლობა	ოპტიმისტური
კრიტიკული თეორია	სტრუქტურალისტური	იდეურ/ მატერიალისტური	სტრუქტურული	ინდივიდუალური თავისუფლება (ნეგატიური-ემანსიპაცია)	ოპტიმისტური
პოსტმოდერნიზმი	სტრუქტურალისტური	იდეური	პროდუქტიული	სხვების მიმართ პასუხისმგებლობა	სკეპტიკური
ფემინიზმი	სტრუქტურალისტური	იდეური	პროდუქტიული	ინკლუზიურობა/თვით- რეფლექსიურობა	სკეპტიკური

გრაფა 1: ავტორის კონსტრუქცია. თეორიის ემპირიული და ნორმატიული სახეობები. წყარო: Reus-Smit 2010, 22-23.

მთავარი კითხვა ამ კლასიფიკაციაში ეხება პროგრესს. პროგრესს სუ-ს შესწავლაში (მაგალითად, თეორიამ რამდენად მეტი ცოდნა შეგვძინა საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ) და ასევე, ქცევის იმ ფორმებში, რომელთა ახსნასაც ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც დისციპლინა (მაგალითად, რას გვეუბნება თეორია, როგორ და რა გზით არის შესაძლებელი სახელმწიფოთა ქცევის ცვლილება, რათა თავიდან იქნას არიდებული უკვე კარგად ნასწავლი შეცდომები: სიხლისმღვრელი ომები, კონფლიქტები და ან free riding-თან დაკავშირებული საკითხების მთელი სპექტრი, როგორიცაა მაგალითად ეკოლოგიური გამოწვევების პასუხად სახელმწიფოებს შორის ტვირთის განაწილება). ავტორების აზრით, ამ კუთხით მთავარია გავერკვეთ,

დისციპლინაში არსებულმა სხვადასხვა კვლევითმა დღის წესრიგმა შეგვაძლებინა თუ არა საერთაშორისო პოლიტიკის უკეთ გაგება ამხსნელობითი, ინტერპრეტაციული, ნორმატიული თუ ახსნის (understanding) სხვა მიდგომით და ამან გააუმჯობესა თუ არა ჩვენი უნარი, ეფექტურად ვიმოქმედოთ საერთაშორისო ურთიერთობებში.

გამოყოფილი ათი თეორიიდან ხუთს აქვს ცვლილებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება და საერთაშორისო პოლიტიკას განმეორების სფეროდ მიიჩნევს. ანუ, ამ თეორიების ვარაუდით კვლავ იქნება კონფლიქტები და ომები, მტაცებლობა და უნდობლობა, ინდივიდუალური და არა კოლექტიური უსაფრთხოების ხედვა. ხუთი სკოლა კი ოპტიმისტურად უყურებს ცვლილებას საერთაშორისო ურთიერთობებში და კვლევითი დღის წესრიგი ცვლილების განმაპირობებელი აქტორების, ნორმებისა და პროცესების შესწავლას ეთმობა. მთლიანობაში სმიტი, სნიდალი და სხვები თვლიან, რომ პროგრესი სახეზეა: კონცეპტუალურად სფერო ახლა უფრო მძლავრია. მართალია, ჯერ კიდევ არ არსებობს თანხმობა იმაზე, თუ რას წარმოადგენს ძალა, როგორია მისი ბუნება, მაგრამ მოხდა ძალის ფორმების შესწავლა და კლასიფიკაცია, რაც პროგრესის ნიშანსვეტია. მსგავსად ამისა, დისციპლინის სახელმწიფო-ცენტრულობა დღეს აღარ არის უპირობო მოსაზრება და შეიცავს ტრანსნაციონალური და სუბნაციონალური აქტორების შესწავლას, მაგრამ ორივე, როგორც სახელმწიფო-ცენტრული, ასევე მულტი-აქტორიანი მიმართულებები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაიზარდა. რაც მთავარია, მეინსტრიმული რეალიზმისა და ლიბერალიზმის კრიტიკულმა კვლევებმა მიგვიყვანა იმის გააზრებამდე, რომ კვლევითი კითხვები, რომლებსაც ვსვამთ, არასდროს არ არის ნეიტრალური, არამედ აირეკლავენ კითხვის დამსმელის ფუძემდებლურ ღირებულებებსა და ძალის წყაროს ინტერესებს (იქვე, 26).

7. დასკვნა

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ყოველთვის არ აღწევს პოლიტიკის რეალურ სამყაროში, მაგრამ არც უმაგისობაა. ხშირად ლიდერები უპირატესობას ანიჭებენ ამათუ იმ თეორიას, მით უფრო, თუ ისინი ემსახურებიან მათ პოლიტიკურ მიზნებს. თუმცა, აკადემიური თეორიების გავლენას რეალურ პოლიტიკაში ცვალებადი ილბალი აქვს: მაგალითად, როდესაც რეალიზმის ბევრმა წარმომადგენელმა მხარი არ დაუჭირა ერაყში აშშ-ის ინტერვენციას 2003 წელს, ის ნაკლებ პოპულარული გახდა აშშ-ის მმართველ წრეებში. ასევე, სხვადასხვა ადმინისტრაციის პირობებში (ბუში, კლინტონი) ძალიან პოპულარული ყოფილა დემოკრატიის ხელშეწყობის დღის წესრიგი, რასაც დემოკრატიული მშვიდობის თეორიის დიდძალი ემპირიული მონაცემებით გამყარებული ხედვა უდევს საფუძვლად. თუმცა, დემოკრატიის ხელშეწყობის დღის წესრიგის სირთულეებმა და არაბული გაზაფხულის, ერაყის, ავღანეთისა და სხვა შემთხვევების არასახარბიელო შედეგებმა ეს დღის წესრიგიც სადავო გახდა და გამოიწვია მიდგომებში მეტი პრაგმატიზმი და ხანდახან ჩართულობის უკუქცევა. ზოგიერთი მთავრობა, ერთი მხრივ, მარქსისტულ იდეოლოგიას მისდევს და მარქსისტული თეორიების ლოგიკით მეტად ხელმძღვანელობს (მაგ. ვენესუელასა და კუბის მთავრობები, ჩინეთი და სხვები), თუმცა, უნიფორმული არც მათი მიდგომებია და მიუხედავად იდეოლოგიისა, ვხედავთ ერთი მხრივ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისადმი პრაგმატული არჩევანის სხვადასხვა გამოვლინებას და მეორე მხრივ, ლიბერალურ, დასავლურ ინსტიტუციებში ინტეგრაციის ფაქტებს, იდეოლოგიური კონკურენციის კვალდაკვალ.

როგორც დავინახეთ, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული მენიუ მრავალფეროვანი და

წინააღმდეგობრივია, თუმცა, ამავედროულად პროგრესზე და პროგნოზებზე ორიენტირებული. დიპლომატიითა და საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესებული სტუდენტისთვის უმთავრესი ამოცანაა, თეორია, როგორც კომპლექსური პოლიტიკური გარემოს ამხსნელი ინსტრუმენტი სწორად და მორგებულად გამოიყენოს და ამავედროულად, გახსნილი იყოს ცოცხალი დებატების შედეგად უკეთესი ან უფრო მარტივი თეორიებისადმი. მეორე მხრივ, თეორიული კუთვნილება მნიშვნელოვანი მაიდენტიფიცირებელია მოწიფული მკვლევარისა. შერჩეული თეორიის ჩარჩოებში კვლევა მის მწყობრ და სანდო ანალიზზე მიუთითებს. აქ მნიშვნელოვანია წინარე თეორიული დაშვებების იმგვარი ცოდნა, რომელიც შესაძლებელს ხდის თეორიების გარჩევას მათი კვლევის ფოკუსის, ანალიზის დონის, მეთოდოლოგიის, მსოფლმხედველობის მიხედვით. მთლიანობაში, დისციპლინაში მიმდინარე დებატები, ერთი მხრივ კომპლექსური პოლიტიკის სამყაროს მეცნიერულ ახსნას ემსახურება და მეორე მხრივ, პოლიტიკის რეალურ სამყაროში ცოდნაზე და მიგნებებზე დაფუძნებული ქცევითი რჩევების შემუშავებას.

შემდგომი თავები წამყვანი თეორიული სკოლების მიმოხილვას დაეთმობა, სადაც შეფასდება მათი თეორიული ლოგიკა და ამხსნელობითი არეალი, ისევე როგორც მიმდინარე კვლევითი დღის წესრიგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Burchill, Scott. 2005. *Theories of International Relations*. Basingstoke, Hampshire [U.K.]: Palgrave Macmillan.
- Cox, R. W. 1981. Social Forces, States and World Orders: Beyond International Relations Theory. *Millennium* 10 (2), 126–155.
- Doyle, Michael W. 1997. *Ways of War and Peace: Realism, Liberalism and Socialism*. New York: Norton.
- ქართული რედაქცია: დავითაშვილი, ზურაბ რედ.; 2018. მაიკლ დოილი, „ომისა და მშვიდობის გზები: რეალიზმი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- Goldstein, Joshua S., and Jon C. Pevehouse. 2013. *International relations brief: 2013-2014 update*
- James N. Rosenau, 1980. *The Scientific Study of Foreign Policy*, rev. ed. London: Frances Pinter
- Reus-Smit, Christian. 2010. *The Oxford Handbook of International Relations*. Oxford Handbook of International Relations. Oxford: Oxford University Press
- Waltz, Kenneth N. 1979. *Theory of international politics*. New York: Random House.
- Waltz, Kenneth N. 2003. *Thoughts about Assaying Theories* in Elman, Colin, and Miriam Fendius Elman ed. 2003. *Progress in international relations theory: appraising the field*. Cambridge, Mass: MIT Press.
- Wight, M. 1966. ‘Why is there no International Theory?’, in H. Butterfield and M. Wight eds., *Diplomatic Investigations, Essays in the Theory of International Relations* (London). Reprinted in J. Der Derian ed. 1995. *International Theory: Critical Investigations* (Basingstoke).
- Wight, Martin. “Why Is There No International Theory?” *International Relations* 2, no. 1 (April 1960): 35–48.
- The Rockefeller Foundation Annual Report, 1954, The Rockefeller Foundation, 1957.

ნეორეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში

რეტი თვალავაძე

დოქტორანტი, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი

1. შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიული სკოლების სწორად შეცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს. თეორიული ხედვების სპექტრის ათვისება გვებმარება გავიგოთ, თუ როგორ აღიქვამს ესა თუ ის აზროვნების სკოლა საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს. ხოლო ის, თუ რომელი თეორიული სკოლის მიგნებებს მივიჩნევთ მართებულად, პრაქტიკულად განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდებულებას არსებული საერთაშორისო წესრიგისადმი.

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინას სოციალურ მეცნიერებაში არცთუ დიდი ისტორია აქვს - მის საწყისად მიიჩნევა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი. ამ დროს საერთაშორისო ურთიერთობების იდეალისტური ხედვა, რომელიც რეალურად მიიჩნევდა შეთანხმებების საფუძველზე მშვიდობის ჩამოყალიბებას, დომინირებდა, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. თუმცა, ეს ჰეგემონია მალევე შეიცვალა, როდესაც იმ პერიოდისთვის არსებულმა მთავარმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, ერთა ლიგამ, ვერ შეასრულა მისი ფუნქციები და ვერ უზრუნველყო მშვიდობის ხანგრძლივობა.

შედგად, იდეალიზმს მეტოქე გამოუჩნდა - რეალიზმი. რეალიზმი ბევრად მუქ ფერებში ხატავდა სურათს, მსჯელობის მთავარ წერტილად ადამიანის ბუნებას სახავდა და ხაზს უსვამდა მის მომხვეჭელობასა და ძალაუფლების სიყვარულს. ამ გარემოებებს კი მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა სახელმწიფოებზე, რომლებიც, თავის მხრივ, აგრესიულ ერთეულებად ყალიბდებოდნენ, რასაც შედეგად ომები და არეულობები მოჰყვებოდა. პირველად უტოპიურ და რეალისტურ მოდელებს შორის წყალგამყოფი ედვარდ ჯარმა გაავლო, 1939 წელს გამოქვეყნებული თავისი საეტაპო ნაშრომით - „20-წლიანი კრიზისი, 1919-1939“.

რეალიზმის ტრიუმფი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განაპირობა იმ მოვლენებმა, რასაც XX საუკუნის 20-30-იან წლებში ადგილი ჰქონდა ევროპასა და აზიაში. ამ დროს ნაცისტურმა გერმანიამ, ფაშისტურმა იტალიამ და იმპერიულმა იაპონიამ ისე გადახაზეს საერთაშორისო წესრიგი, რომ ჯეროვან წინააღმდეგობას არც კი წაწყდომიან. დიდი სახელმწიფოები კი, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჩათვლით ამაოდ ელოდნენ, რომ დამოშმინების პოლიტიკა შედეგს გამოიღებდა. შეთანხმებებმა ვერ იმუშავა (მათ შორის, ვერც 1938 წლის მიუნხენის შეთანხმებამ, რომელმაც უომრად გადასცა გერმანიას სუდეტის ოლქი და შემდეგ - მთლიანად ჩეხოსლოვაკია). კოლექტიური უსაფრთხოების დამყარების ეს მცდელობა ჩავარდა, აკადემიურ წრეებში კი

გაჩნდა საჭიროება ისეთი თეორიული ჩარჩოს შემუშავების, რომელიც უკეთ ახსნიდა მიმდინარე მოვლენებს.

თეორიის კიდევ ერთი მომხიბვლელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არამხოლოდ გვეხმარება უკეთ დავინახოთ მოვლენები (ანუ არის ამხსნელი ინსტრუმენტი), არამედ წარმოადგენს ერთგვარ საგზაო რუკას გადაწყვეტილების მიმღებთათვის (ანუ არის ე.წ. პრესკრიფციული ინსტრუმენტი - მსგავს მაგალითებს, საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური და პრაქტიკული ნაწილის ერთმანეთთან შემხებლობაზე, ქვემოთ ვრცლად შევეხებით ნეორეალიზმის მიერ საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე მოვლენების აღქმის განხილვისას). სწორედ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეალისტი, ჯორჯ კენანი გახლდათ ის, ვინც დიდი წვლილი შეიტანა აშშ-ის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ცივი ომის პირობებში, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის - მარშალის გეგმის ფორმირებაში.

თუმცა ეს ნაშრომი არ ეძღვნება კლასიკურ რეალიზმს. თეორიები ტრანსფორმაციას განიცდიან და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. 1979 წელს კენეთ უოლცმა დაწერა წიგნი „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“, რომელმაც შეაზანზარა აკადემია და რეალისტურ თეორიას ახალი მიმდინარეობა შესძინა - ნეორეალიზმი. სწორედ მასზე ვისაუბრებ ამ ნაშრომში.

საწყისი ნაწილი მიეძღვნება მთავარ ნეორეალისტურ დაშვებებსა და კონცეფციებს, შემდეგ შევეხებით ნეორეალიზმის მიერ თანამედროვეობის აღქმას და განვიხილავ XXI საუკუნის მნიშვნელოვან კონფლიქტებს - ერაყის ომს, უკრაინის კრიზისს და ჩინეთის აღმავლობის საკითხს. მეოთხე თავში მიმოვიხილავ იმ კრიტიკულ ხედვებს, რომლებიც ნეორეალიზმისადმი არსებობს და ბოლოს, შევაჯამებ ყველა ზემოაღნიშნულ საკითხს.

2. ნეორეალიზმი - მთავარი დაშვებები და კონცეფციები

დასაწყისშივე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ნეორეალიზმი ბევრ საკითხში იზიარებს კლასიკური რეალიზმის შეხედულებებს. ამის კარგად გასაგებად გამოგვადგება ჯონ მირშაიმერის წიგნი - „დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის ტრაგედია“ მოცემული ცხრილი, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

მთავარი რეალისტური თეორიები			
	კლასიკური რეალიზმი	თავდახვითი რეალიზმი	თავდასხვითი რეალიზმი
რა უბიძგებს სახელმწიფოებს ძალაუფლებისთვის ბრძოლისკენ?	ძალაუფლებისადმი სწრაფვა სახელმწიფოს ბუნებაშია ჩადებული	სისტემის სტრუქტურა	სისტემის სტრუქტურა
რამდენად დიდი ძალაუფლება სურთ სახელმწიფოებს?	იმდენი, რამდენიც შეუძლიათ მოიპო-ვონ. სახელმწიფოები შედარებითი ძალის მაქსიმიზაციას ახდენენ, მათი საბოლოო მიზანი კი ჰეგემონიაა.	არა მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე რამდენიც აქვთ. სახელმწიფოები ორიენტირებული არიან ძალთა ბალანსის შენარჩუნებაზე.	იმდენი, რამდენიც შეუძლიათ მოიპო-ვონ. სახელმწიფოები შედარებითი ძალის მაქსიმიზაციას ახდენენ, მათი საბოლოო მიზანი კი ჰეგემონიაა.

ცხრილი 1: მთავარი რეალისტური თეორიები. წყარო: Mearsheimer 2001

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ კლასიკური რეალიზმის მთავარი დაშვება, რომელიც სახელმწიფოების საბოლოო მიზანზეა აქცენტირებული აბსოლუტურად იდენტურია ნეორეალისტური ხედვის მეორე

მიმართულებასთან.

თუმცა, სანამ უფრო სიღრმისეულად გავერკვევით თავდაცვითსა და თავდასხმით რეალიზმს შორის განსხვავებებში, აუცილებლად უნდა მიმოვიხილოთ ნეორეალიზმის ფუძემდებლური ნაშრომი, კენეთ უოლცის „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“, სადაც ის აცალიბებს იმ ფუნდამენტს, რაზეც ნეორეალიზმის შემდგომი ვარიაციები დგას.

ვინაიდან ნეორეალიზმის მთავარი ფოკუსი სისტემაა, უოლციც ყველაზე დიდ დროს მის განმარტებას უთმობს. ის საკითხის უკეთ გასაგებად შიდა პოლიტიკურ სტრუქტურას მიმოიხილავს, რომელიც ელემენტებისგან შედგება: 1. პრინციპი, რომლის გარშემოც წესრიგია აგებული; 2. ერთეულების ფუნქციები, რომლებიც განასხვავებს მათ ერთმანეთისგან; 3. ძალაუფლების გადანაწილება ერთეულებს შორის. სახელმწიფოთა შიდა სისტემები ცენტრალიზებული და იერარქიულია - ზოგი მართავს, ზოგიერთი კი ემორჩილება (Waltz 1979, 82). ეს იმას ნიშნავს, რომ შიდა პოლიტიკაში, სახელმწიფოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ნათლად არის გავლენიანი ხაზები და საკუთარი მოვალეობა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ესმის.

ახლა კი ყველაზე მთავარი - როგორ ითარგმნება ეს ყველაფერი საერთაშორისო პოლიტიკაში. 1. მოწყობის პრინციპები - თუ შიდა პოლიტიკაში გაწერილია ვინ უნდა მართოს და ვინ უნდა დაემორჩილოს მითითებებს, საერთაშორისო პოლიტიკაში ასეთი რამ არ არსებობს. თითოეული ერთეული თანასწორია და არავინაა ვალდებული ვინმეს დაემორჩილოს. თუ შიდა პოლიტიკა ცენტრალიზებული და იერარქიულია, საერთაშორისო პოლიტიკა დეცენტრალიზებული და ანარქიულია. სისტემა კი მუშაობს ერთი პრინციპით, რომელსაც ყველა ერთეული მიმართავს - ეს არის თვით-დახმარება. სახელმწიფოები მოქმედებენ იმისთვის, რომ თავი გადაირჩინონ, თუმცა გადარჩენისთვის გაწეული ქმედებები სავსებით დასაშვებია მოიცავდეს მსოფლიოს დაპყრობიდან საკუთარი ტერიტორიის შენარჩუნებამდე ნებისმიერ არჩევანს. მათ შორის სხვა სახელმწიფოსთან გაერთიანებასაც კი, თუ სუვერენულობა ამ ერთეულისთვის ღირებულებად არ მიიჩნევა; 2. ერთეულების სახასიათო შტრიხები - სახელმწიფოები არ განსხვავდებიან ფუნქციებით, რომლებსაც ისინი ასრულებენ (განსხვავებით შიდა პოლიტიკური სტრუქტურისგან, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხასიათდება მკაცრად გაყოფილი საზღვრებითა და მოქმედების არეალით). თუმცა სახელმწიფოები განსხვავდებიან ზომით, მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური განვითარებით და ა.შ. მაშინ რატომ ვახვედრებთ მათ ერთ კატეგორიაში? უოლცის პასუხი მარტივია, იმიტომ, რომ ისინი ეჯახებიან ერთმანეთის მსგავს ამოცანებსა და გამოწვევებს; 3. ძალაუფლების გადანაწილება. ერთეულები განსხვავდებიან მათი შესაძლებლობებით. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემების ერთმანეთისგან განსხვავება ნეორეალიზმისთვის შესაძლებელია მხოლოდ იმით, თუ რამდენი დიდი სახელმწიფოა მასში. ვინმემ შეიძლება იკითხოს, რომ თუ მხედველობაში შეგვაქვს სახელმწიფოს შესაძლებლობა (ძალა), მაშინ რატომ არ ვსაუბრობთ იდეოლოგიაზე, სახელმწიფო მართვის სისტემაზე და ა. შ. პასუხი კი შემდეგია, ძალაუფლების გადანაწილება არა ერთეული სახელმწიფოს ატრიბუტია, არამედ სისტემის. ჩვენ ვადარებთ შესაძლებლობებს სისტემაში არსებულ სახელმწიფოებს შორის და არ ვსაუბრობთ თითოეული სახელმწიფოს ძალაზე, როგორც ცალკე აღებულზე (Waltz 1979, 92-99).

ნეორეალისტური ხედვისთვის სწორედ ეს სამი საყრდენი განაპირობებს იმას, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ანარქიული წესრიგია, ხოლო ანარქია თავად საზღვრავს მთავარ პრინციპს, რომელიც თვით-გადარჩენას ეფუძნება.

უოლცის აზრით, სახელმწიფოებს შორის ბუნებრივი მდგომარეობა - ომის მდგომარეობაა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მუდმივად ომები მიმდინარეობს, არამედ ნიშნავს იმას, რომ თითოეული სახელმწიფო თავად წყვეტს სად და როდის დაიწყოს ის. შესაბამისად, ომი ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს (Waltz 1979, 102).

უფრო ნათლად საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ პრინციპსა და მის სისასტიკეზე სწორედ გემოთ ნახსენები ჯონ მირშიმერი საუბრობს. მისი აზრით, საერთაშორისო პოლიტიკა ყოველთვის იყო და დარჩება სასტიკ და საშიშ საქმედ. დიდ სახელმწიფოებს კვლავ ეშინიათ ერთმანეთის და ყოველთვის იბრძოლებენ ერთმანეთის წინააღმდეგ. თითოეული სახელმწიფოს მიზანია შედარებითი ძლიერების ზრდა, რაც ნიშნავს სხვის ხარჯზე გაძლიერებას (Mearsheimer 2001, 2). გე-მიზანი კი ჰეგემონიაა. არ არსებობენ სტატუს-კვოს მოყვარული ძალები, მანამ, სანამ ჰეგემონია არ არსებობს და ნაკლებსავარაუდოა მომავალში ეს მოცემულობა შეიცვალოს, მსოფლიოში მუდმივად იქნება დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება.

და მაინც, რატომ არის საერთაშორისო პოლიტიკა ასეთი სასტიკი და რა განაპირობებს სახელმწიფოების ქცევას? ნეორეალისტების პასუხი კვლავინდებურად სტრუქტურაზე მიუთითებს და იმ შიშზე, რომელსაც ანარქიული სისტემა წარმოშობს. მირშიმერი იმ სამ შტრიხს ასახელებს, რატომაც ქვეყნებს ერთმანეთის ეშინიათ: 1. ცენტრალური არბიტრის არარსებობა, რომელიც მათ ერთმანეთისგან დაიცავს; 2. მოცემულობა, რომ სახელმწიფოებს აქვთ თავდასხმითი შესაძლებლობები; 3. სახელმწიფოებმა არ იციან ერთმანეთის განზრახვები. შესაბამისად, ჰეგემონია ერთადერთი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ სახელმწიფოებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ და გადარჩენის გარანტია გააჩნდეთ (Mearsheimer 2001, 3-4). ეს, უკანასკნელი, მართალია, თავდასხმითი რეალიზმის დაშვებაა, თუმცა ნათლად მეტყველებს სისტემაში არსებულ საშიშროებებზე. შიშის დონე სახელმწიფოებს შორის განსაზღვრავს დაპირისპირების ხარისხს. რაც უფრო დიდია შიში, მით უფრო ღრმაა კონფრონტაცია და უსაფრთხოებისთვის შეჯიბრი (Mearsheimer 2001, 42).

რამეთუ გარკვეულწილად გავეცანით ნეორეალიზმის თავდაცვითი და თავდასხმითი მიმართულებების არსს, დროა უფრო ჩავუღრმავდეთ მათ. უოლცისეული გაგებით სახელმწიფოსთვის მთავარი არსებული წესრიგის შენარჩუნებაა, რაც თავდაცვითი რეალიზმის საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მიუხედავად განსხვავებისა, მირშიმერის თავდასხმითი რეალიზმიც სტრუქტურულია, აქაც ამოცანა გადარჩენაა, ძალაუფლება კი მისი მიღწევის მთავარი საშუალება. საკვანძო განმასხვავებელი უოლცსა და მირშიმერს შორის არის ის, თუ რამდენი ძალაუფლება სურთ სახელმწიფოებს. თავდაცვითი რეალიზმისთვის საერთაშორისო სტრუქტურა არ იძლევა სტიმულს ქვეყნებს დამატებითი ძალის მიღებისკენ უბიძგოს, არამედ პირიქით - შენარჩუნებისკენ აძლევს მიმართულებას. თავდასხმითი რეალიზმისთვის კი სტატუს-კვო ძალა საერთაშორისო პოლიტიკაში ძნელი მოსაძებნია, რადგან სახელმწიფოები მუდმივად სხვის ხარჯზე ძალის მომატებაზე ფიქრობენ. მთავარი მიზანი კი ჰეგემონიაა. დიდი სახელმწიფოები, მუდმივად თავდასხმაზე არიან ორიენტირებულნი, რადგან ამით გადარჩენის შანსს იზრდიან (Mearsheimer 2001, 21).

მირშიმერი, ამასთანავე, აკეთებს 5 დაშვებას, რომლებიც მის თეორიას ამყარებს: 1. სისტემის სტრუქტურა ანარქიულია; 2. სახელმწიფოებს აქვთ თავდასხმითი შესაძლებლობები; 3. სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იცოდნენ სხვა ერთეულების განზრახვების შესახებ; 4. გადარჩენა დიდი სახელმწიფოების მთავარი მიზანია - გადარჩენა, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს ტერიტორიულ მთლიანობასა და ავტონომიას შიდა საქმეებში; 5.

დიდი სახელმწიფოები რაციონალური აქტორები არიან (Mearsheimer 2001, 30-31).

მოსაზრება, რომ გარკვეული ძალის მოხვეჭა სახელმწიფოს ამშვიდებს, ჰეგემონიის ვერმოპოვების შემთხვევაშიც კი, არადასაჯერებელია შემდეგი მიზეზების გამო: 1. რთულია განსაზღვრო რამდენად დიდი ძალა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს ამისთვის; 2. რა მოხდება 10-20 წლის შემდეგ, წინასწარ ვერავის ეცოდინება, შესაბამისად, ჰეგემონია და ყველა მეტოქის მოსპობა ერთადერთი გამოსავალია (Mearsheimer 2001, 34-35).

როგორც გამოჩნდა, ძალა ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც ნეორეალიზმის ორივე მიმართულება დიდ როლს ანიჭებს. თეორიული კუთხით, აუცილებელია, განვაცალკევოთ, შედარებითი და აბსოლუტური ძალა. აბსოლუტური ძალის მოხვეჭაზე ორიენტირების შემთხვევაში სახელმწიფოს არ ანალვლებს საერთაშორისო პოლიტიკური მოცემულობა, ანუ მისი მიზანია იყოს უფრო ძლიერი, ვიდრე აქამდე იყო. ხოლო შედარებით ძალაზე ორიენტირების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ძლიერდება ერთი სახელმწიფო მეტოქეებთან შედარებით. ნეორეალისტთათვის საკვანძო სწორედ შედარებითი ძალაა, რადგან აბსოლუტურზე ორიენტირებამ, შესაძლოა, სხვა უფრო მეტად გააძლიეროს და ეს მის საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული (Mearsheimer 2001, 36).

ახლა კი მიმოვიხილოთ თავდაცვითი და თავდასხმით რეალიზმის მთავარი არგუმენტები და კონტრარგუმენტები. თავდაცვითი რეალიზმი ორ ძირითად დაშვებაზე დგას: 1. საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნები პოტენციური აგრესიის შემთხვევაში მეტოქის დაბალანსებას იწყებენ და ამარცხებენ მას; 2. თავდაცვისა და თავდასხმის ბალანსი მუდმივად გადახრილია თავდაცვის სასარგებლოდ, რაც დაპყრობითი ომების წარმატებულად დასრულებას ართულებს. მირშაიმერი ამ არგუმენტებს ისტორიულ ფაქტს უპირისპირებს, რომ 1815-1980 წლებს შორის 63 წარმოებულ ომში 39 მათგანი მოიგო იმ სახელმწიფომ, რომელმაც თავად დაიწყო კონფლიქტი. ასეთი ომების მაგალითებია ჰიტლერის კამპანია ევროპაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებამდე, ბისმარკის ომები გერმანიის გაერთიანებამდე, აშშ-ის მონროს დოქტრინის დროინდელი საგარეო პოლიტიკა და ა.შ. (Mearsheimer 2001, 39).

ვინაიდან თავდასხმითი რეალიზმისთვის ჰეგემონია ძირეული პრინციპია, საჭიროდ მიმაჩნია განვმარტოთ მისი მნიშვნელობაც. ჰეგემონი არის ქვეყანა, რომელიც დომინირებს ყველა სხვა სახელმწიფოზე სისტემაში და არავის ძალუძს მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. მირშაიმერისთვის ასეთია ამერიკის შეერთებული შტატები დასავლეთ ნახევარსფეროში (Mearsheimer 2001, 40).

ნეორეალიზმისთვის ძალთა ბალანსი უმნიშვნელოვანესი კონცეფციაა, ამიტომაც საჭიროა მასაც დავუთმოთ ყურადღება. უოლცი ძალთა ბალანსის თეორიაზე საუბრისას მის მთავარ საყრდენებს გამოყოფს: 1. სახელმწიფოები არიან უნიტარული აქტორები, რომლებიც, როგორც მინიმუმ, ზრუნავენ თავის გადარჩენაზე და მაქსიმუმ - უნივერსალურ დომინაციაზე; 2. ისინი ამის გაკეთებას საერთაშორისო ასპარეზზე ცდილობენ საკუთარი ალიანსის გაძლიერება-გაფართოვებით ან მეტოქის ალიანსის დამცრობით; 3. არსებობს თვით-დახმარების სისტემა, რომლის მთავარი პრინციპია დაეხმარო საკუთარ თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია არსებობის გაგრძელება - ამის შიში კი სახელმწიფოებს უბიძგებთ ჩამოაყალიბონ ძალთა ბალანსი. თეორია მარტივად მოიცავს, რომ ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებას სურვილი ან რაციონალურობა არ სჭირდება - ერთადერთი საჭიროებაა სახელმწიფოს სწრაფვა გადარჩენისკენ (ძალთა ბალანსთან მიმართებით კლასიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის მთავარი განმასხვავებელიც სწორედ ესაა. კლასიკური და

ნეოკლასიკური რეალისტები მიიჩნევენ, რომ ძალთა ბალანსის შექმნა საჭიროებს ინდივიდუალურ დონეზე გამჭრიახი ლიდერების არსებობასა და მათ როლს. მაგალითისთვის, ჰენრი კისინჯერი საკუთარ ნაშრომში „დიპლომატია“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთ სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორებიც არიან საფრანგეთის პირველი სახელმწიფო მინისტრი, კარდინალი რიშელიე - XVII საუკუნეში; ავსტრიის იმპერიის კანცლერი, კლემენს ფონ მეტერნიხი - XIX საუკუნის პირველ ნახევარში; იმპერიული გერმანიის კანცლერი, ოტო ფონ ბისმარკი - XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ა. შ. კისინჯერის აზრით, ხანგრძლივი ძალთა ბალანსის შექმნა დამოკიდებულია სწორედ სახელმწიფო მოღვაწეების უნარზე, სწორად გამართონ სისტემა).

ძალთა ბალანსის პოლიტიკა მუდმივადაა თამაშში თუ 2 აუცილებელი პირობაა დაკმაყოფილებული: 1. წესრიგი ანარქიულია; 2. არსებობენ ერთეულები, რომლებსაც გადარჩენა სურთ (Waltz 1979, 118-121).

ძალთა ბალანსისთვის ალიანსები აუცილებელი ინსტრუმენტია. უოლცი ალიანსის შექმნის ორ მოტივს გამოყოფს: 1. დაბალანსება; 2. მიტმასნება. მხარეები დაბალანსებენ თუ მიეტმასნებიან ერთმანეთს სრულად არის დამოკიდებული საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაზე. თუ ერთი სახელმწიფო ცალსახად ყველაზე ძლიერია და შეუძლებელია მისი პირველობის პრევენცია, მაშინ მიტმასნება და არა დაბალანსებაა სახასიათო ქცევა (Waltz 1979, 125-126).

ალიანსების თაობაზე ნეორეალისტურ ხედვაში სამეცნიერო ლიტერატურის ფართო სპექტრი არსებობს. გლენ სნაიდერი ნაშრომში „ალიანსების თეორია“ წერს: „ალიანსები წარმოადგენენ მხოლოდ ერთ განშტოებას ბევრად ფართო და საბაზისო ფენომენისა, რომელსაც „მოკავშირეობა“ ეწოდება. მოკავშირეობა გულისხმობს საერთო მოლოდინებს ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომ მათ ექნებათ ერთმანეთის მხარდაჭერა კონფლიქტებსა თუ ომებში სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ამ მოლოდინებს კი, თავის მხრივ, განაპირობებს საერთო ინტერესები. ინტერესების თანხვედრა, შესაძლებელია, იყოს სუსტი ან ძლიერი, რაც ძირითადად დამოკიდებულია კონფლიქტის ხარისხზე კონკრეტულ საერთო მეტოქესთან. ფორმალური ალიანსები კი აძლიერებს არსებულ მოკავშირეობას ან ქმნის საერთოდაც ახალს, მის მიმართ ერთგულებით, დეტალურობით, ლეგალური და ნორმატიული ვალდებულებებითა და საჯარო ხილვადობით“ (Snyder 1990).

თუ არსებობს მოკავშირეობის ფენომენი, ანუ სახელმწიფოების საერთო ინტერესები იმოქმედონ ერთობლივად გარკვეულ შემთხვევებში, მაშინ საერთოდ რატომ არის საჭირო ალიანსების გაფორმება, რაიმე დოკუმენტზე ხელმოწერით? სნაიდერი წერს, რომ „ფორმალური ალიანსების შექმნა ორმხრივი მხარდაჭერის მოლოდინებს აზუსტებს, განსხვავებით მოკავშირეობისა, როდესაც მხოლოდ უსიტყვო შეთანხმებები არსებობს. ალიანსები, მთლიანობაში, აძლიერებენ მოკავშირეობას - სიზუსტის, ვალდებულებებისა და ორმხრივი მოქმედებების თვალსაზრისით“ (Snyder 1990).

ალიანსის გაფორმებასა და თანამშრომლობის გასაჯაროებას დამატებითი სარგებელიც მოაქვს, რომლებიც შეგვიძლია შემდეგი სამი მიმართულებით დავაგუფოთ: „ნაკლები ალბათობა, რომ რომელიმე ძალამ სახელმწიფოს წინააღმდეგ თავდასხმით ომი აწარმოოს (შეკავება), უფრო მეტი სიძლიერე, თუ მაინც შეტევის ობიექტი გახდა სახელმწიფო (თავდაცვა), მოკავშირის მეტოქესთან ალიანსში შესვლის პრევენცია (აღკვეთა)“ (Snyder 1990).

ალიანსების არსობრივ საკითზე ნეორეალისტები სხვადასხვა ახსნას გვთავაზობენ. უოლტი წერს: “ის, რომ

სახელმწიფოები შეუერთდებიან ალიანსებს დომინაციის თავიდან აცილების მიზნით, ტრადიციული ძალთა ბალანსის თეორიის ამოსავალი წერტილია“ (Walt 1985). უოლცის მოსაზრებით კი - „ალიანსები იქმნება იმ სახელმწიფოების მიერ, რომელთა გარკვეული ინტერესები (მაგრამ, შესაძლოა, არა - ყველა) ერთმანეთთან თანხვედრაშია. საერთო ინტერესი, როგორც წესი, ნეგატიურია: სხვა სახელმწიფოების შიში. განსხვავება წინ წამოიწევა მაშინ, როდესაც პოზიტიური ინტერესების საკითხი დგება. ალიანსებთან დაკავშირებული სტრატეგიები ყოველთვის კომპრომისის შედეგია, რამეთუ მოკავშირეების ინტერესები და მათი აღქმა, თუ როგორ დაიცვან ეს ინტერესები, არასდროსაა სრულად იდენტური“ (Waltz 1979).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ალიანსებზე საუბრისას არის ის, თუ რატომ ძლებენ ან იშლებიან ალიანსები. უოლტი წერს, რომ „ალიანსები დაიშლებიან, როდესაც მასობრივად იცვლება იმ საფრთხის აღქმა, რომლის დასაბალანსებლადაც ისინი შეიქმნენ“ (Walt 1997). უოლტი ალიანსების დაშლის ხუთ სცენარს გამოყოფს: პირველი, ის სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც ბალანსის აქტი იქმნება, დასუსტდება და ალიანსში მყოფ ერთეულს შეუძლია მართო გაუმკლავდეს მას; მეორე - ალიანსები შეიძლება დაიშალოს, თუ მასში შემაგალი რომელიმე სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა და მას აღარ დასჭირდება ალიანსი დაბალანსების აქტისთვის, რამეთუ ამას მართო გააკეთებს ან შესაძლებელია, ალიანსის სხვა წევრებმა ამის გამო ის აღიქვან მათი უსაფრთხოებისთვის გამოწვევად; მესამე, თუ ალიანსში შემაგალი სახელმწიფო აგრესიული გახდა ან ვის წინააღმდეგაც დაბალანსება ხდება ის ბევრად უფრო კეთილგანწყობილია მათ მიმართ, ვიდრე ნავარაუდევია იყო; მეოთხე, თავდასხმითი ალიანსები ბევრად უფრო ცოტა ხანს ძლებს, ვიდრე თავდაცვითი, რამეთუ, როგორც კი მიზანი მიიღწევა, ისინი იყოფიან; მეხუთე, ალიანსი შეიძლება დაიშალოს იმ შემთხვევაშიც, თუ მტერი იგივე დონეზე რჩება, ალიანსში მყოფი სახელმწიფოებიც იგივე დონეზე, მაგრამ მოკავშირეობის სანდოობა არის ეჭვქვეშ; მეხუთე, ქვეყნები გადახედავენ ალიანსების საჭიროებას, თუ სერიოზულ საშინაო ცვლილებებს აქვს ადგილი და იდეოლოგიური პრინციპები აღარაა თანხვედრაში ალიანსის მიზნებთან და საჭიროებებთან.

რაც შეეხება პასუხს კითხვაზე, თუ რატომ ძლებენ ალიანსები და რა არის მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით, უოლტი წერს, რომ „უმნიშვნელოვანესი წყარო ალიანსის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობისთვის არის ალიანსის ძლიერი ლიდერის მიერ საკუთარი ძალის გამოყენება“ (Walt 1985).

მთლიანობაში, ნეორეალიზმისთვის კონკრეტული ალიანსები მაინც დროებითი მოვლენაა და არა მუდმივი, მირშიმერის მოსაზრებით შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ თანამშრომლობა არ ნიშნავს მუდმივობას. თანამშრომლობის ვერანაირი ხარისხი ვერ დადგება უსაფრთხოებისთვის შეჯიბრზე წინ, მანამ სანამ სისტემა ანარქიული რჩება (Mearsheimer 2001, 53).

ნეორეალისტური შეხედულებები ცალსახად სახელმწიფო-ცენტრულია, ანუ განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა სხვა აქტორებს საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორებიცაა საერთაშორისო ინსტიტუციები, ტრანსნაციონალური ორგანიზაციები და ა. შ. თუმცა ორი მიმართულებით სახელმწიფო-ცენტრული მიდგომა ხშირად ეჭვქვეშ დგება: ა. მხოლოდ სახელმწიფოები არ არიან მნიშვნელოვანი აქტორები საერთაშორისო ასპარეზზე; ბ. სახელმწიფოების მნიშვნელობა უფრო და უფრო ეცემა. უოლცი ამ დაშვებებს პასუხობს და წერს, რომ სახელმწიფოების გარდა, მართალია, საერთაშორისო პოლიტიკაში სხვა აქტორებიც არსებობენ, მაგრამ სტრუქტურა ისაზღვრება მხოლოდ მთავარი აქტორების მიერ. ხოლო მთავარი აქტორები სწორედ

სახელმწიფოები არიან და რამდენადაც ეს ასეა, სისტემის სტრუქტურა სწორედ მათი მეშვეობით უნდა განიმარტოს. სახელმწიფო-ცენტრული მიდგომა სულაც არ ნიშნავს, რომ სხვა აქტორებს მნიშვნელობა არ აქვთ, არამედ იმას, რომ ისინი მოქმედებენ ისეთი სისტემის სტრუქტურაში, სადაც მთავარი მოქმედი ერთეულები თავად არიან. მთლიანობაში, სახელმწიფოები არიან ერთეულები, რომელთა ინტერესებიც ქმნის საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას (Waltz 1979, 94-95).

ნეორეალიზმი ეხება სუვერენიტეტის საერთაშორისო პოლიტიკურ გაგებასაც. უოლცის აზრით, ცდებიან ისინი, ვინც ამბობენ, რომ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა ის აკეთონ, რაც სურთ. სუვერენულობა არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოები აკეთებენ იმას, რაც სიამოვნებთ ან იმას, რომ ისინი არ ექვემდებარებიან გავლენას, ან იმას, რომ ყოველთვის აქვთ იმის შესაძლებლობა მიიღონ ის, რაც სურთ. სუვერენულობა და რომელიმე სახელმწიფოსა ან ალიანსზე დამოკიდებულება, სულაც არ არის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. უოლცის სიტყვებით - „სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავად წყვეტს იმას, თუ როგორ გაუმკლავდეს საშინაო-საგარეო პრობლემებს, იმის ჩათვლით, ითხოვოს თუ არა დახმარება და შეიმციროს თუ არა მოქმედების თავისუფლება.“ – (Waltz 1979, 96).

საერთაშორისო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობის საკითხი. ნეორეალისტები ძირითადად ორიენტირდებიან იმაზე, თუ რა უშლის ხელს პროდუქტიული თანამშრომლობის არსებობას საერთაშორისო ასპარეზზე, არადა ისინიც აღიარებენ, რომ ფუნქციების გადანაწილება, როგორც საშინაო პოლიტიკაშია მომგებიანი, ისევე შედეგის მომტანი იქნებოდა საერთაშორისო არენაზე. საერთაშორისო პოლიტიკური სტრუქტურა ზღუდავს თანამშრომლობის შესაძლებლობებს ორი მიზეზის გამო: 1. როდესაც თანამშრომლობის საკითხი დგება, ისმება შეკითხვა მოიგებს თუ არა ორივე? ან ვინ მოიგებს უფრო მეტს? თუ ეს სარგებელი არათანაბარია, მაშინ თანამშრომლობის სურვილი იკლებს, რადგან იქმნება შიში, რომ გაზრდილ შესაძლებლობას მეორე სახელმწიფო სწორედ პირველის საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. ანუ მუდმივი საფრთხის არსებობა აფერხებს თანამშრომლობას და აქრობს სტიმულს. 2. შიში, რომ არ გახდეს ერთი სახელმწიფო მეორეზე დამოკიდებული - მაგალითად რესურსების მოწოდებაში, ეკონომიკური დოვლათის შექმნაში, უსაფრთხოების საკითხებში და ა. შ. (Waltz 1979, 106).

თანამშრომლობის საკითხის განხილვისას ბუნებრივად ჩნდება გლობალური პრობლემების მოგვარების გამოწვევა და მასზე ნეორეალისტური შეხედულებების გაჩენა. ნეორეალიზმი ყურადღებას აქცევს გლობალურ პრობლემებსაც და იმასაც იკვლევს, თუ რატომ ვერ ხერხდება ისეთ საკითხებზე შეთანხმება, რომელთა გადაწყვეტაც ყველა სახელმწიფოს ინტერესშია. 70-იან წლებში ბევრი მიიჩნევდა, რომ ბირთვული იარაღისა და ორმხრივი განადგურების საშიშროების არსებობის გამო საერთაშორისო განიარაღება უნდა მომხდარიყო. იმავე დამოკიდებულებას გავიგებთ დღეს დაბინძურებისა თუ სიღარიბის შემცირების მიმართულებით. ამ ხედვით ეროვნული ინტერესი საერთაშორისოს უნდა დაექვემდებაროს. თუმცა არავის უჩვენებია, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს და როგორ უნდა გადაინაცვლოს ეროვნულმა ინტერესებმა მეორე რიგში. რამეთუ თითოეული სახელმწიფო დაკავებულია საკუთარ გადარჩენაზე ფიქრით, ვერავინ იბრუნებს სისტემაზე. უოლცის სიტყვებით - „ის, რომ სახელმწიფოები ვერ ჭრიან გლობალურ პრობლემებს არ არის იმის ბრალი, რომ მათ ან მონდომება აკლიათ ან ჭკუა“ (Waltz 1979, 109). აქ სწორედ სისტემური ძალების არსებობის საკითხი დგას. მაგალითისთვის, ჩერჩილი პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანულ-ინგლისურ საზღვაო შეჯიბრს საშინელებად აღიქვამდა და იცოდა, რომ ამას ცუდი შედეგები მოჰყვებოდა მსოფლიოსთვის, მაგრამ თავადვე ამბობდა, რომ ბრიტანეთი

იძულებული იყო ეს შეკიბრი გაეგრძელებინა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდა (Waltz 1979, 109-110).

სწორედ ესაა ნეორეალიზმის ძირითადი დაშვებები მთავარ საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებზე. მათი სწორად გაგება არ ნიშნავს, რომ უნდა დავეთანხმოთ, რადგან არსებობს როგორც ადეკვატური ისე არაადეკვატური თეორიები ალოგიკური დაშვებებით, თუმცა, ვინაიდან ნეორეალიზმი დღესაც რელევანტური რჩება, ამ თეორიული საკითხების სწორი აღქმა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის ფუნდამენტურია.

3. ნეორეალიზმი და თანამედროვეობის აღქმა

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ნაწილის გაგება არაფერია, მათი თანამედროვე მოვლენებისადმი მისადაგების გარეშე. ამ თავში მიმოვიხილავ XXI საუკუნეში განვითარებულ მთავარ მოვლენებს და მათთან დაკავშირებულ ნეორეალისტურ ხედვებს.

3.1 ერაყის ომი

2003 წელს აშშ-ს ინტერვენცია ერაყში და სადამ ჰუსეინის რეჟიმის შეცვლა ერთ-ერთი ისეთი მოვლენაა, რომელიც დღემდე ფართოდ განხილება როგორც აკადემიურ წრეებში, ისე პრაქტიკულ პოლიტიკაში. მასზე ნეორეალისტური ხედვა ცალსახად ნეგატიურია. ნეორეალისტ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ომი არასწორი მოტივებითა და საფუძვლებით დაიწყო და ამას არანაირი საერთო არ გააჩნდა იმ დაშვებებთან, რომლებიც წინა თავში ჩამოვაყალიბე. აღნიშნული მოვლენის განხილვას ჯონ მირშაიმერისა და სტივენ უოლტის ნაშრომზე „არასაჭირო ომი“ დაყრდნობით შევეცდები. სტატია 2003 წელს ომის დაწყებამდეა დაწერილი.

ავტორები დასაწყისშივე აღნიშნავენ, რომ ერაყის დაუმორჩილებლობა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის თაობაზე გაერო-ს ინსპექტირებისადმი, არ არის რეალური მიზეზი აშშ-ს პოტენციური შეჭრისა ერაყში. არასწორია რწმენა, რომ სადამ ჰუსეინის წარსული ქცევა აჩვენებს მისი შეკავების შეუძლებლობას. მისი შეკავება შესაძლებელია ისევე, როგორც ეს მოხდა სსრკ-ს შემთხვევაში ცივი ომის დროს. ბევრი ამტკიცებს, რომ მისი ქცევა 1980-90-იან წლებში არარაციონალური იყო, მაგრამ მირშაიმერისა და უოლტის აზრით, ორივე შემთხვევაში (როგორც ირანთან ომის, ისე ქუვეითში შეჭრის დროს) ჰუსეინი ემორჩილებოდა რაციონალურ ლოგიკას, რამეთუ მისი მიზანი იყო სტრატეგიული დილემის გადაწყვეტა შეზღუდული სამხედრო გამარჯვებით (Mearsheimer and Walt 2003).

ავტორებს ერაყის არარაციონალური ქცევის გამორიცხვა სურთ და ამ მიზნით ორივე ომს ცალ-ცალკე განიხილავენ:

ა. ირან-ერაყის ომი (1980-88 წწ.): ავტორების პერსპექტივა ომზე შემდეგია - რევოლუცია ირანში სულ რაღაც ერთი წლის მომხდარია, აიათოლა ხომეინი ცდილობს ქურთებისა და შიიტების აჯანყების ხელშეწყობას, რამეთუ სასურველი ფონი შეიქმნას ისლამური რევოლუციის ექსპორტისთვის. სადამ ჰუსეინი კი თავის რეჟიმს საფრთხის ქვეშ მიიჩნევს. იმ მიზნით, რომ აეღო ერაყ-ირანის საზღვართან არსებული ტერიტორია მან დაიწყო ომი, თუმცა მისი მოტივი აიათოლას რეჟიმის შეცვლა არ გახლდათ. სადამს ძვირად დაუჯდა კონფლიქტი (მსხვერპლმა მთლიანობაში 1 მილიონს მიაღწია, ხოლო დანახარჯებმა 150 მილიარდ დოლარს ორივე მხარეს),

მაგრამ ომის შედეგად გაქრა აიათოლას ამბიცია ჰუსეინის რეჟიმის მოშლისა და რეგიონზე დომინაციის მიმართულებით. შესაბამისად, ჰუსეინის ეს ნაბიჯი არ იყო არარაციონალური ავანტიურა, არამედ იყო პასუხი მნიშვნელოვან საფრთხეზე (Mearsheimer and Walt 2003).

ბ. ქუვეითში შეჭრა და ანექსია: სადამ ჰუსეინი ომამდე თვლიდა, რომ ქუვეითი და სხვა სპარსეთის ყურის ქვეყნები ერაყთან ვალში იყვნენ, რადგან ის მათ ირანის ექსპანსიისგან იცავდა. მან თხოვა ქუვეითს 10 მილიარდი დოლარის ოდენობის ვალის ჩამოწერა, რადგან ირანთან ომის მერე ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში იყო. ასევე, ქუვეითი არ ემორჩილებოდა OPEC-ის შეზღუდვებს და მეტ ნავთობს აწარმოებდა, შედეგად კი აგდებდა ფასებს. ამასთან ერთად, აშშ-მ მას ფაქტობრივად მწვანე შუქი აუწოთ, როდესაც 1990 წ. აპრილში, ერაყში აშშ-ის ელჩმა აპრილ გასპიმ ჰუსეინს უთხრა, რომ აშშ-ს არ გააჩნდა მოსაზრება არაბულ კონფლიქტებსა და ქუვეითთან სასაზღვრო დავაზე. სახელმწიფო დეპარტამენტმა კი აქცენტი გააკეთა ქუვეითთან რაიმე უსაფრთხოებისა და თავდაცვის ვალდებულების არარსებობაზე. ერაყმა ქუვეითში შეჭრით დაარღვია საერთაშორისო სამართალი და აშშ-ს ყველა უფლება გააჩნდა შეწინააღმდეგებოდა მას, მაგრამ ჰუსეინის მიერ ინტერვენციის გადაწყვეტილება არარაციონალური არ ყოფილა, შეკავება არ ჩამოშლილა, რამეთუ ის საერთოდ არ განხორციელებულა ამ შემთხვევაში. ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ერაყმა უარი თქვა ქუვეითიდან გამოსვლაზე აშშ-ს მუქარის შემდეგაც კი, ესეც ახსნადია. ბევრს დასავლეთშიც კი არ სჯეროდა, რომ აშშ ომში შევიდოდა ქუვეითის გამო. ჰუსეინმა, ცხადია, ვერ გათვალა, მაგრამ მას ნამუშევარი ჰქონდა ნაბიჯების სხვადასხვა ვარიანტებზე და არჩევანი გააკეთა ომზე, რადგან სერიოზული გამოწვევის წინაშე იდგა. მას კარგი მიზეზები ჰქონდა ერწმუნა, რომ ომი არ გამოიწვევდა საერთაშორისო რეაქციას (Mearsheimer and Walt 2003).

ასევე, არსებობს კიდევ ორი მიზეზი, რატომაც სადამ ჰუსეინის ერაყი რაციონალური აქტორი იყო: 1. არ გამოიყენა ქიმიური/ბიოლოგიური იარაღი კოალიციური ძალების წინააღმდეგ; 2. 1994 წელს სადამ ჰუსეინმა არმიის მობილიზება მოახდინა UNSCOM-ის ინსპექტირების პროგრამის შესაცვლელად, მაგრამ მცისვე უკან დაიხია, როდესაც დაინახა, რომ აშშ-ის მიერ ქუვეითში ჯარების გაძლიერება მოხდა და გაერო-სგან მუქარა გაისმა.

არა-რაციონალურობის გარდა, კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც ერაყის ომის მომხრეების მიერ ჟღერდებოდა იყო ქიმიური იარაღის გამოყენება ქურთებისა და ირანის წინააღმდეგ. ამ არგუმენტის გაგრძელება გახლდათ ის, რომ სავსებით დასაშვები იყო, ერაყს ამ ტიპის შეიარაღება აშშ-ის წინააღმდეგაც გამოეყენებინა. მირშაიმერი და უოლტი აღიარებენ, რომ ორივე შემთხვევა საშინელება გახლდათ, მაგრამ იქვე ხაზს უსვამენ, რომ არც ქურთებს და არც ირანს არ გააჩნდათ სამაგიეროს გადახდის/შურისძიების შესაძლებლობები, შესაბამისად, სადამს ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა. ხოლო თუ იმავე იარაღს ის აშშ-ის წინააღმდეგ გამოიყენებს, ის პრაქტიკულად საკუთარ არსებობას დააყენებს საფრთხის ქვეშ. დასკვნის სახით ავტორები ამბობენ, რომ შეკავება მუშაობს, რისი მაჩვენებელიც ისაა, რომ ჰუსეინს არ გამოუყენებია სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ ქიმიური იარაღი და არ გადაუცია ის ტერორისტული დაჯგუფებებისთვის (Mearsheimer and Walt 2003).

ბოლო საკითხი, რომელსაც ავტორები ეხებიან ერაყისა და ბირთვული იარაღის მოპოვების თემაა. უოლტი და მირშაიმერი აღიარებენ, რომ, მართალია, აშშ-მ შეკავების პოლიტიკით, შესაძლოა, ვერ მოახდინოს ერაყის მიერ ბირთვული იარაღის მოპოვების პრევენცია, მაგრამ ბირთვული ერაყის შეკავება სრულად შესაძლებელია.

აქისინი სამ არგუმენტს უპირისპირდება: 1. ბირთვული იარაღის მოპოვების შემთხვევაში, ჰუსეინმა შესაძლოა დაატეროროს რეგიონული სახელმწიფოები ან საერთაშორისო საზოგადოება, გააკეთონ დათმობები და წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმუქროს ბირთვული იარაღის გამოყენებით. ამ არგუმენტის საპირისპიროდ, ავტორები აღნიშნავენ, რომ თუ ერაყი გამოიყენებს ამ ტიპის იარაღს ის საკუთარ განადგურებაზე მოაწერს ხელს, რისი ალბათობაც პრაქტიკულად არ არსებობს; 2. ბირთვული იარაღის მოპოვების შემთხვევაში, კვლავ შეიჭრება ქუვეითი და დაიმუქრება მისი გამოყენებით. აქაც იგივე კონტრ-არგუმენტი არსებობს, როგორც პირველ შემთხვევაში; 3. მისცემს ბირთვულ იარაღს „ალ-ქაიდას“ ან რომელიმე სხვა ტერორისტულ დაჯგუფებას. აქ მირზაიმერი და უოლტი შემდეგ კონტრ-არგუმენტს აყალიბებენ: არ არსებობს არანაირი სამხილი, რომ ერაყს რაიმეგვარი კავშირი ჰქონდა 11 სექტემბერთან, მეტიც, „ალ-ქაიდას“ სძულს სეკულარული რეჟიმები და ეს დამოკიდებულება ორმხრივია. თუმცა რომც დავუშვათ ერაყისა და „ალ-ქაიდას“ პარტნიორებად ქცევა, ჰუსეინი ვერ გარისკავს ბირთვული იარაღის მათთვის გადაცემას, რამეთუ რეჟიმის არსებობა ამ შემთხვევაშიც ეჭვქვეშ დადგება, რადგან ის ვერ იქნება დარწმუნებული, რომ საერთაშორისო სადაზვერვო სამსახურები ამ ინფორმაციას ვერ მოიპოვებენ. და რომც ვერ მოიპოვონ, ჰუსეინის მიმართ აშშ-ის დამოკიდებულება აშკარაა და მცირე საბაბის გაჩენის შემთხვევაშიც კი განადგურება დაემუქრება (Mearsheimer and Walt 2003).

ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ავტორებს მიაჩნდათ, რომ შეკავება იმუშავებდა და პრევენციული ომი ერაყში რეჟიმის შეცვლისთვის საჭირო არ იყო. ნაშრომის ბოლოს კი მირზაიმერი და უოლტი სწორედ იმ სცენარს აყალიბებენ, რაც შემდგომ რეალობაში მოხდა - მაღალი მსხვერპლი აშშ-ის ძალებსა და ერაყის სამოქალაქო მოსახლეობაში და ზიზი აშშ-ის მიმართ არაბულ და ისლამურ სამყაროში (Mearsheimer and Walt 2003).

მთლიანობაში, ეს კონფლიქტი ნეორეალისტური პერსპექტივიდან ფასდება, როგორც არასაჭირო, რადგან არანაირი სტრატეგიული ინტერესი და თვით-გადარჩენის საკითხი ამ დროს სასწორზე არ იდგა. სასწორის მეორე პინაზე კი იყო მაღალი მსხვერპლი და დიდი დანახარჯები. შესაბამისად, კონფლიქტი არათუ გააძლიერებდა აშშ-ს, არამედ პირიქით - მის შედარებით შესაძლებლობებს შეამცირებდა საერთაშორისო პოლიტიკურ მეტოქეებთან მიმართებაში.

3.1 ჩინეთის აღმავლობა

როგორი იქნება ჩინეთის აღმავლობა? მშვიდობიანი თუ კონფლიქტებით აღსავსე? დღევანდელობაში ეს ის მთავარი შეკითხვაა, რომელსაც საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევარები სვამენ. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ნეორეალიზმის თავდასხმითი მიმართულების პერსპექტივა უახლოეს მომავალს მუქ ფერებში წარმოსახავს.

ჩინეთის აღმავლობას სერიოზული ზეგავლენა აქვს გლობალურ ძალთა ბალანსზე. ძალებს შორის სხვაობა უფრო და უფრო მცირდება აშშ-სა და ჩინეთს შორის. აშშ-ის პირველობა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში კი ეჭვქვეშაა. მირზაიმერის აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აშშ მალე გაქრება რეგიონიდან, მეტიც - აშშ-ის ძალები უფრო მოიმატებს, მაგრამ მას ვერ ექნება ისეთი დომინანტის სტატუსი, როგორიც 1945 წლიდან გააჩნდა. ჩინეთის აღმასვლა გამოიწვევს უსაფრთხოების შეჭიბრის გააქტიურებას, ომის შესაძლებლობის არსებობით. ასევე, ჩინეთის გარემოცვის უმეტესობა - ინდოეთი, იაპონია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, რუსეთი, ვიეტნამი და ავსტრალია შეუერთდებიან აშშ-ს მის შეკავებაში. აქედან გამომდინარე, ჩინეთის მშვიდობიანი აღმავლობა

გამორიცხულია. ამასთანავე, ჩინეთის გაძლიერებასთან ერთად, აშშ აგრესიულ ქცევას დაიწყო, შიშიდან გამომდინარე, რაც დამატებით გაზრდის კონფლიქტის შანსს (Mearsheimer 2010).

მირშიაიმერი უპირისპირდება მშვიდობიანი პროგნოზის სამ არგუმენტს - 1. ჩინეთს შეუძლია გაძლიერების მიუხედავად, მშვიდობიანი განზრახვის მქონე გზავნილები გააუღეროს, რომ არ აპირებს არსებული ძალთა ბალანსის ძალადობრივად შეცვლას, რაც დაამშვიდებს სიტუაციას. ავტორის აზრით, აღნიშნული არგუმენტი ნეორეალისტური ლოგიკით აბსურდია, რადგან სახელმწიფოებს არ აქვთ ფუფუნება ვინმეს მშვიდობიანობა ირწმუნონ იმ პირობებში, როდესაც არ იციან ზუსტად მათი სურვილების შესახებ. თუმცა რომც იყოს მშვიდობიანი ჩინეთის ახლანდელი პოლიტიკა, არავინ იცის რა იქნება წლების შემდეგ, შესაბამისად, აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა ნაბიჯების გადადგმა მის შესაკავებლად მაინც უნდა დაიწყონ; 2. ჩინეთს შეუძლია კონფორტაციის თავიდან აცილება თავდაცვითი და არა თავდასხმითი შესაძლებლობების განვითარების გზით. ამ არგუმენტის პრობლემა კი გახლავთ ის, რომ თანამედროვეობაში ზღვარი თავდაცვითსა და თავდასხმით შეიარაღებას შორის მნიშვნელოვნადაა გამჭრალი. იარაღი, რომელიც თავდაცვისთვის გამოიყენება, სავსებით შესაძლებელია მოხმარებული იქნას - დამპყრობლური ომებისთვისაც; 3. ჩინეთის დღევანდელი ქცევა არ არის აგრესიული მეზობლების მიმართ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის ათწლეულების განმავლობაშიც არ შეიცვლება. მირშიაიმერის აზრი, როგორც მეორე კონტრ-არგუმენტისას, იგივეა, მდგომარეობა და ლიდერები იცვლებიან, შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს ქცევა - იმიტომ, რომ ჩინეთს მომავალში უფრო ექნება განვითარებული თავდასხმითი პოტენციალი (Mearsheimer 2010).

დაპირისპირებას ამძაფრებს ისიც, რომ ჩინეთი აშშ-ს აგრესიულ ძალად აღიქვამს. აშშ-ს ქმედებების ისტორია გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე დასაწყისში ნათლად აჩვენებს, რომ ის არ არის მშვიდობისმოყვარული და საშიშია. ასევე, წინ უდევთ გამოცდილება აშშ-ის ჩართულობის რეგიონში - კორეისა და ვიეტნამის ომების სახით. რა თქმა უნდა, ეს წინარე გამოცდილება არ დეკლარირებს მომავალ განზრახვებს, თუმცა გარკვეულწილად განსაზღვრავს დამოკიდებულებას (Mearsheimer 2010).

ვინაიდან გლობალური ჰეგემონიის შანსი არ არსებობს, ქვეყნები ცდილობენ რეგიონში ამ სტატუსის დამკვიდრებას - ამის მაგალითია აშშ დასავლეთ ნახევარსფეროში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. ჩინეთი აუცილებლად ეცდება იმავეს გაკეთებას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. პეკინი, ამასთანავე, მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული შედარებითი ძალა გაზარდოს იაპონიასთან, რუსეთთან და ინდოეთთან მიმართებით, რადგან არც ერთ რეგიონულ სახელმწიფოს არ ჰქონდეს მისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. და ბოლოს, ის შეეცდება გააგდოს რეგიონიდან აშშ, ისევე, როგორც მონროს დოქტრინის მოქმედებით აშშ-მ ევროპული სახელმწიფოები განდევნა დასავლეთ ნახევარსფეროდან, რომლის კულმინაციაც 1898 წლის ესპანეთთან ომი გახლდათ (Mearsheimer 2010).

მირშიაიმერი სვამს კითხვას - რატომ უნდა ველოდოთ, რომ ჩინეთი განსხვავებულად მოიქცევა, ვიდრე მოიქცა აშშ მე-19 საუკუნეში? ისინი უფრო ეთიკურები არიან, ნაკლებად ნაციონალისტები თუ ნაკლებად მზრუნველნი საკუთარ უსაფრთხოებაზე? არც ერთი ზემოთ დაშვებული ვერსია არ შეეფერება სინამდვილეს (Mearsheimer 2010).

მთლიანობაში თავდასხმითი რეალიზმის ლოგიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნებს ჰეგემონიის ამბიცია აქვთ, შესაბამისად, მარტივად გასაგებია მირშიაიმერის შეხედულება, რომ ჩინეთის აღმავლობა თავის

თავშივე გულისხმობს ამბიციებს, რაც საბოლოოდ ჩინურ-ამერიკულ ღრმა დაპირისპირებამდე მიგვიყვანს.

3.3 რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი

2013-14 წლებში განვითარებულმა უკრაინის კონფლიქტმა ევროპა შეძრა, ეს ფაქტი მხოლოდ იმიტაც იყო მნიშვნელოვანი, რომ თანამედროვე ევროპის ისტორიაში პირველად, ერთმა სახელმწიფომ მეორეს ტერიტორიის ანექსია განახორციელა. ამ ნაწილში შევეცდები დავანახოთ, თუ როგორ ხსნის თავდასხმითი ნეორეალიზმი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის პრეზიდენტი, ვიქტორ იანუკოვიჩი გარკვეულწილად რუსეთის გავლენის ქვეშ იყო, ის ბოლომდე ლოიალური კრემლის მიმართ არ გახლდათ. მან უარი თქვა უკრაინის გაწევრიანებაზე ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში, მეტიც - 2012 წელს გააქტიურა მოლაპარაკებები ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობასა და ასოცირების შეთანხმებაზე. რუსეთი ეჭვის თვალით უყურებდა მოვლენებს, ნეორეალისტური პერსპექტივიდან, ევროკავშირი პოტენციური საფრთხე იყო გეოპოლიტიკური ამბიციებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. ასოცირების შეთანხმების მე-5 მუხლი კი პირდაპირ გულისხმობდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით თანამშრომლობის ზრდას. ეს დასტურდებოდა რუსეთის კრიტიკულ განცხადებებში აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მიმართულებით (Götz 2016).

შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ რუსეთს სურდა ხელი შეეშალა იანუკოვიჩისთვის შეთანხმების ხელმოწერაში. რუსეთი იყენებდა მრავალსაშუალებას - სავაჭრო შეზღუდვებს, ასევე, ეკონომიკური დაპირებებს, თუ ის უარს იტყოდა ასოცირებაზე (Götz 2016). 2013 წლის ნოემბერში იანუკოვიჩმა ვილნიუსის სამიტზე უარი თქვა შეთანხმების ხელმოწერაზე და გააფორმა ეკონომიკური შეთანხმება რუსეთთან, რასაც ქუჩის პროტესტი, არეულობა და იანუკოვიჩის გაქცევა მოჰყვა.

უკრაინაში დროებითი ხელისუფლება სრულად პრო-დასავლური იყო, რომელიც აპირებდა ასოცირების შეთანხმების გაფორმებას და დასავლეთთან ახლო კავშირში შესვლას. მოსკოვმა იეჭვა, რომ ახლოს იყო ალიანსის ტიპის თანამშრომლობა უკრაინასთან და დაიწყო მაღალი საგარეო ზეწოლის განხორციელება სამი მიმართულებით: 1. ყირიმის ნახევარკუნძული - აქ რუსეთს მნიშვნელოვანი საზღვაო ბაზა და სამხედრო ინფრასტრუქტურა გააჩნდა, ხოლო მისი ხელში ჩაგდების შემდეგ მოსკოვმა მალევე გააცხადა გეგმები ახალი წყალქვეშა გემებისა და სამხედრო ინსტალაციების დამატების შესახებ, რაც მის ძალის პროექციას გაზრდიდა რეგიონში. ნეორეალისტური შეხედულებები არაა აგდებს მტკიცებას, რომ რუსეთი რუსულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის დასაცავად შევიდა, თუმცა ამას, შესაძლოა, გავლენა ჰქონოდა ანექსირების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე; 2. კონფლიქტის კერის გაჩენა აღმოსავლეთ უკრაინაში - შიდა კონფლიქტებით დახუნძული ქვეყანა ვერც ჯეროვან განვითარებას შეძლებს და ვერც ნატო-ს წევრობას - გეოპოლიტიკური მოტივაცია ამ ნაბიჯის ასახსნელად, აშკარაა. 3. დეცენტრალიზაციის მოთხოვნა - ავტონომიური რესპუბლიკები რუსეთის საზღვართან გამორიცხავს ნატო-ს ჯარების იქ განლაგებას, ასევე, მათ გაუჩნდებათ ბერკეტი ზეგავლენა მოახდინონ უკრაინის საგარეო პოლიტიკაზე მთლიანად, ხოლო გაყინული კონფლიქტის ცხელ დაპირისპირებად გადაქცევაც ბევრად ადვილი იქნება (Götz 2016).

ბევრად შორს მიდის მირშიამერი, რომელიც მთავარ პასუხისმგებლობას უკრაინის კრიზისზე აშშ-სა და ევროკავშირს აკუთვნებს. მისი აზრით, კონფლიქტის მთავარი საფუძველი ნატო-ს გაფართოებაა, რომელიც

წარმოადგენს მთავარ ელემენტს ფართო სტრატეგიისა. ამ სტრატეგიის მიზანი კი უკრაინის რუსული ორბიტიდან გამოყვანა და დასავლეთში ინტეგრირებაა. მირშიამერის ხედვით, პუტინის საქციელი არ უნდა ყოფილიყო სიურპრიზი, რადგან დასავლეთმა დაიწყო შესვლა რუსეთის უკანა ეზოში და დაემუქრა მის სტრატეგიულ ინტერესებს (Mearsheimer 2014).

აშშ და ევროკავშირი კი საერთაშორისო პოლიტიკის იდეალისტურ ხედვებს ემორჩილებიან და მიაჩნიათ, რომ რეალისტურ ლოგიკას 21-ე საუკუნეში ნაკლები რელევანტურობა აქვს. ეს კრიზისი ნათლად აჩვენებს, რომ რეალპოლიტიკა რელევანტური რჩება და ის, ვინც ამ მოცემულობას აიგნორებს, მირშიამერის ხედვით, თავად დაზარალდება (Mearsheimer 2014).

პუტინის მოქმედებები მირშიამერისთვის ადვილი გასაგებია, უკრაინა ბუფერული სახელმწიფოა, რომელსაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის. დიდი ქვეყნები კი ყოველთვის სენსიტიური არიან, თუ მათთან ახლოს პოტენციური საფრთხე ყალიბდება. ისევე როგორც აშშ რეაგირებს მწვავედ დასავლეთ ნახევარსფეროში სხვა სახელმწიფოების სამხედრო ძალის გამოჩენაზე, ისევე იქცევა რუსეთიც. მთავარი დამნაშავე, ნეორეალისტური ლოგიკით, ის ლიბერალური ხედვაა, რომლის მიხედვითაც გეოპოლიტიკას მნიშვნელობა აღარ აქვს და ყოვლისმომცველი ლიბერალური წესრიგი შეინარჩუნებს მშვიდობას ევროპაში.

მირშიამერი კონფლიქტის გადაწყვეტის გზასაც გვთავაზობს (როგორც გახსოვთ, ზემოთ აღინიშნა, რომ ნეორეალიზმს როგორც ამხსნელობითი, ისე პრესკრიფციული ფუნქციაც აქვს, რომელიც საგზაო რუკას სახავს სახელმწიფო მოღვაწეთათვის). დასავლეთმა უნდა შეწყვიტოს უკრაინის ვესტერნიზებაზე ფიქრი და დაუმიზნოს მის ქცევას ნატო-სა და რუსეთს შორის ნეიტრალურ ბუფერულ ქვეყნად - როგორიც იყო ავსტრია ცივი ომის განმავლობაში. მიზანი უნდა გახლდეთ ის, რომ სუვერენული უკრაინა არც ნატო-ს ბანაკში აღმოჩნდეს და არც რუსეთის (Mearsheimer 2014).

რაც შეეხება უკრაინის უფლებას თავად გადაწყვიტოს საკუთარი ბედი. მირშიამერი აღიარებს, რომ სამუშაო რეალობაა, მაგრამ ძალას საერთაშორისო პოლიტიკაში კვლავ აქვს მნიშვნელობა და უკრაინაზე ბევრი რამ არაა დამოკიდებული.

უკრაინის ინტერესშია ეს მოცემულობა გააცნობიეროს და თუ ვერ გააცნობიერა, მაშინ აშშ-მ და ევროკავშირმა თავად უთხრან უარი, რაც უკრაინელი ხალხისთვისაც უკეთესი იქნება. ასევე, უკრაინა არ წარმოადგენს სტრატეგიული ინტერესის მქონე სახელმწიფოს დასავლეთისთვის, რაც ნათლად გამოჩნდა, როდესაც ადეკვატური დახმარება მათ ვერ მიიღეს კონფლიქტის დაწყების შემდეგ (Mearsheimer 2014).

თუმცა გარდა მირშიამერის მიდგომისა, ნეორეალისტური პერსპექტივიდან, უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით სხვაგვარი პოზიციაც შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ. თუ მირშიამერი ცდილობს დაასაბუთოს, რომ დასავლეთი იჭრებოდა რუსეთის გავლენის სფეროსა და უკანა ეზოში, მოვლენების მეორე კუთხიდან შეფასებით, დავინახავთ, რომ არა დასავლეთი არღვევდა სტატუს-კვოს, არამედ პირიქით - რუსეთის ფედერაცია უქმნიდა საფრთხეს დასავლეთის უსაფრთხოებას, რამაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ახალი ტალღა და მოიცვას ნატო-ს წევრი სახელმწიფოებიც (Wilson 2014, 171). ყოველი ზემოთ თქმულის გათვალისწინებით კი აშშ-მ და ევროკავშირმა არსებული უსაფრთხოების სისტემის დასაცავად ყველაფერი უნდა იღონონ რუსეთის შესაკავებლად.

მნიშვნელოვანი არგუმენტი, რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეკავებისა, გახლავთ ისიც, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ალიანსები მხოლოდ იმ შემთხვევაში აგრძელებენ არსებობას, როდესაც მის ლიდერს აქვს მზაობა ძალის გამოყენებისა. ამ შემთხვევაში, თუ ნატო-ს წევრ სახელმწიფოებზე ირიბი ზეგავლენაც კი უპასუხოდ დარჩება, მაშინ გაჩნდება საფრთხე ნატო-ს არარელევანტურ ინსტრუმენტად ქცევისა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, არსებული უსაფრთხოების სისტემის ჩამოშლა გამოიწვიოს.

შეგვიძლია გავავლოთ პარალელიც: მიუნხენის კრიზისის შეფასებისას, მირშაიმერი თავად წერს, რომ მოკავშირეებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც არ წავიდნენ გერმანიის წინააღმდეგ 1938 წელს და დაუთმეს მას სუდეტი, რამაც მთლიანობაში ბალანსი მათ საპირისპიროდ გადახარა - „უკეთესი იქნებოდა მოკავშირეებს გერმანიის წინააღმდეგ ომი 1938 წელს დაეწყოთ ჩეხოსლოვაკიის გამო, ვიდრე პოლონეთის - 1939 წელს“ (Mearsheimer 2001, 165).

შესაბამისად, უკრაინის კონფლიქტის განხილვა ნათლად აჩვენებს, რომ ნეორეალისტური პერსპექტივიდან სავსებით დასაშვებია უკრაინის ქეისი ორი პოზიციიდან იქნას განხილული, საკვანძო კი ისაა, თუ როგორ აღვიქვამთ რუსეთის ქმედებებს - როგორც სტატუს-კვოს დამცველს, თუ პირიქით - სტატუს-კვოს დამრღვევს და არსებული უსაფრთხოების სისტემის მოწინააღმდეგეს.

4. ნეორეალიზმის კრიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ნეორეალიზმი გავლენიანი თეორიაა, მას კრიტიკოსები უხვად ჰყავს როგორც აკადემიურ, ისე პოლიტიკის პრაქტიკულ არენაზე.

კრიტიკის განვრცობას დავიწყებ რიჩარდ ეშლის სტატიით „ნეორეალიზმის სიღარიბე“, რომელშიც ავტორი იმ ფაქტორებს გამოჰყოფს, რომელსაც თეორია საერთაშორისო ურთიერთობების დარგის დავიწროებამდე მიჰყავს. ეშლი თავიდანვე აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არაა კონკრეტული ნეორეალისტების კრიტიკა, არამედ მთლიანად ნეორეალისტური მიმდინარეობის სისუსტეების ხაზგასმაც. მისი აზრით, პირველი ნაკლი ის არის, რომ ნეორეალიზმი მოცემულ წესრიგს განიხილავს, როგორც ბუნებრივ წესრიგს - ეს მიდგომა ზღუდავს და არა აფართოებს პოლიტიკურ დისკურსს, აიგნორებს ან ამარტივებს დროსა და სივრცეში არსებულ განსხვავებებს და ყურადღებას არ აქცევს პოლიტიკურ ინტერაქციას, რაც ცვლილებებს შესაძლებელს ხდის (Ashley 1984).

ეშლი განსაკუთრებით აკრიტიკებს თეორიის სახელმწიფო-ცენტრულობას. მისი თქმით, ნეორეალისტები ეპყრობიან სახელმწიფოს, როგორც არაპრობლემურ ერთეულს, რომლის არსებობა, საზღვრები, სტრუქტურა, ლეგიტიმაცია, ინტერესები და შესაძლებლობები განხილულია როგორც მოცემული და ხელშეუხებელი. ნეორეალისტები სახელმწიფოს, როგორც მყარ ერთეულს უყურებენ და არ ხსნიან თუ რა განაპირობებს მათ ასეთ მიდგომას. დაშვება, რომ სახელმწიფოს ყველა ზემოთჩამოთვლილი მოცემულობების მიმართულებით პრობლემები გააჩნია, ამორიცხებულია მათი მსჯელობიდან (Ashley 1984).

ეშლი იმასაც აღიარებს, რომ ცალკეული ნეორეალისტები (და მათ შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უოლცი - და მისი მიდგომა სახელმწიფო-ცენტრულობისადმი) ამ პრობლემას ხედავენ, მაგრამ ნეორეალიზმის თეორიული დისკურსი არ იცვლება. მოკლედ რომ ვთქვათ, მოცემულობა, რომ სახელმწიფო - მთავარი აქტორია, ეშლის აზრით, ნეორეალიზმისთვის მეტაფიზიკური ვალდებულების მსგავსია და აკლია სამეცნიერო კრიტიკა

(Ashley 1984).

ამასთან, ნეორეალიზმი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ძალის სახელმწიფოს შიგნით გადანაწილებას და მას როგორც სინგულარულ (ერთეულ-მთლიან) კონსტრუქციას ისე განიხილავს. არ ხდება ხაზგასმა სახელმწიფოს შიდა სტრუქტურებსა და მათ როლზე, მათ შორის წინააღმდეგობებზე და ამ წინააღმდეგობების გავლენაზე საგარეო პოლიტიკის წარმართვის თვალსაზრისით.

ამასთან, ნეორეალიზმის თეორიული დაშვებების მიხედვით, სისტემაში ცვლილების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, რამეთუ ნეორეალისტები არ საუბრობენ დროთა განმავლობაში რაიმეგვარი წესების, ნორმების, ორმხრივი საერთო მოლოდინების ან პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებულ პრინციპებზე (Ashley 1984). მოკლედ რომ ვთქვათ, მათთვის სამყარო ფიქსირებულია, რომელიც დროსა და სივრცეში არ იცვლება.

ემლი ნაშრომის ბოლოს თავის მთავარ გულისტივილს აყალიბებს, რომ ამ პირობებში საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი სოციალური მეცნიერები ნეორეალიზმს მიიღებენ, როგორც აუცილებელ სვეტს - აკადემიური სტაბილურობისა და კოლექტიური გაგების არსებობის გამო. არადა, ეს ყველაფერი სფეროს შეავიწროებს და ნაკლებ პერსპექტივას დატოვებს ახალი მოსაზრებებისა და ხედვების ჩამოყალიბებისთვის. ემლის სიტყვებით რომ ვთქვათ - „სტუდენტები, რომლებსაც ეუბნებიან, რომ კრიტიკულად და კრეატიულად იაზროვნონ, შეზღუდულნი არიან იმ საფუძვლებით, რომლებიც თეორიული კუთხითაა ჩაყრილი“ (Ashley 1984).

მეორე კრიტიკა, რომელსაც ამ ნაწილში მიმოვიხილავ არის ჯონ ჟერარ რაგის ნაშრომი „განგრძობადობა და ტრანსფორმაცია მსოფლიო პოლიტიკაში.“ რაგი თავდაპირველად სხვადასხვა თეორიული მიმართებების კრიტიკებს ასახელებს და წერს, რომ ლიბერალები უოლცსა და მის თეორიას ემართლებიან გლობალური ინტეგრაციის პროცესების გაუთვალისწინებლობის კუთხით, მესამე მსოფლიოს მხარდამჭერები უთანასწორობის საკითხზე ნაკლები ყურადღების გამახვილებაში სდებენ ბრალს, ხოლო მსოფლიო წესრიგის ადვოკატები საერთაშორისო სისტემის რაობასა და გლობალიზაციის მიჩქმალვაში ადანაშაულებენ (Ruggie 1983).

თუმცა, რაგის მთავარი კრიტიკა უოლცისა და ნეორეალიზმის მიმართ მაინც სისტემის მუდმივობის მიმართ ეჭვებია. ის ხარისხობრივი ცვლილებები, რომლებიც განიცადა საერთაშორისო სისტემამ შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე ნეორეალისტური პერსპექტივიდან აუხსნელია. ეს წარმოდგენელია დავაბრალოთ მხოლოდ ძალთა გადანაწილების ცვლილებებს, რადგან ტრანსფორმაცია აბსოლუტურად ფუნდამენტურია და ძირეულ ახსნას საჭიროებს (Ruggie 1983).

ნეორეალიზმის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ის არ აქცევს ყურადღებას ანალიზის მეორე დონეს, ანუ სახელმწიფოებს და მათ პროგრესირებად მართვის ფორმებს, რამაც, კრიტიკოსების აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სისტემის ცვლილებასა და ტრანსფორმაციაში.

შესაბამისად, თუ ნეორეალიზმს არ აქვს პასუხი ამ კითხვაზე, თუ როგორ ხდება ტრანსფორმაცია, მაშინ რა პოტენციალი გააჩნია მას, ადეკვატურად ახსნას საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი მოვლენები? ამ კითხვებზე მსჯელობა დისციპლინაში მიმდინარეა და თეორიული მრავალფეროვნება ახსნის სხვადასხვა ალტერნატივას გვთავაზობს.

5. დასკვნა

ასე და ამგვარად, ნაშრომში მიმოხილული იქნა ნეორეალიზმის ცენტრალური ტენდენციები, შევხებით როგორც თეორიულ მიმდინარეობას, ისე პრაქტიკულ საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებზე ნეორეალისტურ ხედვებს.

სისტემის ანარქიულობა, ძალთა ბალანსი და ალიანსები, სახელმწიფოთა რაციონალურობა, შიში, თანამშრომლობის სირთულე - ეს ის პრინციპებია, რომელთა გარშემოც მთავარი ნეორეალისტური პერსპექტივები იყრის თავს.

ნეორეალიზმი, მიუხედავად საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური თუ კონსტრუქტივისტული ფრთის მტკიცებისა, დღესაც ახერხებს რელევანტურად დარჩენას, რისი დასტურიცაა აკადემიურ გამოცემებში მუდმივად დაბეჭდილი სტატიები ნეორეალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობებზე. სავარაუდოა, რომ ეს ასეც დარჩება, იქამდე სანამ საერთაშორისო პოლიტიკა არა ცენტრალიზებული და იერარქიული (როგორც შიდა სისტემებია), არამედ დეცენტრალიზებული და ანარქიული იქნება.

სახელმწიფოები დღესაც ასრულებენ ძირითადი აქტორების როლს და ამის დასაწახად აკადემიური ნაშრომების წაკითხვა სულაც არაა საჭირო. საერთაშორისო საინფორმაციო მიმოხილვების გაცნობის დროსაც ნათლად დავინახავთ, რომ სწორედ ქვეყნებს შორის კონფლიქტები და ომის საფრთხეა ძირითადი თემა და პრობლემატიკა თანამედროვე მსოფლიოსთვის.

ცხადია, ნეორეალიზმს, ისევე როგორც სხვა არსებულ თეორიებს, საკუთარი გამოწვევები ახლავს თან. არ არსებობს თეორიული მიდგომა, რომელიც სრულყოფილად ახსნის ყველა მიმდინარე მოვლენას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ნეორეალისტური დისკურსი სრულიად უსარგებლოა.

საერთაშორისო ურთიერთობების დარგი სოციალურ მეცნიერებებში წლიდან წლამდე უფრო და უფრო ვითარდება, ემატება ახალი ხედვები და მიდგომები და ტრანსფორმირდება ძველი პოზიციები. სახელმწიფოთა შორის დაპირისპირება კი ისევ რჩება. შესაბამისად, ძალის პოლიტიკისა და უსაფრთხოების მიმართულებით დაპირისპირებების შემსწავლელი მიდგომების აუცილებლობა იქამდე იარსებებს, სანამ მსოფლიოში იდგება არ დაისადგურებს. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, დღესდღეობით შორეულ პერსპექტივად მოსჩანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Ashley, Richard K. "The Poverty of Neorealism." *International Organization* 38, no. 2 (1984): 225-86. www.jstor.org/stable/2706440.
- Götz, Elias. "Neorealism and Russia's Ukraine policy. 1991–present." *Contemporary Politics*, 22:3 (2016): 301–323, ბოლო წვედომა 2020 წ. 20 ივლისი. DOI: 10.1080/13569775.2016.1201312
- Mearsheimer, John & Walt, Stephen. "An Unnecessary War." *Foreign Policy*. 134 (2003).
- Mearsheimer, John J. *The Tragedy of Great Power Politics*. New York: Norton, 2001.
- Mearsheimer, John J. "Why the Ukraine Crisis Is the West's Fault." *Foreign Affairs* 93 (2014): 77-89. <https://www.foreignaffairs.com/articles/russia-fsu/2014-08-18/why-ukraine-crisis-west-s-fault>
- Mearsheimer, John. "The Gathering Storm: China's Challenge to US power in Asia." *The Chinese Journal of International Politics*. 3 (2010): 381-396.
- Ruggie, John Gerard. "Continuity and Transformation in the World Polity: Toward a Neorealist Synthesis." *World Politics* 35, no. 2 (1983): 261-85. doi:10.2307/2010273.
- Snyder, Glenn H. "ALLIANCE THEORY: A NEOREALIST FIRST CUT." *Journal of International Affairs* 44, no. 1 (1990): 103-23. www.jstor.org/stable/24357226.
- Walt, Stephen M. "Why Alliances Endure or Collapse." *Survival-Global Politics and Strategy* 39, no. 1 (1997): 156-179. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/00396339708442901>
- Walt, Stephen M. "Alliance Formation and the Balance of World Power." *International Security* 9, no. 4 (1985): 3-43. <https://www.jstor.org/stable/2538540>.
- Waltz, Kenneth N. *Theory of International Politics*. Reading: Addison-Wesley Publishing Company, 1979.
- Wilson, Andrew. *Ukraine Crisis – What It Means for the West*. New Haven: Yale University Press, 2014.

კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში

მარიამ ტარასაშვილი

დოქტორანტი, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი

საერთო იდეები უფრო მეტად განსაზღვრავს ადამიანთა ერთობას
ვიდრე მატერიალური ძალები (ვენდტი 2000)

1. შესავალი

ტერმინი კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში პირველად ნიკოლას ონუფმა გამოიყენა 1989 წელს საკუთარ წიგნში „World of Our Making“. ონუფი თვლიდა, რომ მისი წიგნის მიზანი იყო პირველი ნაბიჯის გადადგმა ახალი დისციპლინარული პარადიგმისაკენ, რომელიც საფუძველს დაუდებდა საერთაშორისო ურთიერთობების რეკონსტრუქციას. ონუფის კონსტრუქტივიზმის საფუძვლები შესაძლოა მოვიძიოთ ენისა და სოციოლოგიის ფილოსოფიაში. იგი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ მატერიალური და სოციალური ფაქტორები წარმოადგენენ საზოგადოებისა და ხალხის შემადგენელ ნაწილს და თვლის, რომ სოციალური ქმედება განისაზღვრება წესებით, რომელიც ადგენენ ზღვარს დასაშვებსა და შესაძლებელს შორის (Onuf 2012).

ნაშრომში განხილული იქნება, კონსტრუქტივიზმის ძირითადი ავტორები და კონცეფციები, კონსტრუქტივიზმის კლასიფიკაცია ანალიზის დონეებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, კონსტრუქტივიზმის კავშირი საერთაშორისო ურთიერთობების სხვა თეორიებთან და კონსტრუქტივიზმის ემპირიული კვლევები.

კონსტრუქტივისტული მსოფლმხედველობა ეფუძნება ისეთ კლასიკურ ავტორთა მიდგომებს როგორცაა გროციუსი, ჰეგელი, კანტი. კონსტრუქტივიზმის წინამორბედი თეორია ყველაზე აქტუალური პირველ და მეორე მსოფლიო ომს შორის იყო და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში იდეალიზმის სახელით იცნობდნენ. ომის შემდგომ კონსტრუქტივისტულ მოსაზრებებს აჟღერებდნენ კარლ დოიჩი, ერნსტ შაასი და ჰედლი ბული, ხოლო შემდგომ განვითარდა შნაიდერის, რობერტ ჯერვისისა და ნედ ლებოუს შრომები საგარეო პოლიტიკის ანალიზში (Wendt 2000, 3).

თანამედროვე ავტორებიდან აღსანიშნავია ალექსანდრ ვენდტის, მართა ფინმორის, ტედ ჰოპფის, ჯეფრი ჩეკელის, პიტერ კაცენშტაინის ნაშრომები.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობებში კონსტრუქტივიზმის შემდეგი კლასიფიკაცია არსებობს: სისტემური, ერთეული დონის და ჰოლისტური. სისტემური კონსტრუქტივიზმი კარგად ჩანს ალექსანდრ ვენდტის ნაშრომებში

და განვითარდა ვოლცის ნეორეალისტური მესამე იმიჯის საპირწონედ. სისტემური კონსტრუქტივიზმი აქცენტს აკეთებს სახელმწიფოებს შორის ინტერაქციაზე, რა ხდება მათ შორის, იმის მიხედვით თუ რა ხდება მათ შიგნით. ეს კონსტრუქტივიზმი ხაზს უსვამს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკას და მის როლს ქვეყნის იდენტობებისა და ინტერესების ტრანსფორმაციაში. სისტემური კონსტრუქტივიზმისგან განსხვავდება ერთეულის დონის კონსტრუქტივიზმი, რომლის მთავარი ავტორია პიტერ კაცენშტაინი. იგი ყურადღებას ამახვილებს საშინაო სოციალურ და სამართლებრივ ნორმებსა და სახელმწიფოების ინტერესებსა და იდენტობებს შორის კავშირზე, აქედან გამომდინარე კი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაზე. ჰოლისტური კონსტრუქტივიზმი კი სისტემურისა და ერთეულის დონის კონსტრუქტივიზმის გზავარედენზე დგას და ცდილობს შექმნას ხიდი საერთაშორისოსა და საშინაოს შორის. ჯონ რაგი და ფრიდრიხ კრატოჩვილი ცდილობენ დააკავშირონ სახელმწიფოთა კორპორატიული შიდა იდენტობები და მათი საერთაშორისო სოციალური იდენტობები, ერთიან ანალიტიკურ პერსპექტივაში, სადაც საშინაო და საერთაშორისო წარმოადგენენ პოლიტიკური წესრიგის ორ სახეს (Behraves 2011).

ცივი ომის დასრულების შემდგომ კონსტრუქტივისტულმა მიდგომებმა განსაკუთრებულად მიიქცია ყურადღება, რაც დაკავშირებული იყო ამ პერიოდის მოვლენების რეალიზმისა და ლიბერალიზმის ხედვებით ახსნისას გამოვლენილი ნაკლოვანებით და სიღარიბით. ალექსანდრ ვენდტი 2000 წელს გამოცემულ სტატიაში „საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია“ შესავალშივე საუბრობს, რომ კონსტრუქტივიზმი შესაძლოა დანახულ იქნას როგორც სტრუქტურული იდეალიზმი და მის საფუძველს წარმოადგენს ორი მთავარი პოსტულატი: 1) საერთო იდეები მეტად განსაზღვრავენ ადამიანთა ერთობას ვიდრე მატერიალური ძალები და 2) აქტორთა იდენტობები და ინტერესები არ წარმოადგენენ ბუნებრივ მოცემულობას, არამედ მათი კონსტრუქცია ხდება საერთო იდეების საფუძველზე (Wendt 2000). რეალიზმი სახელმწიფოთა შორის ძალთა გადანაწილებაზე ახდენს კონცენტრირებას, ლიბერალიზმი აქცენტს აკეთებს დემოკრატიული სახელმწიფოების ზრდაზე და დემოკრატიულ ტრანზიციებზე, იდეალიზმი კი სწავლობს სუვერენეტიტის, ადამიანის უფლებების, საერთაშორისო სამართლის ცვალებად ნორმებს (Snyder 2014, 53).

კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ცენტრალური თემების ალტერნატიულ ახსნას გვთავაზობს. მაგალითად ანარქიის, ძალთა ბალანსის, სახელმწიფოს იდენტობასა და ინტერესებს შორის კავშირის, მსოფლიო პოლიტიკაში ცვლილების პერსპექტივის და სხვათა (Hopf 1998, 71-172). კონსტრუქტივიზმის თანამხმად, სოციალური რეალობა იქმნება ღირებულებების შესახებ დისკუსიით და საგარეო პოლიტიკა უნდა იმართებოდეს ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტებით. ეს არის თეორია, რომელიც სწავლობს იდეოლოგიების, იდენტობების, დარწმუნებისა და ტრანსნაციონალური ქსელების როლს და აქტუალობას ინარჩუნებს 9/11-ის შემდგომ მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ 11 სექტემბრის მოვლენების საფუძველზე რეალიზმი რჩებოდა ცენტრალური ამხსნელი თეორია, რომლიც ეფუძნებოდა აშშ-ს სამხედრო პასუხსა და დროში გახანგრძლივებულ კონფლიქტს, ბოლო წლების ლიბერალურმა თეორიებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს აშშ-ს ადმინისტრაციის რიგი გადაწყვეტილებები, რომლებიც არა ძალის ცალმხრივ დემონსტრაციას, არამედ ლიბერალური მოკავშირეების ქსელის განმტკიცებაზე იყო ორიენტირებული. პოლიტიკის მეცნიერმა ჯონ აიკენბერმა შეისწავლა ჰეგემონთა ბრძოლაში გამარჯვებულთა მცდელობები დაემყარებინათ საერთაშორისო წესრიგი. მისი აზრით, ყველაზე ძლიერ გამარჯვებულებსაც კი სჭირდებოდათ ნებაყოფლობითი თანამშრომლობა სხვა სუსტი

სახელმწიფოებისაგან და ამიტომ სთავაზობდნენ მათ ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის პირობებს. დემოკრატიული „გამარჯვებულების“ მმართველობა ეფუძნება გამჭვირვალობასა და სამართლიანობას (Snyder 2014, 60). საერთაშორისო ურთიერთობების ასეთ დღის წესრიგს კი არსებული ძირითადი თეორიებიდან სწორედ კონსტრუქტივიზმი ერგება, რეალიზმისა და ლიბერალიზმისაგან განსხვავებული, საერთო იდეებსა და მისწრაფებებზე მორგებული ახსნით.

კონსტრუქტივიზმის თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამერიკელმა მეცნიერებმა, თუმცა სხვა უფრო ტრადიციული სკოლებისგან განსხვავებით, თანაბრად მნიშვნელოვანია ევროპის როლიც. ევროპელმა ფილოსოფოსებმა დიდი წვლილი შეიტანეს კონსტრუქტივიზმის გაძლიერებაში. საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული ჟურნალი გახდა კონსტრუქტივისტული ნაშრომების მთავარი გამშუქებელი. ევროპის სამართლებრივი მიდგომები საერთაშორისო ურთიერთობებში და აქედან გამომდინარე ევროკავშირი, როგორც სუვერენულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა ერთობა და მისი ფორმირების პროცესი, გახდა ნოყიერი ემპირიული მაგალითი საერთაშორისო პოლიტიკის იდეალისტური და კონსტრუქტივისტული კონცეფციებისათვის (Snyder 2014, 60).

2. კონსტრუქტივიზმის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარება, ძირითადი ავტორები და კონცეფციები:

როგორც უკვე ითქვა, კონსტრუქტივიზმი რამდენიმე ძირითადი კონცეფციის გარშემო ვითარდება. ესენია: იდენტობა, აგენტები და მათი ინტერესები, ნორმები, ინტერაქცია და ენა/დისკურსი. კონსტრუქტივიზმის ცენტრალური მიდგომებიდან საყურადღებოა, რომ სახელმწიფოები თავად ქმნიან იდენტობებს. იდენტობების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი კი აგენტებს შორის ურთიერთობებია. სახელმწიფოს იდენტობის ჩამოყალიბებაში ასევე დიდ როლს თამაშობს საშინაო პოლიტიკა. რიგი კონსტრუქტივისტების თანამხმედ, აქტორებს შორის ინტერაქციაზე გავლენას ახდენენ აქტორთა ღირებულებები და იდეები. კონსტრუქტივიზმის ანალიზში ასევე დიდი ადგილი ეთმობა ენას და დისკურსის შესწავლასა და ანალიზს.

2.1 კონსტრუქტივიზმის საფუძვლები

ალექსანდრ ვენდტი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი თეორიის ფუძემდებელია. კონსტრუქტივიზმის იდეების ჩამოყალიბებისას იგი გამოდიოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედარებიდან. ვენდტის კონსტრუქტივიზმი წინააღმდეგობაში მოდის ქვეთვოლცის საერთაშორისო სტრუქტურის გაგებასთან. იგი აპირისპირებს მატერიალისტურ და სოციალურ მიდგომებს თავის ნაშრომში „საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია“. მატერიალისტური მიდგომის თანახმად, „თუკი ნორმები და კანონი განსაზღვრავენ საშინაო პოლიტიკას, კერძო ინტერესები და იძულება შეიძლება მართავდნენ საერთაშორისო პოლიტიკას“.⁶ არსებობს საერთაშორისო სამართალი და ინსტიტუციები, თუმცა მათი ზეგავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე სუსტია. ამის საპირისპიროდ, ავტორი აყალიბებს კონსტრუქტივისტულ ხედვას, რომ ადამიანის სოციალურ იდენტობას მის პიროვნებასთან ერთად განსაზღვრავს მისი დამოკიდებულება საზოგადოებაზე. მსგავსად ამისა, სახელმწიფოებიც

6. მთელს ტექსტში სხვადასხვა პირველწაროდან შერჩეული ციტატების თარგმანი და პარაფრაზი ქართულ ენაზე ეკუთვნის წინამდებარე თავის ავტორს.

დამოკიდებულებები არიან სახელმწიფოთა სოციალურ სისტემასა და საშინაო პოლიტიკაზე (Wendt 2000). თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემაში სახელმწიფოთა ცხოვრება განისაზღვრება რწმენებითა და მოლოდინებით, რომელიც სახელმწიფოებს აქვთ ერთმანეთის მიმართ. უმეტესი სახელმწიფოები აღიარებენ ერთმანეთის სუვერენიტეტს და შესაბამისად სახელმწიფოზე ორიენტირებული მიდგომა მოიცავს არა მხოლოდ საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებას, არამედ ისეთი სისტემის შექმნას, რომლის წევრები სხვა სახელმწიფოებიც იქნებიან (Wendt 2000, 11). ვენდტი განიხილავს ვოლცის სისტემურ თეორიას, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის მაკრო სტრუქტურას და თვლის, რომ აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ რედუქციონისტული მიკრო სტრუქტურაც. მისი აზრით, ორივე აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სახელმწიფოს დომინანტური ქცევის ფორმების (patterns) შესწავლა.

ვენდტისათვის კონსტრუქტივიზმის მთავარი განმსაზღვრელი არის ინტერაქცია, რომლის საფუძველზეც ყალიბდება აგენტების იდენტობები და ინტერესები. ვენდტის ნაშრომის სათაური „ანარქია არის ის, რადაც მას სახელმწიფოები განსაზღვრავენ“ სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოები თავად ქმნიან იდენტობებს. საკუთარი და სხვისი, ალტერი და ეგო. ვენდტი საუკეთესოდ ხსნის ამ კონცეფციებს კონსტრუქტივიზმის ლიბერალიზმთან და რეალიზმთან დაკავშირების დროს. აქვე აღსანიშნავია, რომ რეალიზმისა და ლიბერალიზმისაგან განსხვავებით, კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ სიძლიერედ ვენდტი გამოყოფს მის უნარს, ახსნას ცვლილება. ვენდტის აზრით, ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი უბრალოდ შეცვალო საკუთარს და სხვისის შესახებ წარმოდგენები, რადგან ძველ იდენტობებს ძველი ინტერაქცია განსაზღვრავს. ამიტომ, მნიშვნელოვანია შეიცვალოს სხვისი იდენტობა, რომ შეიცვალოს ინტერაქცია და შესაძლებელი გახდეს საკუთარს შეცვლა. ვენდტის ტრანსფორმაციული პრაქტიკა გულისხმობს, რომ სახელმწიფომ შეძლოს და ახალ ინტერაქციაში დაამტკიცოს, რომ შესაძლებელია მისი ნდობა და არ წარმოადგენს საფრთხეს. ამის საუკეთესო მაგალითია გორბაჩოვის „New Thinking,“ სადაც მან ბირთვული შეიარაღების შემცირებით, აღმოსავლეთ ევროპიდან და ავღანეთიდან გამოსვლით, დასავლეთისათვის საბჭოთა კავშირის დახმარების მორალური ვალდებულების დაკისრებით, შეცვალა დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ინტერაქცია და ხელი შეუწყო ახალი იდენტობისა და ინტერესების ჩამოყალიბებას ცივი ომის დასასრულს (Wendt 1992, 419-420).

ტედ ჰოპფი, ალექსანდრ ვენდტის მსგავსად კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი თანამედროვე ფუძემდებელია. იგი განასხვავებს კონსტრუქტივიზმის კონვენციურ და კრიტიკულ ვარიანტებს. კრიტიკული დაკავშირებულია კრიტიკულ სოციალურ თეორიასთან, ხოლო კონვენციური კონსტრუქტივიზმის სურვილია წარმოაჩინოს საერთაშორისო ურთიერთობების განსხვავებული ხედვა და საჭიროებს საკვლევ პროგრამას. საკვლევ პროგრამა მოიცავს საფრთხის ბალანსის, უსაფრთხოების დილემის, ნეოლიბერალური თანამშრომლობის თეორიების და დემოკრატიული მშვიდობის თეორიის კონსტრუქტივისტულ რეკონცეპტუალიზაციას. კონსტრუქტივიზმის საკვლევ პროგრამა მოიცავს მსოფლიო პოლიტიკაში იდენტობების როლს, საშინაო პოლიტიკის თეორიზაციას და საერთაშორისო ურთიერთობებში კულტურის როლს (Hopf 1998, 172).

ჰოპფის კონვენციური და კრიტიკული კონსტრუქტივიზმის მიზანია, რომ მოახდინონ სოციალური სამყაროს დენატურალიზება, რაც გულისხმობს ინსტიტუტების, ქმედებების და იდენტობების ემპირიულ კვლევას. არიან ისინი მოცემულობა თუ ადამიანური ბუნების პროდუქტი? იმისათვის, რომ მონაცემებს მიეცეს მნიშვნელობა ორივე მიდგომა საჭიროდ თვლის მათ ანალიზს იმ სოციალურ გარემოში, სადაც მოხდა მათი შეგროვება (Hopf

1998, 182). განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ კონვენციური კონსტრუქტივიზმის მიმდევრებს სურთ შეისწავლონ იდენტობები და მათთან ასოცირებული სოციალური ქცევები, შემდეგ ახსნან, როგორ იწვევენ ეს იდენტობები გარკვეულ ქცევებს. კრიტიკული კონსტრუქტივიზმის მიმდევრებისათვის კი მნიშვნელოვანია იდენტობების გამოვლენა იმისათვის, რომ გაიგონ, როგორ ყალიბდება იდენტობა და არა მის მიერ გამოწვეული ქცევის შესწავლა (Hopf 1998, 182).

ჰოპფის აზრით, ინტერსუბიექტური იდენტობების არსებობა განაპირობებენ ქცევის სტაბილური ფორმების (pattern) არსებობას. „სამყარო იდენტობების გარეშე არის ქაოსური სამყარო, გაცილებით უფრო საშიში, ვიდრე ანარქია. იდენტობები ქმნიან საზოგადოების სამ ძირითად ფუნქციას. ისინი „შენ“ და „სხვებს“ ეუბნებიან ვინ ხარ შენ, ხოლო შენ გეუბნებიან ვინ არიან სხვები“ (Hopf 1998, 174-175). სახელმწიფო განსაზღვრავს „სხვებს“ იმ იდენტობების მიხედვით, რასაც ის მათ ანიჭებს. ამავდროულად, ქმნის საკუთარ იდენტობას, ყოველდღიური სოციალური პრაქტიკის მეშვეობით. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ფაქტი, რომ ვინც ქმნის იდენტობას, ვერ ახდენს გავლენას იმაზე, თუ რას ნიშნავს ეს იდენტობა სხვისთვის.

საინტერესოა ზემოთ ხსენებული მიდგომების შეხედულება უსაფრთხოების საკითხებისადმი. კონვენციური კონსტრუქტივიზმის მიხედვით, უსაფრთხოებასა და იდენტობას შორის ურთიერთმიმართება აყალიბებს, თუ როგორ ეხმარება ეროვნული იდენტობა და მასთან დაკავშირებული ისტორიული გამოცდილება ან კულტურული კონტექსტი, სახელმწიფოს ინტერესების შინაარსის განსაზღვრას. და ასევე, მისი მოქმედების განსაზღვრას გლობალურ პილიტიკაში. კრიტიკული მიდგომის მიხედვით კი, უსაფრთხოებისა და იდენტობის ურთიერთმიმართების შესწავლის საგანი უნდა იყოს იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის ნარატივი დომინირებს ეროვნული იდენტობის თხრობაში და როგორ განსაზღვრავს ეს უკანასკნელი ლეგიტიმური ან განსახორციელებელი პოლიტიკური მოქმედებების ლიმიტებს კონკრეტულ დროსა და გარემოში (McDonald 2008, 62).

იდენტობების კონტექსტში კონსტრუქტივიზმი შესაძლებელს ხდის მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებისა და თანამშრომლობის პერსპექტივების ანალიზს, (აშშ-საბჭოთა კავშირი, აშშ-ჩინეთი). საგულისხმოა, რომ ნეორეალისტურ მსოფლიოში ქვეყნებს ენიჭებათ მხოლოდ ერთი იდენტობა, რაც ართულებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს და სვამს ჩარჩოებში. სახელმწიფოს მიერ მეორისათვის მხოლოდ ერთი გარკვეული იდენტობის მინიჭებას შესაძლოა მოჰყვეს არასასურველი შედეგები. მაიკლ ბარნეტს მოჰყავს მაგალითი ერაყისა და საუდის არაბეთის ურთიერთობაზე. 1990 წელს ქუვეითში ერაყის წარუმატებლობა გამოიწვია ერაყის მხრიდან საუდის არაბეთისათვის „არაბული სახელმწიფოს“ იდენტობის მინიჭებამ და „სუვერენული სახელმწიფოს“ იდენტობის უგულვებელყოფამ. ერაყმა ვერ გათვალა, რომ საუდის არაბეთი, გარდა იმისა, რომ არაბული სახელმწიფოა, ასევე არის სურვერენული სახელმწიფო საკუთარი ეროვნული ინტერესებით და რომ იმ დროისათვის რიადს ერჩივნა აშშ-სთან შეთანხმება. ერაყმა ვერ დაუშვა, რომ რიადი უფლებას მისცემდა აშშ-ს ძალებს განეხორციელებინათ შეტევა არაბულ სახელმწიფოზე. ერაყს რომ საუდის არაბეთი სუვერენული სახელმწიფოს ჯრილშიც შეეფასებინა, შესაძლოა გაეთვალა, რომ რეალურ მსოფლიოში, საუდის არაბეთი შეეცდებოდა ერაყის ძალების დაბალანსებას, მათ შორის, აშშ-სთან თანამშრომლობით (Hopf 1998, 193-194).

აქედან გამომდინარე, კონსტრუქტივიზმის თანახმად, შესაძლოა განისაზღვროს სახელმწიფოს იდენტობა

საშინაო დონეზე და შემდეგ, ამის მიხედვით, გლობალურ პოლიტიკაში. ნებისმიერი სახელმწიფო იდენტობა მსოფლიო პოლიტიკაში ეფუძნება იდენტობის ჩამოყალიბების სოციალურ პრაქტიკას საშინაო პოლიტიკაში.

2.2. კონსტრუქტივიზმის თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი

საინტერესოა კონსტრუქტივიზმის შეფასება უფრო თანამედროვე ავტორებისაგან. პატრიკ თადეუს ჯექსონი განიხილავს კონსტრუქტივიზმის ბარკინისეულ განმარტებას, როგორც კვლევის მეთოდსა და ანალიზის საშუალებას, რათა გაეცეს კითხვას პასუხი, როგორ შევისწავლოთ მსოფლიო პოლიტიკა? ბარკინის თანახმად, „კონსტრუქტივიზმის მიერ მომავლის განმარტება მოითხოვს ყურადღების გამახვილებას საერთაშორისო პოლიტიკის სოციალურ კონსტრუქციაზე“. საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორთა ქმედებები, მათი ინტერესები და გარემო სადაც ისინი ურთიერთქმედებენ, უფრო მეტად განისაზღვრება სოციალური ნორმებით და იდეებით, ვიდრე ობიექტური ან მატერიალური ღირებულებებით (Jackson 2004, p. 338).

კონსტრუქტივიზმის განუყოფელი ნაწილია ასევე ენა, კონკრეტულად კი მიდგომა ენისადმი. კრიტიკული საკითხი თანამედროვე კონსტრუქტივისტებისათვის არის ბალანსის დაცვა ტექსტური მიდგომებისა და აქცენტების შეფასებისას. მკვლევარებს მოეთხოვებათ დეტალურად აღწერონ და დაასაბუთონ წყაროები და ტექნიკა, რითაც მოხდა დისკურსის რეკონსტრუქცია (Checkel 2004, 239). ასევე საინტერესოა არგუმენტისა და დარწმუნების დისკურსის შესწავლა. როგორ და რა სიტუაციაში შეუძლია არგუმენტს შეცვალოს მოსაზრება? ამ მიდგომას ძირითადად ჰაბერმასის კომუნიკაციური ქმედების თეორიის მიმდევრები სწავლობენ. ენის მნიშვნელოვანი ნაწილია სიტყვით გამოსვლა (speech act). მისი მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის დარწმუნება და მისი აზრის შეცვლა. სიტყვით გამოსვლა თამაშობს მნიშვნელოვან როლს სოციალურ კონსტრუქციაში და ახალი გაგების შემოტანაში (Finnemore 2001, 402). ლასველმა საჯარო დისკურსისა და ენის უკეთ გასაგებად შექმნა ლექსიკური და გრამატიკული ჩარჩო, რომელიც ეხმარება ნებისმიერს, აღწეროს, გაანალიზოს და გააუმჯობესოს ნებისმიერი სოციალური სიტუაცია. მაგალითად, კომუნიკაციის აქტის უკეთ გასაგებად საჭიროა დაისვას შემდეგი კითხვები: ვინ? რა თქვა? რომელი არხის მეშვეობით? ვის უთხრა? რა ეფექტით? (Willard 1992).

პიტერ კაცენშტაინი კონსტრუქტივიზმთან დაკავშირებულ ნაშრომებში ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის აგენტის თეორიის ნაკლებობაზე კონსტრუქტივიზმში. კონსტრუქტივიზმი სცდება ინდივიდუალური და საშინაო პოლიტიკის დონეზე თეორიებს და აინტერესებს როგორ ურთიერთქმედებენ სოციალური და პოლიტიკური სამყაროები. რა სიტუაციაში ვარ და რა უნდა მოვიმოქმედო? კონსტრუქტივიზმის თანახმად, ამ კითხვებზე პასუხი ნორმებშია, რომლებიც სახელმწიფოსა და აგენტს ეხმარება საკუთარი ინტერესების გაგებაში და ურთიერთქმედებაში (Checkel 1998, 326). გლობალური ნორმების საშინაო პოლიტიკაში დაბრუნებით კონსტრუქტივისტებმა შექმნეს საერთაშორისო ურთიერთობებისა და შედარებითი პოლიტიკის თანაკვეთის საინტერესო წერტილი (Finnemore 2001, 397).

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ კონსტრუქტივისტების დაპირისპირება რეალიზმთან და ლიბერალიზმთან არის უფრო ონტოლოგიური ვიდრე ეპისტემოლოგიური. კონსტრუქტივიზმს მეტი ონტოლოგიური საერთოაქვს პოსტმოდერნიზმთან და იკავებს შუააღმოსავლურ პოსტმოდერნიზმსა და რაციონალური არჩევანის თეორიებს შორის (Checkel 1998, 327). პრაისი და რეუს სმიტი განასხვავებენ პოსტმოდერნისტულსა

და მოდერნისტულ კონსტრუქტივიზმს. პოსტმოდერნისტული კონსტრუქტივიზმი შესაძლებელს ხდის დაშალო და კრიტიკულად გაანალიზო სხვების ცონდა, მაგრამ ართულებს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. მოდერნისტული კონსტრუქტივისტები მეორეს მხრივ აღიარებენ, რომ მსოფლიოს ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირია, ზოგი მეტად დამაჯერებელია ზოგი კი ნაკლებად (Finnemore 2001, 395). მოვლენების ინტერპრეტაცია კი იძლევა ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას.

როგორც უკვე აღინიშნა, კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუცია არის იდენტობის შემოტანა სახელმწიფოთა ქმედებების ინტერპრეტაციაში. კონსტრუქტივისტები თანხმდებიან, რომ სახელმწიფოთა იდენტობები საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის სოციალურ გარემოში იქმნებიან. თუმცა, განსხვავებული მოსაზრებებია იდენტობის განსაზღვრებასთან დაკავშირებით. არსებობს ტიპური იდენტობები და როლური იდენტობები. ტიპურ იდენტობებს ვენდტი სოციალურ კატეგორიებს უწოდებს, რომლებიც იზიარებენ მსგავს მახასიათებლებს, როგორიცაა რეჟიმის ტიპი, სახელმწიფოს ფორმა: დემოკრატიული, კაპიტალისტური, ისლამისტური, ევროპული და ა. შ. როლური იდენტობები კი ურთიერთქმედებით ყალიბდება. სახელმწიფოები შესაძლოა იყვნენ მეგობრები, მტრები, კონკურენტები. როლური იდენტობები სოციალიზაციის პროდუქტია და მხოლოდ სხვასთან ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. (Finnemore 2001, 398). სწორედ როლური იდენტობების და სოციალური ინტერაქციის გამოცდილების კონცეფცია ხსნის საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოებს შორის ცვალებად ურთიერთობებს მტრობიდან მეგობრობამდე და მეგობრობიდან მტრობამდე. ასევე, რეალიზმთან შედარებით უფრო გასაგებად ხსნის, რატომ არ წარმოადგენს, მაგ. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დიდი ბრიტანეთის ბირთვული შეიარაღება საფრთხეს, მაგრამ უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად აღიქვამს ირანის ისლამური რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ კორეის მცდელობას, განავითარონ სამხედრო ბირთვული ტექნოლოგია. მსგავსად ამისა, კონსტრუქტივიზმის მეშვეობით უფრო ნათლად შეგვიძლია გავიგოთ, მაგალითად, რატომ ჰქონდა აშშ-ს ნორმალური პარტნიორული ურთიერთობები შაჰის დროინდელ ირანთან, ხოლო 1979 წლის ისლამური რევოლუციის პირველივე დღეებიდან აქვს მწვავედ დაპირისპირებული დიპლომატიური ურთიერთობები, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მატერიალური ძალის გადანაწილების თვალსაზრისით იმ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

3. კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ (რეალიზმი, ნეორეალიზმი, ნეოლიბერალიზმი) თეორიებს შორის

კონსტრუქტივიზმი, ლიბერალიზმი და რეალიზმი დღეს საერთაშორისო ურთიერთობების სამი ძირითადი თეორიაა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მკვლევარები ყურადღებას უთმობენ ამ თეორიებს შორის განსხვავებებს, მნიშვნელოვანია, რომ ისინი ასევე ავსებენ ერთმანეთს და სამივე მიდგომას აერთიანებს სახელმწიფოს როლის, როგორც მნიშვნელოვანი აქტორის შესწავლა. რეალიზმისა და ლიბერალიზმისაგან განსხვავებით კონსტრუქტივიზმი აქცენტს აკეთებს სახელმწიფოებს შორის ინტერაქციაზე და მათ მიერ ერთმანეთის აღქმაზე. ასევე ინტერესებისა და ღირებულებების გავლენაზე საგარეო და საშინაო პოლიტიკის ფორმირებისას. კონსტრუქტივიზმისათვის ძალა და ანარქია არ არის პოლიტიკის განმსაზღვრელი. საერთაშორისო სისტემა განისაზღვრება მიმდინარე პროცესებით და არა მოცემული სტრუქტურით.

საინტერესოა შემოთხენებული ავტორების მოსაზრებები ამ სამი ძირითადი თეორიის ურთიერთმიმართების

შესახებ:

ალექსანდრ ვენდტის მიხედვით, კონსტრუქტივიზმის შედარებისას რეალიზმისა და ლიბერალიზმის სკოლის კონცეფციებთან იკვეთება რამდენიმე კრიტიკული მიდგომა. თუკი ადრე დებატები მიმდინარეობდა ადამიანური ბუნების განსხვავებული აღქმის გარშემო, დღეს უფრო აქტუალურია კითხვა: რა გავლენა აქვს სტრუქტურას (ანარქიულ სახელმწიფოთა სისტემაში ძალთა გადანაწილებას) სახელმწიფოს ქმედებაზე.

ვენდტის მიხედვით ნეორეალიზმის კრიტიკა შესაძლოა რამდენიმე მიმართულებით. პირველი, ნეორეალიზმს არ შეუძლია ახსნას სტრუქტურული ცვლილება ან ხსნის მხოლოდ ერთი მიმართულებით - ძალთა გადანაწილების ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლის ცვლილებას. ნეორეალიზმის სტრუქტურის თეორია არის საკმაოდ დაუზუსტებელი. მაგალითად, ნებისმიერი საგარეო პოლიტიკური ქცევა შესაძლოა მივაწეროთ ძალთა ბალანსს ან სახელმწიფოთა ეგოიზმს, თუმცა ნეორეალიზმი ვერ აზუსტებს მეცნიერულად რა მიზნით აბალანსებენ სახელმწიფოები ერთმანეთს. ხოლო ის, რომ სახელმწიფოების ქცევას განსაზღვრავს მათი ეგოიზმი, შესაძლოა მართალი იყოს მხოლოდ ზოგ შემთხვევაში და არა ყოველთვის (Wendt 2000, 18). კონსტრუქტივიზმის სიძლიერე კი იმაში მდგომარეობს, რომ კონსტრუქტივიზმს შეუძლია ახსნას ცვლილება, ანიჭებს სახელმწიფოს რამდენიმე იდენტობას და სახელმწიფოს ქცევასაც ამ იდენტობებთან კავშირში განიხილავს. ვენდტი თეორიებს შორის შედარებების გაკეთებისას გამოყოფს რაციონალისტურ და რეფლექტივისტურ მიდგომებს. ნეორეალიზმიც და ნეოლიბერალიზმიც ეყრდნობიან რაციონალიზმს. მათ აერთიანებთ მიდგომა, რომ სახელმწიფოები არიან სისტემის დომინანტი აქტორები და მათი უსაფრთხოება კერძო ინტერესებიდან (self-interested) გამომდინარეობს, ანარქია არის თვით-დახმარების სისტემა (self-help), ხოლო იდენტობები და ინტერესები გარედან არის მოცემული (exogenously given) (Wendt 1992, 391-392). რაციონალისტებისათვის ინტერაქცია მიმდინარეობს აქტორებს შორის, რომელთა იდენტობები და ინტერესები მოცემულია გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ლიბერალიზმის მიმდევრებისათვის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ინტერაქციამ შესაძლოა გამოიწვიოს თანამშრომლობითი ქცევა გარედან მოცემულ, თვით-დახმარების სისტემაშიც.

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, ვენდტი ცდილობს დააკავშიროს კონსტრუქტივისტები ლიბერალიზმისა და რეალიზმის სკოლის წარმომადგენლებთან. რეალიზმსა და კონსტრუქტივიზმს შორის კავშირის მოძიება შესაძლებელი იქნება თუკი დამტკიცდება იმის საწინააღმდეგო არგუმენტი, რომ თვითდახმარების სისტემა, ანარქიულ სტრუქტურაში, პროცესის გარეთ ყალიბდება. ვენდტის აზრით თვით-დახმარება და ძალის პოლიტიკა პროცესის შედეგია და არა სტრუქტურის. „აქტორები სხვა აქტორების მიმართ იმ მნიშვნელობის თანახმად მოქმედებენ რასაც თავად ანიჭებენ მათ. სახელმწიფოები მტრებსა და მეგობრებს სხვადასხვანაირად ექცევიან“ (Wendt 1992, 397). ვენდტის თანახმად, ანარქია და ძალის პოლიტიკა ვერ განსაზღვრავს რომელია მტერი და რომელი მეგობარი. აშშ-ს სამხედრო ძლიერებას სხვადასხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა კუბისათვის და კანადისათვის, ისევე როგორც ბრიტანულ და საბჭოთა ბირთვულ იარაღს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-სათვის (Wendt 1992, 397). ინტერაქცია განსაზღვრავს აგენტის ქმედების მნიშვნელობას მეორე აგენტისადმი. როგორც ზევით აღინიშნა, ვენდტი აანალიზებს ეგოსა და ალტერს. პირველი შეხვედრისას, ორივეს აქვს განსაზღვრული რაოდენობის შესაძლებლობები და ორივეს სურს გადარჩენა, მაგრამ არც ერთს აქვს ბიოლოგიური ან შინაგანი სწრაფვა ძალის, დაპყრობის და დიდებისადმი. არ არსებობს საფრთხის ან უსაფრთხოების ისტორია მათ შორის. ისინი უნდა მოიქცნენ შესაძლო სცენარების განვითარების

გათვალისწინებით, რომელიც უკვე ინტერაქციის შედეგია. მინიშნება, ინტერპრეტაცია და პასუხი სოციალური ქმედებაა, პირველი ქმედება განსაზღვრავს მოლოდინებს ერთმანეთის მომავალ ქმედებაზე. ამ ცოდნის საფუძველზე, ეგო მოქმედებს ალტერის მიმართ მოლოდინებით, ისევე როგორც ალტერის საპასუხო ქმედება ეფუძნება მის ცოდნას ეგოს შესახებ (Wendt 1992, 400). ინტერსუბიექტური ცოდნის საფუძველზე იქმნება იდენტობები და ინტერესები ყოველდღიური პროცესის შედეგად. ვენდტი ალტერისა და ეგოს ურთიერთობას ასევე აკავშირებს პატიმრის დილემასთან, რომლის დროსაც, დროთა განმავლობაში, მხარეები იძენენ ცოდნას და მოლოდინებს მეორის ქცევასთან დაკავშირებით და რეაგირებენ მიღებულ სტიმულებზე და არა წინასწარ არსებულ განწყობებზე.

რაც შეეხება ლიბერალიზმთან კავშირს, ვენდტი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ინსტიტუტები ახდენენ იდენტობებისა და ინტერესების ტრანსფორმაციას. ამის საფუძველს წარმოადგენს სტაბილური პრაქტიკა. „რეგულარული პრაქტიკა წარმოქმნის ორმხრივ სუვერენულ იდენტობებს (აგენტებს) და მათთან ასოცირებულ ინსტიტუციურ ნორმებს (სტრუქტურებს)“ (Wendt 1992, 402). იდენტობები და ინსტიტუტები თავის მხრივ დამოკიდებულია აქტორების ქმედებაზე. იმისათვის, რომ შეიქმნას ინსტიტუტები, აუცილებელია 1) ინტერაქციის სიხშირე და 2) ადრე არსებული იდენტობისა და ინტერაქციის ფორმებით უკმაყოფილება. თანამშრომლობის მნიშვნელობა აქვს ძლიერი ლიბერალიზმისა და კონსტრუქტივიზმისათვის. ქცევით გამოწვეული მოლოდინები გავლენას ახდენენ იდენტობებსა და ინტერესებზე. ინსტიტუტების შექმნისათვის აუცილებელია საკუთარისა და სხვისის ახალი გაგება, იდენტობების ახალი როლის შეძენა. პროცესი, რისი მეშვეობითაც ეგოისტები სწავლობენ თანამშრომლობას, ამავდროულად არის მათი ინტერესების რეკონსტრუქცია (Wendt 1992, 402).

როგორც უკვე ითქვა, ტედ ჰოპფის თანახმად, ნეორეალიზმი სახელმწიფოს ერთ უსასრულო მნიშვნელობას განსაზღვრავს, კონსტრუქტივიზმის მიხედვით კი სახელმწიფოს რამდენიმე ცვლადი იდენტობა აქვს, რომლებიც დამოკიდებულია ისტორიულ, კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტზე. ჰოპფის თანახმად, მთავარ როლს თამაშობს სოციალური პრაქტიკა, რომელიც არა მხოლოდ წარმოქმნის სახელმწიფო აქტორების განსხვავებულ იდენტობას, არამედ ასევე წარმოქმნის ინტერსუბიექტურ სოციალურ სტრუქტურას. აშშ-ს სამხედრო ინტერვენცია ვიეტნამში დაკავშირებული იყო აშშ-ს რამდენიმე იდენტობასთან: დიდი ძალა, იმპერიალისტი, მტერი, მოკავშირე და ა. შ. (Hopf 1998, 178). სხვა სახელმწიფოებმა ვიეტნამში აშშ-ს ქმედების საფუძველზე მიანიჭეს მის იდენტობას განსხვავებული ინტერსუბიექტური მნიშვნელობები, მაგ. ქვეყნების გარკვეული ჯგუფისათვის აშშ-ს სამხედრო ინტერვენციამ ვიეტნამში გახადა აშშ იმპერიალისტური იდენტობის მქონე სახელმწიფოდ. ამგვარი სოციალური პრაქტიკის სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელს ხდის სოციალური სტრუქტურის აქტორებს შორის გაურკვევლობის შემცირებას. შესაბამისად იზრდება რწმენა, რომ გარკვეულ ქმედებას მოჰყვება გარკვეული შედეგები და რეაქციები სხვების მხრიდან რაც ამარტივებს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ნეორეალიზმის კონცეფციებიდან ჰოპფი კონსტრუქტივიზმს უკავშირებს სტივენ ვოლტის საფრთხის ბალანსს. ნეორეალიზმს აკლია საფრთხის აღქმის თეორია და სწორედ ამ მიმართულებით ავსებს მას კონსტრუქტივიზმი. მაგ: მეორე მსოფლიო ომის მერე ძალის გადანაწილება არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ გაგვეგო საფრთხის მაშინდელი აღქმა. უბრალო ძალის გადანაწილებით და საფრთხის გაგებით აშშ და საბჭოთა კავშირი სხვადასხვა მხარეს ვერ აღმოჩნდებოდნენ. შესასწავლია რის საფუძველზე აღიქვამდნენ საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია და აშშ საბჭოთა სამხედრო შესაძლებლობებსა

და გეოგრაფიულ სიახლოვეს საფრთხედ (Hopf 1998, 187). კონსტრუქტივისტები ეთანხმებიან რობერტ კიოჰენს იმ ნეორეალისტურ მიდგომაში, რომ ანარქიის პირობებში თანამშრომლობა შესაძლებელია, თუმცა, კონსტრუქტივისტების აზრით, თანამშრომლობის შესაძლებლობას სახელმწიფოთა ინტერესებისა და იდენტობის გადანაწილება განსაზღვრავს.

ლიბერალიზმის სკოლის ნაწილია დემოკრატიული მშვიდობის თეორია და მთავარი თეორიული მტკიცება, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები არ ომობენ. ჰოპფის მიხედვით ამ ნაწილში კონსტრუქტივიზმი შემოდის ნორმების გაგების კუთხით. გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის დემოკრატიულ ღირებულებებს მნიშვნელობა აქვს ომსა და მშვიდობას შორის არჩევის გაკეთების დროს, ეს მოსაზრება არ არის შემოწმებული. თუმცა კონსტრუქტივისტები სწორედ ამ მიმართულებით კვლევის მოწოდებით გამოდიან და მნიშვნელოვან საკვლევ კითხვად მიიჩნევენ იმის შესწავლას, თუ რა გავლენა აქვს ნორმებსა და სოციალურ პრაქტიკას სახელმწიფოების იდენტობისა და ინტერესების განსაზღვრაზე (Hopf 1998, 192).

პატრიკ თადეუს ჯექსონი მიიჩნევს, რომ თანამედროვე კონსტრუქტივიზმის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ დომინირებულია ლიბერალიზმისა და იდეალიზმის მიერ და საჭიროებს რეალიზმით შევსებას. შესაძარებლად საინტერესოა სამივე თეორიის ძირითადი პოსტულატები: თანამედროვე რეალისტებისათვის ანარქია არის არამუტირებადი, აქვს ნათლად განსაზღვრული და ძლიერი გავლენა აქტორებზე და არის სპეციფიური ისტორიული კონფიგურაციებისაგან დამოუკიდებელი. თანამედროვე ლიბერალიზმის მიმდევრებისათვის ანარქია არის ნაკლებად განსაზღვრული, თუმცა წარმოადგენს გარემოს, სადაც აქტორები ახორციელებენ მიზნებსა და ინტერესებს, რომლებიც მომდინარეობენ საშინაო პოლიტიკიდან.

კონსტრუქტივისტები არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებებს. ჯექსონი სხვა ავტორებთან ერთად ცდილობს ახსნას კონსტრუქტივიზმი რეალიზმთან და ლიბერალიზმთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი განსხვავება მიდგომებს შორის იკვეთება ძალის კონცეფციასთან არსებულ ანალიზში. კონსტრუქტივისტები ვერ თანხმდებიან რეალისტებთან იმაზე, რომ ანარქია განსაზღვრავს ძალის ცენტრალურ როლს. კონსტრუქტივიზმისათვის ძალა შესაძლოა გადაილახოს მსოფლიო პოლიტიკაში. ჯანის მატერნი ცდილობს ახსნას რეალისტ-კონსტრუქტივისტული მიდგომა, მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმის მიხედვით შეუძლებელია ძალის კონცეფციის უგულვებელყოფა, რეალისტ-კონსტრუქტივისტული მიდგომით დასაშვებია, რომ ძალა არსებობს სხვადასხვა ფორმით, მატერიალური, სიმბოლური, იდეური, ენობრივი. ძალის ეს ფორმები გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაში სხვადასხვანაირ ქცევებსა და დინამიკაზე (Mattern 2004, 345). თუკი ძალა არის საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური იდეა, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკა არის სოციალურად კონსტრუირებული, მაშინ ძალაც არის სოციალური კონსტრუქცია (Barkin 2004). ჯენიფერ სტერლინგ ფოლკერი ხსნის თეორიებს მორალურობის პრინციპის გარშემო. მას მოჰყავს ბარკინისეული ახსნა, რომ რეალიზმი სწავლობს იმ პრინციპებს, რაც ზღუდავს ადამიანის სოციალურ პრაქტიკებს, მაშინ როდესაც კონსტრუქტივიზმი სწავლობს იმას რაც ათავისუფლებს მათ (Sterling-Folker 2004, 341).

4. სახელმწიფოთა საშინაო პოლიტიკა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები (კონფლიქტები და თანამშრომლობა) კონსტრუქტივიზმის მიხედვით

კონსტრუქტივიზმში ყოველდღიურ საერთაშორისო ურთიერთობებში მარტივად შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: სახელმწიფოთა იდენტობები და ნორმები მართავენ საშინაო და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს. რეალური საგარეო პოლიტიკური ინტერაქციით სახელმწიფოებს შორის შესაძლოა გამოჩნდეს სოციალური იდეებისა და მატერიალური სტრუქტურების როლი სახელმწიფოთა შორის ინტერესებისა და იდენტობების განსაზღვრაში. საინტერესო ახსნა კონსტრუქტივიზმის როლთან დაკავშირებით აქვს რიზ-კაპენს ნატოს მაგალითზე. მისი აზრით, ნორმები, რომლებიც მართავენ საშინაო გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ასევე არეგულირებენ ინტერაქციას დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ისეთ ლიბერალურ სისტემაში, მაგალითად, როგორიც არის ნატო. დემოკრატიებს საერთაშორისო არენაზე თანამშრომლობის დროს გამოაქვთ შიდა ნორმები და სწორედ ამის მეშვეობით ხდება შესაძლებელი ძალთა ასიმეტრიის მედიაცია. რიზ-კაპენი ასევე ცდილობს წარმოაჩინოს ინტერესებისა და ნორმების როლი ნატო-ს შექმნის პროცესში (Checkel 1998, 334).

მართა ფინმორი კონსტრუქტივიზმით ადამიანისა და სახელმწიფოს ქცევას რაციონალური ლოგიკის მსგავსად ხსნის. მის მიერ იუნესკოს გარშემო ჩატარებული კვლევა საკმაოდ რეპრეზენტატულია. ფინმორის ფაზლი მდგომარეობდა იმაში, თუ რატომ შექმნა ბევრმა განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყანამ იუნესკოს ბიუროკრატიის მსგავსი სამეცნიერო პოლიტიკის მიმართულება მოკლე დროში. მართა ფინმორი იწყებს ახსნას საერთაშორისო დონიდან, თუ როგორ ჩამოყალიბდა ნორმად, იუნესკოს მიერ ეროვნული სამეცნიერო განყოფილებების შექმნა. შემდგომ საფეხურზე ფინმორი აყალიბებს კორელაციას ასეთი განყოფილებების საჭიროების შესახებ ერთიან ნორმასა და თვით განყოფილებების შექმნას შორის. საბოლოოდ გამოჩნდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ ასწავლონ სახელმწიფოებს გარკვეული მიზნებისათვის ღირებულების მინიჭება (Checkel 1998, 331).

აუდი კლოცმა კონსტრუქტივიზმის მნიშვნელობის წარმოსაჩენად განიხილა, თუ რატომ დაუწესეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სახელმწიფოებმა სანქციები სამხრეთ აფრიკას, მიუხედავად იმისა, რომ მათ აკავშირებდათ ძლიერი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები ამ ქვეყანასთან. კლოცის არგუმენტის თანახმად, რასობრივი თანასწორობის გლობალური ნორმის დამკვიდრებამ გავლენა მოახდინა ქცევა, აიძულა სახელმწიფოები ნორმის ჭრილში გადაეხედათ საკუთარი ინტერესებისთვის (Checkel 1998, 336).

კონსტრუქტივისტებმა, სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე მუშაობისას შეძლეს ისეთი ემპირიული კვლევების ჩატარება, რომლებითაც შესაძლებელი გახდა ნორმების ეფექტურობის ჩვენება რათა ზუსტად შეეფასებინათ სახელმწიფოს ინტერესების როლი ისეთ სფეროებში, როგორიცაა საგარეო დახმარება, ტრეფიკინგი, მონობასთან ბრძოლა, რასიზმი, ომის კანონები, სამეცნიერო პოლიტიკა, განვითარება და სხვა (Finnemore 2001, 396).

საინტერესო ემპირიული დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ორი დაპირისპირებული სახელმწიფოს ურთიერთობის ანალიზით კონსტრუქტივიზმის ჭრილში. 9/11-ის შემდგომ აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობები

დისკუსიის ფართო არეალს იძლევა. აარონ ფრიდბერგი გამოყოფს კონსტრუქტივიზმის პესიმისტურ და ოპტიმისტურ მიდგომებს აშშ-ჩინეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით 9/11-ის შემდგომ. ოპტიმისტური კონსტრუქტივიზმისათვის ჩინეთის მზარდი ჩართულობა საერთაშორისო ორგანიზაციებში საბოლოოდ გამოიწვევს ცვლილებებს მის სტრატეგიულ კულტურაში და ეროვნული იდენტობის აღქმაში (Friedberg 2005). კონსტრუქტივისტებისათვის განმეორებითი ინტერაქცია იწვევს რწმენების და ინტერესების ცვლილებას. ადრეულ პერიოდში ჩინეთის მთავრობისათვის მიუღებელი იყო საერთაშორისო ინსტიტუტებში მონაწილეობა, რადგან მათი რწმენით ეს გამოიწვევდა თავისუფალი ქმედების/სუვერენიტეტის შეზღუდვას.

კონსტრუქტივისტი პესიმისტებისათვის კი პოზიტიურ ცვლილებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. არსებული მენტალური კონსტრუქციები და სოციალური სტრუქტურები მჭიდროდ არიან დაკავშირებული, ხოლო აზიაში ეროვნული იდენტობებისა და ინტერესების მჭიდრო კონსტრუქციის შეცვლას შესაძლოა დასჭირდეს ათწლეულების დადებით გამოცდილებაზე დაფუძნებული ინტერაქცია და ურთიერთგაცვლა. დღევანდელი გადმოსახედიდან ჩინურ-ამერიკული ურთიერთობები წინსვლის ნაცვლად ჩიხშია შესული, მრავალი გარე ფაქტორის გათვალისწინებით, როგორცაა ნეგატიური სავაჭრო ბალანსი, ჩინეთის ურთიერთობა ავტორიტარულ სახელმწიფოებთან, კომუნისტური პარტიის გავლენა ენერგეტიკისა და საქონლის ფასებზე და სხვა (Friedberg 2005). შესაბამისად, რთულია ოპტიმისტური კონსტრუქტივიზმის პრიზმიდან ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაანალიზება.

საინტერესოა ასევე კონსტრუქტივიზმის ჩარჩოში ინდოეთი-პაკისტანის მსოფლიოში ყველაზე ძველი და კვლავ მიმდინარე კონფლიქტის ახსნა:

4.1. ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი

სამხრეთ აზიაში ძალაუფლებასა და ომს მატერიალური მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იდეური ფაქტორებიდან გამომდინარე. კონსტრუქტივიზმისათვის კი იდეები, იდენტობა, კულტურა, ისტორია, რელიგია სწორედ ის ფაქტორებია, რომელიც ემპირიულ შესწავლას ექვემდებარება (Shafique 2011). ეთნიკური კონფლიქტების ან სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების (რომელთაც ეთნიკური საფუძველი აქვს) შესწავლისას კონსტრუქტივიზმის მიდგომები განსაკუთრებით რელევანტურია (Sridharan 2005). მატერიალურ სტრუქტურებს მნიშვნელობა მხოლოდ სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე ენიჭება. ინდოეთი და პაკისტანი აშენებენ ორ, სრულიად განსხვავებულ სახელმწიფოს. პაკისტანის მიზანია ეთნო-რელიგიური სახელმწიფოს შექმნა სუბ-კონტინენტის მუსულმანი მოსახლეობისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ პაკისტანი განასხვავებს მუსულმანებსა და ჰინდუ ერებს ორი ერის თეორიის საფუძველზე (Sridharan 2005). ხოლო ინდოეთის მიზანია, სეკულარული, მულტიკულტურული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ორი ერის თეორიას უარყოფს. კონსტრუქტივიზმის მიხედვით მნიშვნელოვანია თუ როგორ აღიქვამენ სახელმწიფოები საფრთხეს, აღქმები კი ყალიბდება ისტორიულად განვითარებული საშინაო და საერთაშორისო ნორმებით, სახელმწიფო იდეოლოგიითა და ისტორიული მეგობრობისა და მტრობის გამოცდილებით. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, ბირთვული იარაღი და სამხედრო ტექნიკა არ ფასდება მხოლოდ მათი მატერიალური მონაცემებით, არამედ მათ ენიჭებათ მნიშვნელობები - საფრთხის შემცველი, შემაკავებელი, მასტაბილიზირებელი და სწორედ ეს მნიშვნელობები განსაზღვრავს ინდოეთსა და პაკისტანს შორის ურთიერთობების ბუნებას (Shafique 2011).

რელიგიურ და სახელმწიფო პოლიტიკაში არსებული განსხვავებები ხელს უშლის მხარეებს შორის საერთო პოზიციებისა და მატერიალური ღირებულებების ჩამოყალიბებას. ინდოეთში ნაციონალისტური იდეების გაძლიერებამ გაართულა ურთიერთობა საკუთარ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ასევე დაამძიმა ბოლო დროის მეტ-ნაკლებად კონსტრუქციული ნაბიჯები, რომელთა გადადგამსაც ცდილობდა ორივე მხარე. თავის მხრივ, ძლიერი ისლამისტური ექსტრემალური ჯგუფების არსებობა და მათი კონტროლის სირთულე სამოქალაქო ხელისუფლების მხრიდან ართულებს მხარეებს შორის ინტერესების შეჯერებას.

ინდოეთის გადმოსახედიდან კონფლიქტის ბუნებას განსაზღვრავს პაკისტანის მიერ მხარდაჭერილი ექსტრემალური ისლამური ან სამხედრო დაჯგუფებები, რომლებიც რეგულარულად ახდენენ ურთიერთობების ესკალაციას, ინდოეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე განხორციელებული თავდასხმებით. ხოლო პაკისტანის გადმოსახედიდან კი კონფლიქტის მიზეზად შეძლება ჩაითვალოს აღქმა, რომ ინდოეთი გეგმავს დაიპყროს მთელი მუსულმანური ქაშმირი და ასევე პაკისტანი, რათა აღიდგინოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არსებულ ტერიტორიებზე გავლენა (Marlow 2019). განსაკუთრებულად მგრძნობიარეა დამოკიდებულება რელიგიის საკითხთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ქაშმირის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მუსულმანია, არსებობს შიში, რომ ინდოეთის მთავრობის მიზანია, ქაშმირში შეამციროს მუსულმანთა უმრავლესობა (BBC Kashmir Profile 2019).

გარდა იმისა, თუ როგორ აღიქვამენ კონფლიქტის მხარეები ერთმანეთს, კონფლიქტის ესკალაციას შესაძლოა ხელი შეუწყოს საშინაო აღქმებმაც. ინდოეთის თვითაღქმა ძირითადად ეფუძნებოდა ნაციონალისტურ დისკურსს, როგორც ბრიტანეთის ძალის გამგრძელებელი რეგიონში და სეკულარული სახელმწიფო, სადაც ყველა რელიგიას შეუძლია თანაცხოვრება. პაკისტანის აღქმები კი ეფუძნება ორი ერის თეორიას, რომელიც გულისხმობს, რომ ჰინდუსა და მუსულმანს არ შეუძლიათ ერთად თანაცხოვრება როგორც არათავსებად ცივილიზაციებს (Shafique 2011). აქედან გამომდინარე იდენტობის როლი და ინდოეთისა და პაკისტანის მიერ საკუთარი და სხვისი აღქმების ცოდნა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონფლიქტის არსს. კონსტრუქტივიზმის მიხედვით სწორედ ასეთი აღქმების, ღირებულებებისა და იდენტობების დაპირისპირება განსაზღვრავს კონფლიქტის ხანგრძლივობას.

5. კონსტრუქტივიზმის ახლებური ხედვები და გამოწვევები

კონსტრუქტივიზმში მრავალი კრიტიკისა და გამოწვევის წინაშე დგას. მარტივად გამოსწორებადი საკითხები სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1) კონსტრუქტივიზმმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს კვლევის დიზაინს. უფრო მეტი ემპირიული ნაშრომია დღეს ცალკეულ ქვეყნებზე ვიდრე, რამდენიმე ქვეყანაზე ერთად გრძელვადიან პერიოდში. 2) თანაბარი დრო უნდა დაეთმოს ნეგატიური ნორმების და ღირებულებების კვლევასაც. ბოლო დროის ტენდენციაა, რომ მხოლოდ კარგ, ეთიკურ ნორმებს დაეთმოს ყურადღება, მაშინ, როდესაც მსოფლიოში აქტუალურია ბირთვული და ქიმიური იარაღის გამოყენების ტენდენცია. 3) მეტად უნდა მოხდეს გარკვეული ტერმინების დაზუსტება. მაგ.: რას გულისხმობს ინსტიტუციონალიზმი. ასევე, ონტოლოგიისა და თეორიის განვითარება დღევანდელი კონსტრუქტივიზმის მნიშვნელოვანი გამოწვევებია (Checkel 1998, 339).

ემანუელ ადლერი თავის მხრივ ასკვნის, რომ კონსტრუქტივიზმმა დიდი გზა გამოიარა, თუმცა რჩება დიდი სამუშაო იმისათვის, რომ გახდეს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და კვლევის სრულფასოვანი

ნაწილი (Onuf 2016, 1). ონუფი კონსტრუქტივიზმს უწოდებს არა თეორიას, არამედ ჩარჩოს, სადაც მკვლევარები შეიმუშავენ 1) იდენტობებს; 2) წესებს და ნორმებს; 3) ადგენენ შედეგების ლოგიკურობას და 4) აგენტისა და სტრუქტურის ურთიერთმიმართებას. ამ კონტექსტში ონუფი საინტერესოდ განიხილავს ადამიანის უფლებებს. ადამიანის უფლებები არის ნორმატიული პროდუქტი, რომელიც ვრცელდება მსოფლიოში და გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევის ცვლილებაზე (Onuf 2016, გვ. 10). აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სრულად რეალიზებული კონსტრუქტივიზმი დღეს მოიცავს მარტივ კომპონენტებს, რომლებიც სწრაფად ვრცელდება და შესაძლებელია მათი მისადაგება საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელ ნაწილებთან.

დევიდ მაკკორტი კონსტრუქტივიზმის ახლებურად გააზრების შესაძლებლობას განიხილავს მასში პრაქტიკის თეორიისა და რელაციონალიზმის ჩართვით. ორივე მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებას მოითხოვს. კონსტრუქტივიზმი აშშ-ში საკმაოდ დავიწროვებულია და სახელმწიფოს ანალიზისას მხოლოდ ნორმებს, იდენტობებსა და კულტურას მოიცავს, რაც საკმაოდ ასუსტებს თეორიას მის კონკურენტებთან მიმართებით (MacCourt 2016, 476). აბოტი კონსტრუქტივიზმის დავიწროვებას ბუნებრივ პროცესად მიიჩნევს და თეორიის ციკლური განვითარებით ხსნის. კონსტრუქტივიზმის დავიწროვებას სამი ძირითადი პრობლემა ახასიათებს: 1) კონსტრუქტივიზმის დახასიათება, როგორც იდეები, რომლებიც ძერწავენ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სამყაროს ართულებს კონსტრუქტივიზმის განსხვავებას იდეური ლიტერატურისაგან პოლიტიკურ მეცნიერებებში. 2) მეორე პრობლემა გახდა აგენტისა და სტრუქტურის დაპირისპირება, ხოლო მესამე 3) დიხოტომიის არსებობა მიზეზ-შედეგობივ (causal) და შემადგენელ (constitutive) თეორიებს შორის. სწორედ პრაქტიკის თეორია და რელაციონალიზმი შესაძლებელია მივიჩნიოთ როგორც ორმხრივი მიდგომა დავიწროვებული კონსტრუქტივიზმის პრობლემების მოსაგვარებლად.

პრაქტიკის თეორია მიმართულია იდეურ-მატერიალური დიქტომიისაკენ. იდეური გადმოსახედიდან როგორ შეუძლია ენას და დისკურსს იმოქმედონ პრაქტიკაში, როგორც მატერიალურმა და არა როგორც სუბიექტურმა იდეებმა ინდივიდების მოტივაციისათვის. რელაციონალური მიდგომა ცდილობს მოაგვაროს აგენტისა და სტრუქტურის დიქტომია და ახსნას, როგორ ქმნიან ინდივიდები და საზოგადოებები ერთმანეთს პრაქტიკული ჩართულობით, კავშირებით და სხვა ჩარჩოებით. პრაქტიკის თეორია და რელაციონალიზმი ორივე ერთად კი ხსნის მიზეზ-შედეგობრივ და შემადგენლობით დიქტომიას, აგენტის პრობლემური ენის შეცვლით და სტრუქტურაში პროცესზე ფოკუსირებული კონცეფციების შემოღებით (MacCourt 2016, 481).

6. დასკვნა

დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობები ისეთი რთული და ურთიერთგადაჯახებულია, როგორც არასდროს. შესაბამისად, სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო სისტემის სხვადასხვა აქტორთა ურთიერთობების განხილვა შეუძლებელია მხოლოდ ლიბერალიზმის ან რეალიზმის ტრადიციული პრიზმიდან. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქტივიზმი სათავეს იღებს იდეალიზმისაგან პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის, როგორც თეორიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ცივი ომის შემდგომ პერიოდში. რეალიზმისა და ლიბერალიზმისაგან განსხვავებით, კონსტრუქტივიზმი აღმოჩნდა თეორია, რომელსაც შეუძლია ახსნას მოვლენათა ცვლილება, იდენტობებისა და ინტერაქციის ცვლილებაზე დაკვირვებით. როგორც უკვე ითქვა, ძველ იდენტობებს ძველი ინტერაქცია განსაზღვრავს, მნიშვნელოვანია შეიცვალოს სხვისი

იდენტობა, რომ შეიცვალოს ინტერაქციაც და შესაძლებელი გახდეს საკუთარის შეცვლა. ამ განტოლებაში კი დიდ როლს თამაშობს ალექსანდრ ვენდტის ალტერი და ეგოს მაგალითი, რომლებიც ერთმანეთის შესახებ წარმოდგენას არა წინასწარი მოცემულობით, არამედ ინტერაქციისას მიღებული სიგნალების ინტერპრეტაციის შედეგად იქმნიან. იარაღის ჟღარუნით მათ მტრობამდე, ხოლო მშვიდობიანი სიგნალი მეგობრობამდე მიიყვანთ. კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი მთავარი დასკვნაა, რომ სამყარო იდენტობების გარეშე არის ქაოსური სამყარო, გაცილებით უფრო საშიში, ვიდრე ანარქია.

გარდა იდენტობისა და ინტერაქციისა კონსტრუქტივიზმი ასევე ეყრდნობა სოციალურ ნორმებსა და იდეებს. აქტორთა ქმედებები, მათი ინტერესები და გარემო სადაც ისინი ურთიერთქმედებენ, განისაზღვრება სოციალური ნორმებით და იდეებით. სოციალური და პოლიტიკური სამყაროების ურთიერთობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა კი შეუძლიათ ნორმებს. ნორმები ეხმარება სახელმწიფოს უკეთ შეიცნოს საკუთარი ინტერესები. აქვე მნიშვნელოვანია ენის როლი, რომელიც ეხმარება აქტორს შეაცვლევინოს აზრი, ჩამოაყალიბოს ახალი სოციალური კონსტრუქცია, შემოიტანოს ახალი ახსნები. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, შესაძლებელია დაშალო და კრიტიკულად გაანალიზო სხვების ცოდნა.

საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიებთან მიმართებაში დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ კონსტრუქტივიზმი უშვებს სახელმწიფოსათვის განსხვავებული და ცვლადი იდენტობების არსებობას (სახელმწიფოსათვის ერთი უსასრულო მნიშვნელობის მინიჭებისაგან განსხვავებით). ასევე, კონსტრუქტივიზმი უშვებს ანარქიის პირობებში თანამშრომლობის შესაძლებლობას. თანამშრომლობაზე კი გავლენა აქვს სახელმწიფოს იდენტობასა და სახელმწიფოთაშორის ინტერაქციას. ალექსანდრ ვენდტის თანახმად „აქტორები სხვა აქტორების მიმართ იმ მნიშვნელობის თანახმად მოქმედებენ, რასაც თავად ანიჭებენ მათ. სახელმწიფოები მტრებსა და მეგობრებს სხვადასხვანაირად ექცევიან.“ აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თვით-დახმარება და ძალის პოლიტიკა პროცესის შედეგია და არა სტრუქტურის.

რეალისტური და კონსტრუქტივისტული მიდგომის გაერთიანებაც შეიძლება, კერძოდ ძალის კონცეფციის გარშემო: დასაშვებია, რომ ძალა არსებობდეს სხვადასხვა ფორმით, მაგ: მატერიალური, სიმბოლური, იდეური, ენობრივი. ლიბერალიზმისა და კონსტრუქტივიზმის დაკავშირება კი შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების კონტექსტით. საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ ასწავლონ სახელმწიფოებს გარკვეული მიზნებისათვის ღირებულების მინიჭება.

რაც შეეხება კონსტრუქტივიზმის გამოყენებას რეალურ ცხოვრებაში, საინტერესო კონსტრუქტივისტული ახსნაა, რომ ნორმები, რომლებიც მართავენ საშინაო გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ასევე არეგულირებენ ინტერაქციას დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ისეთ ლიბერალურ სისტემაში, მაგალითად, როგორიც არის ნატო. ასევე საინტერესოა რომ თანასწორობის გლობალური ნორმის დამკვიდრებამ მოახდინა გავლენა სახელმწიფოების მიერ საკუთარი ინტერესების გადახედვაზე. აშშ-ჩინეთის და ინდოეთი-პაკისტანის ურთიერთობების მიმოხილვისას საინტერესოდ გამოიკვეთა იდენტობების როლი, იმ კონტექსტში, რომ არსებული მენტალური კონსტრუქციები და სოციალური სტრუქტურები მჭიდროდ არიან დაკავშირებული და აზიაში ეროვნული იდენტობებისა და ინტერესების მჭიდრო კონსტრუქციის შეცვლას შესაძლოა დასჭირდეს ათწლეულების ინტერაქცია და ურთიერთგაცვლა, რაც გაართულებს ქვეყნებს შორის საერთოს გამონახვას მიუხედავად არსებული საერთო საკითხებისა.

არსებობს მოსაზრებები, რომ კონსტრუქტივიზმის ჩარხო დავიწროვდა და გადაიქცა ვიწრო კვლევით მიდგომად. ამ კრიტიკისა და გამოწვევის პასუხად მნიშვნელოვანია, რომ კონსტრუქტივიზმის დახასიათება გასცდეს იდეებსა და იდენტობებს, სახელმწიფოებსა და აგენტებს შორის ინტერაქციის უფრო ფართო განმარტებები შემუშავდეს, შეიქმნას მეტი ემპირიული ნაშრომი, მოხდეს ნეგატიური ნორმებისა და ღირებულებების შესწავლა და დაზუსტდეს გარკვეული კონცეფციების მნიშვნელობა. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს კონსტრუქტივიზმის კიდევ უფრო განვითარებასა და თანამედროვეობაზე მეტად მორგებას,

გამოყენებული ლიტერატურა:

- Behraves, Maysam. Constructivism: An Introduction. February 3, 2011
<https://www.e-ir.info/2011/02/03/constructivism-an-introduction/>
- Checkel, Jeffrey T. Review: Social Constructivisms in Global and European Politics: A Review Essay. *Review of International Studies*, Vol. 30, No. 2 (Apr., 2004), pp. 229-244. Cambridge University Press <https://www.jstor.org/stable/20097911?seq=1>
- Checkel, Jeffrey T. Review: The Constructivist Turn in International Relations Theory, Vol. 50, No. 2 (Jan., 1998), pp. 324-348, Cambridge University Press. <https://www.jstor.org/stable/25054040?seq=1>
- Finnemore, Martha, and Kathryn Sikkink. (2001). Taking Stock: The Constructivist Research Program in International Relations and Comparative Politics. *Annual Review of Political Science* 4: 391-416. <http://www.rochelleterman.com/ir/sites/default/files/finnmore%20and%20sikkink%202002.pdf>
- Friedberg, Aaron L. 2005. The Future of U.S.-China Relations: Is Conflict Inevitable? *International Security* 30, no. 2: pp. 7-45. <https://www.jstor.org/stable/4137594?seq=1>
- Hopf, Ted. 1998. The Promise of Constructivism in International Relations Theory. *International Security* 23, no.1. <https://www.jstor.org/stable/2539267?seq=1>
- Jackson, Patrick Thaddeus, D. Nexon, J. Sterling-Folker, J. Mattern, R. Lebow and J. Samuel Barkin. *Bridging the Gap: Toward a Realist-Constructivist Dialogue*. Vol. 6, No. 2 (Jun.2004), pp. 337-352. Wiley <https://www.jstor.org/stable/3699614?seq=1>
- McDonald, Matt. 2008. *Constructivism. Security studies: An introduction*. edited by Paul D. Williams. Milton Park, Abingdon, Oxon, U.K.: Routledge.
- Marlow, Ian. 2019. Why India and Pakistan Keep On Clashing, *Washington Post*, August 12, 2019. https://www.washingtonpost.com/business/why-india-and-pakistan-keep-on-clashing/2019/08/06/4c06d990-b80e-11e9-8e83-4e6687e99814_story.html
- McCourt, David M. Practice Theory and Relationalism as the New Constructivism. *International Studies Quarterly* 60.3, (2016) Pp.475-485. https://www.researchgate.net/publication/311295712_Practice_Theory_and_Relationalism_as_the_New_Constructivism
- Onuf, Nicholas. *Constructivism at the Crossroads; or, the Problem of Moderate-Sized Dry Goods*. International Political Sociology. Oxford University Press. Advance Access published May 17, 2016 PP. 1-18. <https://academic.oup.com/ips/article-abstract/10/2/115/1750168?redirectedFrom=fulltext>
- Onuf, Nicholas. *World of Our Making; Rules and Rule in Social Theory and International Relations*. Routledge, 2012. https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1478-9302.12053_52
- Shafique Atif. The Case of Constructivism in Analysing the India-Pakistan Conflict, September 7, 2011. <https://www.e-ir.info/2011/09/07/the-case-for-constructivism-in-analysing-the-india-pakistan-conflict/>
- Snyder, Jack. One World, Rival Theories. *Foreign Policy* 83.6, (2004) Pp. 52-62. https://www.researchgate.net/publication/271784252_One_World_Rival_Theories
- Sridharan, E. *International Relations Theory and India Pakistan Conflict*. University of Pennsylvania. *India Review* vol 4, No. 2, April 2005 pp. 103-124, Routledge. https://www.researchgate.net/publication/232900803_international_Relations_Theory

- Sterling-Folker, Jennifer. Theories of International Cooperation and the Primacy of Anarchy: Explaining U.S. International Monetary Policy-Making After Bretton Woods. Albany: State University of New York Press, (2002). 308p. https://www.researchgate.net/publication/231861750_Theories_of_International_Cooperation_and_the_Primacy_of_Anarchy_Explaining_US_International_Monetary_Policy_Making_After_Bretton_Woods_By_Jennifer_SterlingFolker_Albany_State_University_of_New_York_
- Wendt, Alexander. Social Theory of International Politics. Cambridge, UK: Cambridge University Press, 1999, Chapters: 4, 5, 6, 7. <https://www.jstor.org/stable/2706858?seq=1>
- Wendt, Alexander. Anarchy is What States Make of It. International Organization 46:2, (Spring, 1992) pp. 391-425. <https://www.jstor.org/stable/2706858?seq=1>
- Willard, Andrew R. Reviewed Work: World of Our Making: Rules and Rule in Social Theory and International Relations by Nicholas Greenwood Onuf. Source: Political Psychology, Vol. 13, No. 1 (Mar., 1992), pp. 145-150 Published by: International Society of Political Psychology <https://www.jstor.org/stable/3791430?seq=1>

დემოკრატიული მშვიდობის თეორია: თანამედროვე კვლევები

ლაშა კაკაშვილი

დოქტორანტი, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი

1. შესავალი

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის თანახმად, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ კონფლიქტს არ იწყებენ. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორიას არაერთი კრიტიკა უკავშირდება, საერთაშორისო ურთიერთობებში იგი ერთ-ერთი ყველაზე ემპირიულად დასაბუთებული თეორიაა. მოცემულ ტექსტში წარმოგიდგენთ დმთ-ს მოკლე დახასიათებას და დემოკრატიული მშვიდობის რასეტისეულ ანალიზს, რომელიც ანტიკური ეპოქის ქალაქ-სახელმწიფოების, სპარტასა და ათენის მაგალითზე ხსნის დმთ-ს მექანიზმს. ასევე მიმოვიხილავ დმთ ის შესახებ უახლეს პუბლიკაციებს, რომლებშიც გამოიკვეთა დემოკრატიული მშვიდობის ხელშეწყობის მექანიზმში საზოგადოებრივი აზრის და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა. ტექსტში ასევე განხილულია ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და დმთ-ს ურთიერთმიმართება და კრიტიკა.

2. დემოკრატიული მშვიდობის თეორია: მოკლე მიმოხილვა

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ორი ძირითადი ამხსნელი არგუმენტი არსებობს: ნორმატიული და ინსტიტუციური. ნორმატიული არგუმენტის მიხედვით, დემოკრატიული სახელმწიფო საგარეო პოლიტიკური კონფლიქტის გადაჭრის იმ ნორმებს ეყრდნობა, რომლებიც საშინაო პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესშია მიღებული. შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში მსგავსი ნორმების გამოყენებით იხელმძღვანელებენ, რასაც საბოლოოდ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრა მოჰყვება მოლაპარაკებებისა და პოლიტიკური კომპრომისების საშუალებით. ინსტიტუციური მიდგომა შედარებით მეტ ფაქტორს მოიცავს და კომპლექსურობით გამოირჩევა, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოები და გადაწყვეტილების მიღების ორგანოები პასუხისმგებელნი არიან საზოგადოების მრავალი ჯგუფის წინაშე, მათ შორის უბრალო მოქალაქეების, კანონმდებლების, ბიუროკრატიის, მედიის და სხვადასხვა ინტერეს ჯგუფის მიმართ. იმის გამო, რომ სამხედრო კონფლიქტს უზარმაზარი ადამიანური და მატერიალური ზარალი მოაქვს, დემოკრატიული ლიდერები მაქსიმალურად ცდილობენ, რაციონალური გადაწყვეტილება მიიღონ და თავი აარიდონ ისეთ სარისკო გადაწყვეტილებებს, რომლებიც საზოგადოების მხარდაჭერას საგრძნობლად შეამცირებს. ბუნებრივია, ამ არგუმენტის მომხრეები ცდილობენ დაამტკიცონ,

რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ლიდერები არასოდეს წავლენ საკუთარი მოსახლეობის აზრის წინააღმდეგ ამ მასშტაბით.

ინსტიტუციური არგუმენტი გულისხმობს თითოეული გადაწყვეტილების დროს გაღებულ ფასსა და მიღებულ შედეგს შორის რაციონალურ განსაზღვრებას. საზოგადოებრივი აზრი მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული, როდესაც გადაწყვეტილება მისაღებია ომში ჩაბმასა და მისგან თავის არიდებას შორის, რადგან, ჩვეულებრივ, მოქალაქეებს ომში მონაწილეობა იშვიათად სურთ (Mello 2014, 2-3). დემოკრატიული პროცესი და ინსტიტუციები პოლიტიკურ ლიდერებს ანგარიშვალდებულს ხდიან სოციალური ჯგუფების ფართო სპექტრისადმი. ანგარიშვალდებულება ასეთ სახელმწიფოებში საკმაოდ დიდია, რადგან მმართველ ძალას ყოველთვის აქვს სურვილი სახელისუფლებო ადგილი რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს. გარდა ამისა, ოპოზიციური ჯგუფები ყოველთვის უსვამენ ხაზს მმართველი ძალების მიერ მიღებულ არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს, რაც საბოლოოდ იწვევს ამ უკანასკნელის რეიტინგის მნიშვნელოვნად ვარდნას ან/და საზოგადოებისთვის ამარტივებს მათთვის არასასურველი მმართველი გუნდის დათხოვნას. ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში სანქცირება გაცილებით მარტივია ისეთი ფასეულობებით ხელმძღვანელობის შემთხვევაში, როგორებიცაა სიტყვის თავისუფლება და პოლიტიკური პროცესების ღიაობა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ელიტისთვის პრიორიტეტული ხდება მხოლოდ ისეთ ომში მონაწილეობა, რომელზეც საზოგადოების ფართო მხარდაჭერა არსებობს. თავის მხრივ, საზოგადოების მხარდაჭერა ომში მონაწილეობის პროცესში უმნიშვნელოვანესია, რადგან ერთმა არასწორმა გადაწყვეტილებამ ომში ჩაბმის სახით, შესაძლოა, საზოგადოებისგან ზეწოლის ტალღა წარმოქმნას, რაც ოპოზიციური ძალებისთვის სამთავრობო ადგილებს ვაკანტურს გახდის. ხელისუფლებისთვის საზოგადოების აზრის მობილიზების გარდა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მხარდაჭერის მოპოვებამ მნიშვნელოვანი, მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობისგან სარგებლის მქონე ჯგუფების, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და ლიბერალური შეხედულებების მქონე ლიდერების (Rosato 2003, 587).

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ორი გაგება არსებობს - დიადური და მონადური. ჩატარებული კვლევების უმრავლესობა დიადურ მშვიდობას უკავშირდება, რაც გულისხმობს იმას, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთში მშვიდობას ინარჩუნებენ და არასოდეს იწყებენ ერთმანეთის წინააღმდეგ ომს. მკვლევართა მცირე რაოდენობა კი მონადური მშვიდობის საფუძველს ხედავს, რაც გულისხმობს იმას, რომ დემოკრატიები, ზოგადად, უფრო მშვიდობის მოყვარულნი არიან.

რიგი კვლევები ცხადყოფს (Layne 1994, Rousseau et al. 1996, Russett 2005), რომ მონადური შეხედულება, რომლის მიხედვითაც დემოკრატიის მხრიდან ძალის გამოუყენებლობა პრიორიტეტულია, მიუხედავად მოწინააღმდეგის რეჟიმის ტიპისა, მცდარია. მიუხედავად ამისა, მონადურ შეხედულებასაც აქვს არგუმენტები იმის შესახებ, რომ დემოკრატიები დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებში უფრო აქტიურად ერთვებიან, ვიდრე ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტებში. ასევე დიდია ძალისხმევა, რომ საერთაშორისო დავა არ გადაიზარდოს ომში. მიუხედავად იმისა, რომ არადემოკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის წამოწყების შემთხვევაში, მასში გამარჯვების შანსი მეტია, შედარებით მცირეა ომის ინიცირების მოტივაცია.

დიადურ ხედვას გაცილებით მყარი არგუმენტები აქვს დემოკრატიული მშვიდობის შესახებ. თეორიის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ავტოკრატიული სახელმწიფო გარდაიქმნება დემოკრატიად, საგრძნობლად

მცირდება ომის საშიშროება ახალ დემოკრატიასა და დემოკრატიულ დიადებს შორის. დომ-ს თანახმად, დემოკრატიულ დიადებს შორის ურთიერთშეჯიბრებითობაც კი იშვიათი ფენომენია და იმ შემთხვევაში თუ არადემოკრატიული სახელმწიფო გარდაიქმნება დემოკრატიად, თანამშრომლობა დროთა განმავლობაში მხოლოდ გაიზრდება. ამას მოსდევს დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის საიმედო კავშირების დამყარება და ურთიერთვალდებულებებისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც დიდწილად ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუციების დამსახურებაა. დემოკრატიული სახელმწიფოების ასეთი მჭიდრო კავშირი არადემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ომში გამარჯვების შანსებს საგრძნობლად ზრდის. შესაბამისად, მოცემული თეორიის აბოლოგეტები აქტიურად უჭერენ მხარს დემოკრატიული ქვეყნების კოლექტიური კავშირების დამყარებას და ერთობლივ მუშაობას მრავალი მიმართულებით, არა მხოლოდ ნორმატიული და იდეოლოგიური მიზეზების გამო, არამედ თავდაცვითი პოტენციალის მაქსიმიზაციისთვისაც. საბოლოოდ, თუ დროთა განმავლობაში უფრო მეტი სახელმწიფო გადავა დემოკრატიული მართვის სისტემაზე, სულ უფრო ნაკლები ადგილი დარჩება სამხედრო კონფლიქტებისთვის (Rousseau 1996).

3. დემოკრატიული რაკურსით

ბრიუს რასეტი (2009) შეისწავლის თანამედროვე დემოკრატიული მშვიდობის თეორიაში არსებულ თავსატეხებს ორი კლასიკური ნაშრომის, თუკიდიდეს „პელოპონესის ომისა“ და იმანუელ კანტის „მარადიული მშვიდობის“ კონტექსტში. მისი აზრით, იმისთვის, რომ პასუხი გაცეს ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კითხვას: „არიან კი დემოკრატიები ზოგადად მშვიდობიანნი (9)? თუ მხოლოდ ერთმანეთის მიმართ არიან მშვიდობიანნი?“, საჭიროა, გაანალიზდეს როგორც თანამედროვე მსოფლიო სისტემაში არსებული მონაცემები, ასევე კლასიკური ბერძნული სახელმწიფოთაშორისი სისტემა. ვინაიდან აღნიშნული თეორიის ისტორიული რაკურსით განხილვისას იგი მუდამ ექვემდებარება კრიტიკას, არგუმენტების სრულად გასააზრებლად მნიშვნელოვანია იმ გარემოებების შესწავლა, რომლებიც ანტიკურ და თანამედროვე ეპოქაში არსებობს. ამისთვის კი საჭიროა, რომ მარტივი კითხვა დაისვას: რა უწყობს ხელს ან რა ფაქტორი აქარწყლებს დემოკრატიული მშვიდობის არსებობას? იმისთვის, რომ დასმულ შეკითხვებს გაცეს პასუხი, მნიშვნელოვანია, დემოკრატიისა და ავტოკრატიის კონცეპტუალიზაცია მოხდეს არა როგორც დიქტომიისა, არამედ ჰიპოთეტურ წრფეზე განლაგებული მართვის ფორმებისა, სადაც ზოგიერთი სახელმწიფო განთავსდება ცენტრში ან ერთმანეთისგან ნებისმიერ განსხვავებულ წერტილში. კლასიკური დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მიხედვით, არსებობს დიადური ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო დემოკრატიულია ნებისმიერი ორი სახელმწიფო, მით ნაკლები სიხშირით და სიმძიმით იარსებებს მილიტარისტული დავები მათ შორის. ამ იდეის გასამყარებლად ავტორი გამოყოფს ორ მთავარ მიდგომას: 1. კულტურა და მოტივაცია; 2. ინსტიტუციები და ექსპანსია (იქვე, 13-15).

კულტურა და მოტივაცია. არსებობს შეხედულება, რომ დემოკრატიები გაცილებით დიდ წარმატებას აღწევენ ომში, ვიდრე ავტოკრატიები. ეს ფაქტი კიდევ უფრო მყარია, როდესაც ვსწავლობთ მე-19 და მე-20 საუკუნის ისტორიას, სადაც დემოკრატიებმა გაიმარჯვეს ომების დაახლოებით 80%-ში. ავტოკრატიებისგან განსხვავებით, დემოკრატიული სახელმწიფოები გაცილებით ფაქიზად უდგებიან ომის ფენომენს და თავდასხმის ობიექტს დეტალურად შეისწავლიან, რაც განაპირობებს საჭირო ძალის მობილიზების სიზუსტეს. მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას იმაზე, რომ სამხედრო კონფლიქტში რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები დანაკარგით

იყოს წარმატება მიღწეული. აქ მთავარ როლს ამომრჩევლის ფაქტორი და სამოქალაქო საზოგადოება ასრულებს, რადგან პოლიტიკურ ლიდერებს არ სურთ საარჩევნო ხმების დაკარგვა. შედეგად, დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა მათ მიერ ინიცირებული ომების 90%-ზე მეტში გაიმარჯვეს, ხოლო იმ ომებში, რომლებიც მათ არ წამოუწყიათ, გამარჯვებების პროცენტული მაჩვენებლები 50-ზე ოდნავ მეტია. ამის საპირისპიროდ, ავტოკრატიებმა ინიცირებული სამხედრო კონფლიქტების მხოლოდ 60%-ში მოახერხეს წარმატების მიღწევა (Russett 2009, 16). დემოკრატიული სახელმწიფოს ეფექტურობა ბრძოლის ველზე იკვეთება უკეთ გადამზადებული და მეტად მოტივირებული შეიარაღებული ძალების მობილიზების საშუალებით, თუმცა სამხედრო და სამოქალაქო მოტივაცია შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისთვის მცირდება იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი დროში იწელება და გამარჯვების შანსი მცირდება. ამიტომ, ამ შემთხვევაში იკვეთება მთავრობის ლეგიტიმურობის ფაქტორი. რასეთი გვთავაზობს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ჯარის მოტივაცია სტაბილურად მაღალია იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს მართავს პოპულარული ხელისუფლება, რომლის იდეოლოგიაც საყოველთაოდაა მიღებული. აქედან გამომდინარე, მეტად სავარაუდოა, რომ ჯარი დემოკრატიისთვის უფრო იბრძოლებს, ვიდრე მონარქიული ინსტიტუციებისთვის, რადგან დემოკრატიული მთავრობა უფრო მეტი საზოგადოებრივი სიკეთის დელეგირებას ახდენს საკუთარი მოქალაქეებისთვის, ვიდრე ავტოკრატიების უმრავლესობა.

თუ ანტიკური სპარტის ელიტარულ ჰოპლიტებს განვიხილავთ, ისინი განთქმულნი იყვნენ თავიანთი დისციპლინითა და მოტივაციით, თუმცა არ გააჩნდათ საბრძოლო ინიციატივა, განსხვავებით დემოკრატიული სახელმწიფოს სამხედროებისგან. გარდა ამისა, სპარტას უდიდესი ნაკლი იყო ჯარის მონებისგან დაკომპლექტება, რომლებიც ძირითადად მაშინ იბრძოდნენ, როდესაც მათ აიძულებდნენ. ხშირად ამის გამო სპარტელი გენერლები მათ შორეულ საბრძოლო ფრონტზე უშვებდნენ, რათა აჯანყება აერიდებინათ თავიდან. ჯარის ბრძოლის უნარიანობას განაპირობებს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ოფიცრების მიერ სამხედროების შერჩევა მათი კომპეტენციისამებრ. დიქტატორი კი პირიქით, ჯარს მისადმი ერთგულების პრინციპით აკომპლექტებს, რადგან მუდამ არსებობს ღალატის საფრთხე. სადამ ჰუსეინი ამის კარგი მაგალითია. მისი პირადი მრჩევლები და ჯარი დაკომპლექტებული იყო პიროვნული ერთგულების და არა კომპეტენციის პრინციპით, სადაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან არგუმენტირებულ კრიტიკას, დიქტატორის შიშის გამო, ადგილი აღარ ჰქონდა (Russett 2009).

ინსტიტუციები და ექსპანსია. კანტი ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ ინსტიტუტებზე რესპუბლიკაში და მიიჩნევს, რომ ვინაიდან თავისუფალი ხალხი საკუთარ ტვირთად ატარებს ომის დანახარჯებს და ამავე დროს, თავადვე იღებს გადაწყვეტილებას ჩაებას თუ არა ბრძოლაში, მეტწილად, საზოგადოება ომში ჩაბმისგან თავის შეკავებას ამჯობინებს. მრავალი მკვლევარი თანხმდება, რომ ომის დროს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქალაქეები უკეთ ახდენენ რესურსის მობილიზებას, რადგან ავტოკრატიებისგან განსხვავებით, მათ მეტი შანსი აქვთ, რომ გაცემულს მომავალში უკანვე დაიბრუნებენ. ეს შანსები კი მატულობს მაშინ, როდესაც საერთაშორისო დაცხადულობა ხანგრძლივი დროით მიმდინარეობს, მაგალითად, ცივი ომის პერიოდში. ზოგადად, ყველაზე მძლავრი დემოკრატიები, რომელთა შემთხვევაშიც ომის მოგების ალბათობა დიდია, შესაძლოა, განსაკუთრებულად კონფლიქტურები აღმოჩნდნენ. ძალის გამოყენება არ მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური მოწინააღმდეგე დემოკრატიული სახელმწიფოა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში დემოკრატიული სამხედრო ექსპანსია სავსებით რეალურია. ამის კარგი ილუსტრაციაა ძველი

ათენი, დასავლური კოლონიალიზმის ისტორია და თანამედროვე რეალობაც კი.

რასეტის აზრით, ანტიკურ საბერძნეთში დიადური დემოკრატიული მშვიდობის სიმწირე გამოწვეული იყო ინსტიტუციური შეზღუდვებით და ხელისუფლების შტოებად დაყოფის პრინციპის არარსებობით. ასევე აღსანიშნავია მონების სიმრავლის ფაქტორი (რაც თანამედროვე დემოკრატიაში წარმოუდგენელი რამაა) და ელექტორალური უფლებების შეზღუდვები. არ არსებობდა ბიუროკრატია და არც წარმომადგენლობითი ინსტიტუტები, რათა მეტად დაბალანსებული და გააზრებული ყოფილიყო პოლიტიკური განაჩენი. ამასობაში კი, თავისუფალი მოქალაქეებისგან შემდგარი ასამბლეა ყველასგან და ყველაფრისგან დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებდა და როგორც კი შანსი ეძლეოდათ, მაშინვე „ზრუნავდნენ“ სისტემის გაფართოებაზე. რასეტი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია თანამედროვე საერთაშორისო სისტემის შესახებ აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა ანტიკური საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების მაგალითებზე დაყრდნობით, თუმცა ეს გვეხმარება დემოკრატიის უკეთ გააზრებაში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები გაცილებით რთული და კომპლექსურია. ერთი რამ ცხადია, რომ მაშინაც და ახლაც დემოკრატიების უმრავლესობა იმპერიალიზმს არ ემხრობიან, თუმცა, დროდადრო, ზოგიერთი მათგანი ამ მიმართულებით მაინც იხრება. აქედან გამომდინარეობს შემდეგი მნიშვნელოვანი კითხვები: ექსპანსიონისტური დემოკრატიები ექსპანსიონისტურები არიან, რადგან დემოკრატიის განსაკუთრებული ფორმა უბიძგებს მათ ამისკენ, თუ ექსპანსიონიზმი უწყობს ხელს განსაკუთრებული ტიპის დემოკრატიაზე? ან იქნებ უბრალოდ ყველა ზე-სახელმწიფო ექსპანსიონისტურია მათი ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში? ეს და სხვა კითხვები კი დმთ-ს მომავალი კვლევის დღისწერიცაა (იქვე, 16-20).

4. დმთ კრიტიკა

გამოიყოფა დემოკრატიული მშვიდობის თეორიის კრიტიკის ოთხი ძირითადი მიმართულება. პირველი არგუმენტის მიხედვით, დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ემპირიული მტკიცების გაქარწყლების მცდელობა საკმარისი მონაცემების შეგროვების გზით წარიმართა, თუმცა აღნიშნული კრიტიკა საფუძველს მოკლებულია, რადგან 1990-იანი წლების ბოლოს დებატები დემოკრატიული მშვიდობის თეორიის აპოლოგეტების გამარჯვებით დასრულდა, რადგან საკმარისი არგუმენტების მოძიების პროცესი კრიტიკოსების მხრიდან ჩიხში შევიდა. მეორე მიმართულება უკავშირდება თეორიის განმარტებითი მიდგომების მიზეზ-შედეგობრიობის კრიტიკას. მესამე ტიპის კრიტიკა ნორმატიული ხასიათისაა და მიმართულია იმ პოლიტიკურ შედეგებზე, რომლებიც დემოკრატიულ მშვიდობას მოჰყვება. მეოთხე ჯგუფს განკუთვნილი კრიტიკოსები კი მიიჩნევენ, რომ არსებობს მშვიდობის ფენომენის უკეთესი ალტერნატიული ამხსნელი მიდგომები (Mello 2014).

მიზეზ-შედეგობრიობის არგუმენტით კრიტიკისას მეცნიერები გამოყოფენ სამ ძირითად არგუმენტს: კრიტიკის პირველი მიმართულების მიხედვით, დამკვიდრებული განსხვავება მშვიდობის დიადურ და მონადურ გაგებებს შორის არ არის მართებული. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული მშვიდობა დიდწილად დიადურ არგუმენტებს ეყრდნობა, თითქმის ყველა დამკვიდრებულ თეორიას მონადური არგუმენტი უდევს საფუძვლად, რაც გულისხმობს დემოკრატიების ზოგად მშვიდობისმოყვარეობას. მეორე, მშვიდობისა და ომისკენ მიდრეკილების ახსნა და, ზოგადად, კონფლიქტური ტენდენციების განსაზღვრება უკვე არსებული თეორიებითაც არის შესაძლებელი და დმთ ზედმეტ თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს. მაგალითად, ლიბერალურ

ნორმებს თანაბრად შეუძლია გამოიწვიოს სამხედრო ინტერვენცია არადემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ და გაამყაროს მშვიდობა ლიბერალურ დემოკრატიებს შორის, შესაბამისად, ლიბერალური ნორმა არ არის კარგი ამხსნელი და მშვიდობის მიზეზი სხვა ფაქტორებში უნდა ვეძებოთ. ხშირად დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მომხრეები ინსტიტუციური არგუმენტის გამოყენების დროს საზოგადოების ომისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას უსვამენ ხაზს, თუმცა ფაქტია, რომ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა შესაძლებელია სხვადასხვახერხით, მათ შორის მცდარი ინფორმაციის მიწოდებით, რასაც საბოლოოდ ფართო მასებში ომისადმი კეთილგანწყობის წარმოქმნა შეუძლია, თუნდაც დემოკრატიის წინააღმდეგ. მესამე არგუმენტის მიხედვით, გარე ფაქტორები უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს ლიბერალურ დემოკრატიად ჩამოყალიბებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გეოპოლიტიკურად კონფლიქტურ ზონაში მდებარეობს და არსებობს მუდმივი თავდასხმის საფრთხე, რთულია დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაზე ზრუნვა. შედეგად, ასეთი ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუციები ავტოკრატიისკენ უფრო იხრება ხოლმე.

მკვლევარები გამოყოფენ ნორმატიული კრიტიკის ორ მიმართულებას. პირველი, დემოკრატიული მშვიდობის თეორიით მართლდება დემოკრატიზაციის პოლიტიკა შეიარაღებული კონფლიქტების მეშვეობით. ამის ნათელი მაგალითია დასავლური, ინდუსტრიული სახელმწიფოების მხრიდან განხორციელებული ინტერვენციები და მშვიდობის დამყარების სურვილით „შეფუთული ძალადობა“. მეორე, კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორია მართებული შეიძლება იყოს მხოლოდ დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიებში. კრიტიკის ბოლო არგუმენტი უკავშირდება რეალიზმის სკოლას, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო ურთიერთობები განისაზღვრება სისტემაში არსებული მატერიალური ძალით, რაც განსაზღვრავს ომისა და მშვიდობის ფენომენს. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ამას არ ეთანხმებიან დომ-ს მომხრეები, რადგან მიიჩნევენ, რომ მშვიდობა მომდინარეობს საშინაო პოლიტიკური ინსტიტუციებიდან. ასევე საფუძვლიანი კრიტიკა აქვთ ლიბერალური სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც ხაზს უსვამენ კაპიტალიზმის ფაქტორს. მათი შეხედულებით, მშვიდობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი კაპიტალისტური განვითარებაა: ეკონომიკური ურთიერთკავშირი, ფინანსური ინტეგრაცია, ვაჭრობა და სხვა (Mello 2014, 3-4).

ლიბერალური მშვიდობის თანამედროვე მკვლევარი, ალან დაფო (2011), აანალიზებს დიადური დემოკრატიული მშვიდობის კრიტიკის მიმართულებებს. განხილული კრიტიკის პირველი ნაწილი უკავშირდება დაშვებას, რომ თეორია დროთა განმავლობაში უფრო და უფრო შერეული ხდება და სხვადასხვა თეორიების ჰიბრიდს წარმოადგენს. და მეორე, კითხვის ნიშნის ქვეშაა მონაცემთა მიუკერძოებლობა და, შესაბამისად, შედეგების სტატისტიკური მნიშვნელობა. თეორიის ჩამოყალიბების პირველივე ეტაპებზე მკვლევარები ცდილობდნენ არსებული ცვლადების კონტროლს. გამომდინარე იქიდან, რომ დემოკრატიული მშვიდობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები შეიძლება, იყოს ისეთი ცვლადები, როგორებიცაა დემოკრატიული სიახლოვე და დისტანცია, ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა, ძალთა ბალანსი, ალიანსები და პოლიტიკური სტაბილურობა, გამორიცხული არაა, რომ თეორიის კლასიკური გაგება უბრალო ფიქცია იყოს. საკითხის აქტუალობა განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როდესაც განიხილება ცივი ომის ფაქტორი, საერთაშორისო არენაზე არსებული ალიანსების სტრუქტურა და სხვა საერთო საგარეო ინტერესები და პრინციპები (იქვე, 248). მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და ამ მიმართულებით საერთო ინტერესები განაპირობებს მშვიდობიან ურთიერთობებს და, შესაბამისად, კორელაციაშია დემოკრატიულ მშვიდობასთან. ბუნებრივია, ეკონომიკურმა ფაქტორმა მთლიანად ვერ გააბათილა თეორიის კლასიკური

გაგება, თუმცა ფაქტია, რომ კვლევებმა ამ მიმართულებით ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას სამხედრო კონფლიქტების დინამიკაში. კრიტიკის მეორე მიმართულება უკავშირდება ჩვეულებისამებრ გამოყენებადი დამოუკიდებელი სტატისტიკური ტესტების ემპირიული კანონზომიერების სტატისტიკურ მნიშვნელობას. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული წლისთვის კონფლიქტური ქმედება იყოს დამოუკიდებლად გაზომილი, სხვაგვარად გართულება დემოკრატიისა და მშვიდობის კორელაციურ ჰიპოთეზაზე დაყრდნობა. მკვლევართა ნაწილის კრიტიკა უკავშირდება ურთიერთდამოკიდებულების დროებით ფენომენს და ხაზს უსვამს იმას, რომ მსგავსი მიმართულებით სტატისტიკური შედეგების ანალიზი ნაკლებად ხდება. საბოლოოდ, დემოკრატიული მშვიდობის თანამედროვე კრიტიკა ორი მიმართულებით შეიძლება, იქნას გაგებული: შერევის საშიშროება და პრობლემები მიუკერძოებელ დაკვირვებასთან დაკავშირებით (იქვე, 249-250).

5. თანამედროვე შეხედულებები:

5.1 სამოქალაქო საზოგადოება

ჰ. ჰეგრე, მ. ბერნჰარდი და ჯ. ტეორელი (2020) უკვე არსებულ ორ ძირითად არგუმენტს - ელექტორალური ანგარიშვალდებულება და ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება, რომლებიც ხსნიან, თუ რატომ არ მომბენ ერთმანეთში დემოკრატიული დიადები, ამატებენ ახალ განზომილებას - სოციალურ ანგარიშვალდებულებას. როგორც აღმოჩნდა, ეს უკანასკნელი დემოკრატიებს შორის სამხედრო კონფლიქტის პრევენციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. როდესაც ავტორები ანგარიშვალდებულებაზე საუბრობენ, საჭიროა, სწორად იყოს გააზრებული ამ სიტყვის მნიშვნელობა დემოკრატიული მშვიდობის უზრუნველყოფის კონტექსტში. პირველ რიგში, აქ იგულისხმება უნარი, რომ პოლიტიკურ ლიდერებს დაეკისროთ საზოგადოების ინფორმირების ვალდებულება მათი აქტივობების შესახებ და მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს ის სურათი, რომელიც შეიძლება, საზოგადოებისთვის არასასურველ ქმედებას მოჰყვეს. თუ დემოკრატიულ სახელმწიფოში საარჩევნო ანგარიშვალდებულების გარდა სხვა მექანიზმი და პასუხისმგებლობის სხვა ტიპი არ არსებობს, ამან შესაძლოა, გამოიწვიოს საკმაოდ მძიმე მდგომარეობა, რადგან დიდია შანსი, რომ მთავრობამ თვითნებური და მოსახლეობის ინტერესებისგან დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საარჩევნო ციკლებს შორის არსებობდეს ინსტრუმენტი, რითიც შესაძლებელი გახდება პოლიტიკური ლიდერების მხრიდან პასუხისმგებლობის შენარჩუნება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს არ გამოირიცხავს საარჩევნო ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას და მას ყველაზე დიდი ეფექტი მაშინ აქვს, როდესაც მასზე დამატებითი მექანიზმები ზემოქმედებენ. ამრიგად, შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი მექანიზმი, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობენ ხელს დემოკრატიულ მშვიდობას.

ელექტორალური პასუხისმგებლობა. კანტის აზრით, დემოკრატიულ სახელმწიფოებში საზოგადოება კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ ომში ჩაბმას გადაწყვეტს, რადგან ეს ავტომატურად გულისხმობს სამხედრო კონფლიქტის ყველა უბედურების სკუთარ თავზე აღებას. ამიტომ მაღალი ელექტორალური პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს პოლიტიკური ელიტის მიერ მოქალაქეების განცდებზე რეაგირებას. ბუნებრივია, რომ ნებისმიერი მთავრობა, რომელიც არ ითვალისწინებს ამომრჩევლის ინტერესებს და წარუმატებელ საერთაშორისო პოლიტიკას ატარებს, დიდი ალბათობით, შემდგომ არჩევნებზე ხმათა გაცილებით ნაკლებ რაოდენობას მიიღებს. ამიტომ, ბუნებრივია, პოლიტიკურ ელიტას უწევს ამომრჩევლის აზრისა და

ინტერესებისადმი პასუხისმგებლობის გამოჩენა. ასეთი ქმედება პოლიტიკური მანდატის უფრო დიდხანს შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა (იქვე, 33-35).

ჰორიზონტალური პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის ამ ტიპში იგულისხმება ის სახელმწიფო უწყებები, რომლებსაც იურიდიული უფლებამოსილება გააჩნიათ, რომ აღკვეთონ სხვა სახელმწიფო აქტორების ყოველგვარი უკანონო ქმედება ან პირიქით - უმოქმედობა. მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების დონე ერთმანეთის მიმართ იმდენად მაღალი იყოს, რომ კონსტიტუციური ვალდებულებების ფარგლებში მათ მოახერხონ ერთმანეთის ქმედების კონტროლი. რეალურად, როდესაც სამხედრო კონფლიქტზე საუბარი, ყველაზე მეტი კონტროლი და შეზღუდვა აღმასრულებელ ორგანოს სჭირდება, რაზეც პასუხისმგებელნი არიან საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები. მერკელი (2004, 41) წერს, რომ ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულების ინსტიტუციონალიზაცია ავსებს დემოკრატიულ სისტემაში არსებულ ხარვეზებს ამ ტიპის კონტროლის მექანიზმის გაძლიერებით. განსხვავებით ვერტიკალური ანგარიშვალდებულებისგან, რომელიც მთავრობას პერიოდულად აკონტროლებს, ძირითადად, არჩევნების, რეფერენდუმისა და სხვა „მსუბუქი“ ზეწოლის მექანიზმებით, ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება ეხება ძალის სტრუქტურას. ამ შემთხვევაში მთავრობის ქმედებები კონტროლდება ერთმანეთზე დამოკიდებული და ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებელი საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ. ხაზგასასმელია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არ გულისხმობს სამივე ორგანოს თვითნებურად მუშაობას, არამედ თითოეული მათგანი ფუნქციონირებს ე. წ. „კონტროლისა და ბალანსის“ (Checks and Balances) მექანიზმების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კონსტიტუციურად დადგენილი საზღვრების გადაკვეთის გარეშე ხელისუფლების სხვადასხვა შტოების დომინირების თავიდან არიდებას და ერთმანეთის პერმანენტულ კონტროლს (Hegre et al. 2020, 36)

სოციალური პასუხისმგებლობა. სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ უამრავი იწერება 1980-იანი წლების შემდეგ, რაც ხაზს უსვამს მისი როლის ზრდას მრავალი მიმართულებით. იგი განიხილება, როგორც ინსტიტუციური აგენტი, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოში ქმნის ნდობასა და სოციალურ კაპიტალს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მექანიზმს დემოკრატიული მშვიდობის თეორიაში ხშირად ვერ შევხვდებით, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ საზოგადოება საარჩევნო პერიოდის მიღმაც მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში სამოქალაქო ორგანიზაციების მეშვეობით. გასულ საუკუნეებში სამოქალაქო საზოგადოების როლი ხშირად მხოლოდ შეზღუდვების დაწესება და პოლიტიკური რეჟიმების შეცვლა იყო, თუმცა თანამედროვეობაში მას აკისრია მოქალაქეების პოლიტიკურ ელიტასთან დაკავშირების და პოლიტიკურ სისტემაში საერთო მოთხოვნების არტიკულირების როლი. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ემსახურება დემოკრატიული ფასეულობების გამყარებას, რადგან პოლიტიკური ლიდერები მეტი ყურადღებით ეკიდებიან საკუთარ ქმედებებს არასაარჩევნო პერიოდშიც. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია საერთაშორისო კრიზისის პრევენცია, რადგან მათი ზეწოლის მეშვეობით პოლიტიკური ელიტების განზრახვა გამჭვირვალეა, რაც უზრუნველყოფს გაუგებრობის თავიდან აცილებას. სამოქალაქო საზოგადოების ზეწოლის ბერკეტები რამდენიმე მიმართულებით შეიძლება, იქნას განხილული: 1. სამოქალაქო საზოგადოების „ფეთქებადი“ ხასიათი ხშირად ვლინდება სამოქალაქო პროტესტში, რაც პოლიტიკურ ლიდერებს უბიძგებს გაატარონ ის პოლიტიკა, რაც მოსახლეობას აწუხებს (გვ. 37); 2. მოსახლეობაში დაბნეულობასა და გაურკვევლობის თავიდან აცილების

მიზნით, სამოქალაქო ორგანიზაციები პერმანენტულ მონიტორინგს აწარმოებენ სახელისუფლებო აქტორებზე და ამრიგად, საზოგადოების ინფორმირებას უზრუნველყოფენ. საკუთარი წყაროების ან მასმედიის მეშვეობით აქვეყნებენ ელიტების ოფიციალურ სამოქმედო პოლიტიკურ გეგმებს, ეწინააღმდეგებიან იმ შესაძლო შედეგს, რომელიც შეიძლება, დადგეს და ა. შ.; 3. სამოქალაქო საზოგადოება ერთვება ბიუროკრატიის საქმიანობაში სასურველი შედეგის მისაღებად ან შესანარჩუნებლად. ჰორიზონტალური პასუხისმგებლობის გაძლიერებით ბიუროკრატია უკეთ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რადგან სამოქალაქო საზოგადოება პირდაპირ ერთვება სახელისუფლებო საქმიანობაში (გვ. 38).

მექანიზმი	მიზან-შედეგობრივი კავშირი
საარჩევნო ანგარიშვალდებულება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის მეშვეობით.	აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევა სრულფასოვანი, მრავალპარტიული და საყოველთაო არჩევნებით □ მთავრობის მგრძნობელობა პოპულარული პრეფერენციებისადმი, ელექტორატში დანაკარგის თავიდან არიდების მიზნით.
ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება დაბალანსებული ძალაუფლების მეშვეობით.	სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების შემლუდვები აღმასრულებელ ხელისუფლებაზე □ აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებური ქმედებების შემლუდვა.
სოციალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო აქტივიზმის მეშვეობით.	სამოქალაქო ორგანიზაციების აქტივიზმი (ადვოკატირება, პროტესტი, მონიტორინგი) □ მთავრობის მგრძნობელობა პოპულარული პრეფერენციებისადმი, ელექტორატში დანაკარგის თავიდან არიდების მიზნით.

გრაფა 1: დემოკრატიული ანგარიშვალდებულების მექანიზმები, როგორც დემოკრატიული მშვიდობის შესაძლო ამხსნელები. ავტორის კონსტრუქცია. Hegre, et al., 2020, 39.

5.2 საზოგადოებრივი აზრი

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორია ათწლეულებს ითვლის და საკმაოდ არგუმენტირებული შეხედულებაა დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ინტერაქციის შესახებ, ნაკლებადაა შესწავლილი საზოგადოების როლი მშვიდობის შენარჩუნებასთან მიმართებით. მაიკლ რ. ტომზი და ჯესიკა ლ. პ. უიქსი (2013) აღწერენ მათ მიერ ჩატარებულ ცდას დემოკრატიული მშვიდობის მიმართ დამოკიდებულების დასადგენად. ცდა წარიმართა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პრინციპით და მასში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკელი და ბრიტანელი მოქალაქეები. ექსპერიმენტის ორგანიზატორები მონაწილეებს პოტენციური მშვიდობის ოთხი განსხვავებული წყაროს შესახებ შემთხვევითი გადანაწილების პრინციპით უსვამდნენ კითხვებს: პოლიტიკური რეჟიმი, ალიანსის სტატუსი, ეკონომიკური კავშირები, მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობები. საინტერესოა, რომ კითხვაზე, დაუჭერდნენ თუ არა მხარს ბირთვულ ობიექტებზე პრევენციულ სამხედრო იერიშს, მონაწილეთა უმრავლესობა თავდასხმისგან თავის შეკავებას ამჯობინებდა, როდესაც პოტენციური მოწინააღმდეგე დემოკრატიული სახელმწიფო იყო. მეტიც, ვინაიდან ექსპერიმენტატორები ვარაუდობდნენ, რომ ცდის პირები შესაძლოა, გარკვეულწილად მიკერძოებულნი ყოფილიყვნენ, მათ გადაწყვიტეს მოწინააღმდეგის რეჟიმის ტიპით შემთხვევითი წესით მანიპულირება,

რის შედეგადაც დადგინდა, რომ დემოკრატიების მიმართ მეტი ნდობა მიზეზ-შედეგობრივი იყო და არა შემთხვევითი. ეს კი თავის მხრივ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უბრალო ამომრჩევლები მიდრეკილნი არიან, დაუჭირონ მხარი მშვიდობას დემოკრატიებს შორის. კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა ის მიზეზებიც, თუ რატომ არ სურთ დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეებს სხვა პოლიტიკური რეჟიმის მქონე სახელმწიფოზე იერიშის მიტანა. პირველ რიგში, მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ნაკლებ ხიფათს წარმოადგენს. ამასთან, მნიშვნელოვანია მორალური ფაქტორიც, რადგან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ზარალდებიან სხვა ქვეყნის მსგავსი დემოკრატიული კანონებით მოხელმძღვანელები სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქეები. მოქალაქეები, რომლებსაც ცდის პირობებში დემოკრატიული სახელმწიფოების შესახებ უწევდათ კითხვებზე პასუხის გაცემა, გაცილებით თამამად საუბრობდნენ ასეთი სახელმწიფოს ბირთვულ პროგრამაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოებში მცხოვრები საზოგადოებების მსგავსი სოციალური და პოლიტიკური წარმოდგენები და აღქმები მშვიდობის შენარჩუნების მორიგი მექანიზმია (იქვე, 849-850).

მოქალაქეების აზრს, ხშირად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როდესაც დემოკრატიულ სახელმწიფოში მთავრობას უწევს გადაწყვეტილების მიღება ომსა და მშვიდობას შორის. რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს, თუ რატომ ითვალისწინებს პოლიტიკური ელიტა მოსახლეობის, ამომრჩევლის აზრს. პირველ რიგში, არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დიდი შანსია, რომ პოლიტიკურმა ელიტამ ხმათა საგრძნობი რაოდენობა დაკარგოს არჩევნებზე, ან სულაც აღარ იყოს არჩეული. ხშირად საგარეო პოლიტიკური კურსი გადამწყვეტ როლს ასრულებს საარჩევნო კამპანიების დროს და პოლიტიკურმა ლიდერებმა იციან, რომ ამ მიმართულებით დაშვებულ შეცდომას, შესაბამისი შედეგი მოჰყვება. მეორე, დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური ლიდერები ხშირად აწყდებიან ინსტიტუციურ შეზღუდვებს ძალის გამოყენების კუთხით. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ომის წამოსაწყებად საჭიროა საკანონმდებლო ნებაართვა. ეს კი რთულად წარმოსადგენი რამაა საზოგადოებრივი ოპოზიციის პირობებში. მესამე, ყველა პოლიტიკურ ლიდერს გათვითცნობიერებული აქვს, რომ მაღალი რეიტინგის შენარჩუნებით გაცილებით მეტის მიღწევას შეძლებს მანდატის დასრულებამდე. მაგალითისთვის, ცნობილია, რომ აშშ-ში პოპულარულ პრეზიდენტს მეტი გავლენა აქვს კონგრესზე.

ავტორები გამოყოფენ სამ ძირითად მიმართულებას და მიკრო-დონის შედეგებს, რათა გააანალიზონ ინდივიდების ნეგატიური დამოკიდებულება ძალის გამოყენების მიმართ.

- საფრთხის აღქმა;
- თავშეკავება (ომის ფასი და წარმატების ალბათობა);
- მორალი (იქვე, 851).

საფრთხის აღქმა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, როდესაც ომსა და მშვიდობას შორის უნდა გაკეთდეს არჩევანი. კვლევების თანახმად, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთისგან ნაკლებ საფრთხეს ხედავენ, ვიდრე ავტოკრატიული რეჟიმებისგან, ანუ ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე დემოკრატიულ სახელმწიფოს მოუხდეს სამხედრო იერიშის მიტანა სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოზე. ვინაიდან ასეთი ქვეყნების შიდაპოლიტიკაში არსებული პრობლემები, ჩვეულებრივ, მშვიდობიანი გზებით წყდება, საზოგადოებას ბუნებრივი სურვილი უჩნდება, რომ საერთაშორისო დონეზეც მსგავსი, არაძალადობრივი ნაბიჯები გადაიდგას. როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოები დგანან გადაწყვეტილების წინაშე იომონ, თუ თავი შეიკავონ,

ხშირად ამ უკანასკნელს ამჯობინებენ, რადგან მკაფიოდ ვერ საზღვრავენ, თუ რამხელა ზარალი შეიძლება, გამოიწვიოს ომმა და როგორია მასში წარმატების მიღწევის ალბათობა. და ბოლოს, დემოკრატიულმა ქვეყნებმა შესაძლოა, არ იომონ, რადგან სამხედრო ძალის გამოყენება წარმოშობს მორალურ წინაღობას. დემოკრატიები თავს არ ესხმიან სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს მორალურად არასწორი და გაუმაართლებელია. ავტორის აზრით, რთულად წარმოსადგენია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც საშინაო და საგარეო პოლიტიკა ხალხის ნებაზეა დაფუძნებული, ვინმე მორალურ მხარეს უკუაგდება და საერთო ფასეულობებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ გამოიყენებს, თუმცა დიქტატორულ სახელმწიფოსთან დაპირისპირების შემთხვევაში, დემოკრატიულ სახელმწიფოს ნაკლები მორალური შეზღუდვა აქვს ძალის გამოსაყენებლად (იქვე, 852).

5.3 ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და რეგიონული მშვიდობა

მ. ოუენი (2012) მიიჩნევს, რომ კომერციულ-ლიბერალური თეზისი ყველაზე უკეთ ხსნის, თუ როგორ იღრმავებენ რეგიონები თანამშრომლობისა და მშვიდობის პოტენციალს. აღნიშნული თეზისი ეხება სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ კავშირებს და შესაბამისად, ასახავს მათ შორის არსებულ ურთიერთქმედებას. დაშვება გულისხმობს, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოთა ურთიერთობებს მშვიდობიანს ხდის. ავტორი ნაშრომში განიხილავს ბოლო პერიოდის ემპირიულ მონაცემებს აღნიშნულ თემასთან მიმართებით, რის შედეგადაც არკვევს, რომ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფაში გასათვალისწინებელია ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორი. უკანასკნელი წლების განმავლობაში არსებული კვლევითი პროექტების ფარგლებში, სადაც მონაცემთა გაზომვა და ანალიზი მოხდა, კიდევ უფრო მეტად გამძაფრდა მეცნიერებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა თუ გარკვეულ გარემოებაში შესაძლებელია, რომ ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ გამოიწვიოს რეგიონალური მშვიდობა, მაშინ მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემოებების იდენტიფიცირება. მრავალი სახელმწიფოს კეთილდღეობა დამოკიდებულია ეკონომიკური ურთიერთკავშირების ისეთ საშუალებებზე, როგორებიცაა საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, სესხება და გასესხება, ინვესტიციები და სხვა. ასეთ ვითარებაში რთულად წარმოსადგენია, რომელიმე სახელმწიფოსთვის მისაღები იყოს ამ კავშირების გაწყვეტა. კომერციულ-ლიბერალური მტკიცების მიხედვით, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება აღრმავებს და აძლიერებს სახელმწიფოთა კავშირს და აღნიშნული მტკიცება არამხოლოდ დიადურ ურთიერთობას ეხება, არამედ სრულიად რეგიონალურ ინტერაქციას. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპული მშვიდობა ცივი ომიდან მოყოლებული მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობებით იყო გამოწვეული. წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობდა საქონლის, კაპიტალის, შრომის და შემდეგ, ვალუტის თავისუფალი გაცვლა (იქვე, 107-109).

რა პირობით შეიძლება იყოს ურთიერთდამოკიდებულება მშვიდობასთან კორელაციაში? ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით, ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას მშვიდობის ხელშეწყობა მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებში შეუძლია. მეცნიერთა ნაწილი განასხვავებს ვაჭრობის ტიპს და მიიჩნევს, რომ ურთიერთდამოკიდებულება მაშინ არის მჭიდრო, როდესაც ნავაჭრი საქონლის ძალით მითვისება და შემდეგ მისი წარმოება შეუძლებელია. ზოგი ვარიანტს გეოგრაფიული დისტანციის მიხედვით ახდენს, ანუ რაც უფრო ახლოს მდებარეობენ სახელმწიფოები ერთმანეთთან, მით მეტია შანსი, რომ ეკონომიკურმა კავშირმა მინიმუმამდე დაიყვანოს სამხედრო კონფლიქტის შანსი. მკვლევართა ნაწილი კი მნიშვნელობას

საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებს ანიჭებს. ზოგი თვლის, რომ ურთიერთდამოკიდებულების შედეგად მშვიდობა მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც სახელმწიფოები დარწმუნებით მიიჩნევენ, რომ სტაბილური და მაღალი დონის ვაჭრობა მომავალშიც გაგრძელდება და პირიქით, როდესაც არსებობს მოლოდინი, რომ ვაჭრობის ინტენსივობა და დონე შემცირდება, ძალადობის რისკი საგრძნობლად იმატებს. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ურთიერთობებიდან გასვლის ფასს. თუ ეს ფასი ერთი სახელმწიფოსთვის აღემატება გარკვეულ ნიშნულს, არსებობს დაბალი დონის კონფლიქტის წარმოქმნის საშიშროება.

მეცნიერთა ის ნაწილი, ვინც თვლის, რომ ურთიერთდამოკიდებულებისა და მშვიდობის განხილვა განსაკუთრებულ პირობებში არის შესაძლებელი, მიდიან საერთო დასკვნამდე, რომ ურთიერთდამოკიდებულება იწვევს თანამშრომლობას და მშვიდობას, რადგან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დროს სამხედრო კონფლიქტი ან ნებისმიერი ტიპის დაშინება, თუ ძალადობა, ძალიან ძვირი უჯდება ორივე მხარეს. ამრიგად, თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში დაპყრობითი ქმედებები ურთიერთდამოკიდებულ სახელმწიფოებს შორის დამანგრეველი იქნება და კარგავს აქტუალობას, რადგან ისინი უკვე პოულობენ სარგებელს ერთმანეთისგან, გამოიმუშავენ რა ფულს კომერციული და საინვესტიციო აქტივების საშუალებით. მეტიც, მრავალი მეცნიერი თვლის, რომ ომის ინტერესი ასეთ სახელმწიფოებში ექნებათ მხოლოდ საკუთარი ინტერესების მქონე აქტივისტებს და ექსპორტის მონოპოლისტებს. ზოგადად კი, ურთიერთდამოკიდებული სახელმწიფოები არ იომებენ, რადგან ეს მათთვის სრულიად ირაციონალური ქმედება იქნება და კომერციულ საზოგადოებებს არ აქვთ არანაირი აგრესიის, ომისა თუ იმპერიალისტური ამბიციების ინტერესი (იქვე, 120-122).

გაერთიანებების თავიდან აცილებისა და შესაძლო ინტერეგეგონალური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად დიადებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაცია საკმარისი არ არის. ამისთვის საჭიროა, რომ რეგიონებიც ურთიერთდამოკიდებულნი გახდნენ, თუმცა ამის მიღწევა რეალობაში საკმაოდ რთული ამოცანაა. რა იწვევს რეგიონულ ურთიერთდამოკიდებულებას და რა მიზეზით მოუწოდებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) სახელმწიფოებს საკუთარი სავაჭრო ბარიერების შემცირებისკენ და რეგიონული სავაჭრო ხელშეკრულებების დადებისკენ (RTAs)? ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები, რეგიონული სავაჭრო ხელშეკრულებები გარიგების ხარჯების დაწევით სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს ამყარებს. სახელმწიფოებიც თავის მხრივ რეგიონულ სავაჭრო მოლაპარაკებებს უფრო მიესალმებიან, ვიდრე ბილატერალურს, ან გლობალურს. ეს შეიძლება, გაგებულ იქნას საშინაო და საერთაშორისო-სტრუქტურული ამხსნელებით (იქვე, 125).

- რეგიონული ურთიერთდამოკიდებულების საშინაო ამხსნელი გულისხმობს, რომ თავისუფალი რეგიონალური ვაჭრობით სახელმწიფოები გაცილებით უკეთ ახდენენ საკუთარი ინტერესების კონფიგურაციას და მეტ სარგებელს პოულობენ. ამავე დროს, თავისუფალი გლობალური ვაჭრობის შემთხვევაში, შესაძლო ეკონომიკური ზარალი მეტია. აქვე, ის ინდუსტრიები, რომლებიც გლობალურ დონეზე დანაკარგს განიცდიან ან არასახარბიელო პოზიციაში იმყოფებიან, შედარებით მეტია შანსი, რომ რეგიონულ დონეზე იხიერებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეგიონულ დონეზე სახელმწიფოების მცირე რაოდენობა ხელს უწყობს მათ შორის მოლაპარაკებების გამართვებასაც. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რეგიონში ურთიერთდამოკიდებულების მიღწევა ერთნაირი ინსტიტუტების მქონე

სახელმწიფოებისთვის მეტადაა შესაძლებელი. ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შესაძლოა, გამოიწვიოს ურთიერთობების ჰარმონიზაციის შემდგომი ეტაპებიც.

- მეცნიერთა მეორე ნაწილი ემხრობა საერთაშორისო-სტრუქტურულ ამხსნელს. იგულისხმება, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) ქმნის პირობებს, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკური რეგიონალიზმით მეტად მომგებიანია. ვინაიდან დროთა განმავლობაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ვითარდება და იზრდება, ლოგიკურია, რომ სახელმწიფოები კარგავენ ფარდობით გავლენას, ხოლო რეგიონული ბლოკების პირობებში, მათ უჩნდებათ სურვილი და სტიმული, რომ აღიდგინონ გავლენები. ასევე, ბევრი მეცნიერი სახელმწიფო კეთილდღეობას ძალაუფლებასთან მიმართებით სწავლობს. რეალისტების მტკიცებით, სახელმწიფოები ფარდობით მოგებას ეძებენ და არა აბსოლუტურ მოგებას. შესაბამისად, ამ მიზნების მიღწევა რეგიონებში ეკონომიკური ლიბერალიზაციით ხდება შესაძლებელი (იქვე, 126-130).

საერთაშორისო ურთიერთობების მოწინავე ლიტერატურაში ფართოდაა წარმოდგენილი ურთიერთდამოკიდებულებისა და მშვიდობის კრიტიკა. რეალისტები მუდამ მიიჩნევდნენ, რომ ურთიერთდამოკიდებულება ვერ განაპირობებს მშვიდობას და პირიქით, ხელსაყრელ პირობებში ძალადობის და ექსპლუატაციის საფუძველიც შეიძლება, გახდეს. მარქსისტების მტკიცებით, ვინაიდან ეკონომიკური ურთიერთობები კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ასიმეტრიულია, მჭიდრო სავაჭრო კავშირებმა შეიძლება, მათ შორის კონფლიქტი გამოიწვიოს (გვ.108), თუმცა ვინაიდან კომერციულ-ლიბერალური კვლევების დიდი ნაწილი რაოდენობრივ კვლევით მეთოდებს ეყრდნობა, ემპირიული მონაცემები ცხადყოფს, რომ რაც უფრო დიდია ეკონომიკური კავშირები სახელმწიფოებს შორის, მით ნაკლებია ძალადობისა და კონფლიქტის რაოდენობრივი მაჩვენებელი. პასუხი კითხვაზე, თუ მკვლევართა რომელი ნაწილია მართალი, როგორ უნდა გაიზომოს ურთიერთდამოკიდებულება და რომელი სტატისტიკური ტექნიკები თუ მექანიზმები უნდა იქნას გამოყენებული მონაცემების გასაზომად, ჯერაც არ არის ბოლომდე ცხადი (იქვე, 112).

5.4 ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკა

მ. მოსაუს (2013) დემოკრატიული მშვიდობის თეორიაში შემოაქვს ახალი ეკონომიკური ცვლადი - ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკის თეორია. ავტორისთვის დემოკრატიული მშვიდობის ასახსნელად საკმარისი არ არის ტრადიციული მიდგომების გამოყენება თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში. პოსტ-მოდერნის ეპოქაში ერთ-ერთი მთავარი წყარო არა სახელმწიფო მმართველობის ტიპი ან სტრუქტურაა, არამედ - ეკონომიკური ინსტიტუციები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დემოკრატიული მშვიდობის ახსნა. ბუნებრივია, უკვე არსებული თეორიების და კვლევების უარყოფა შეუძლებელია, შესაბამისად, ავტორი საკუთარი თეორიის ანალიზის პირობებში ინარჩუნებს დემოკრატიული მშვიდობის კორელაციას და ამავე დროს მკითხველს სთავაზობს 4 გზას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია, აიხსნას ეკონომიკის ზეგავლენა დემოკრატიულ მშვიდობაზე. პირველ რიგში, დემოკრატიული მშვიდობის გაზომვა ხდება ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკის მეშვეობით. მეორე, დემოკრატიული მშვიდობის კლასიკური ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოკვლეულ იქნა ყველა ტიპის სამხედრო კონფლიქტი, არა მხოლოდ ფატალური შედეგების მქონე ომები, 1961 წლიდან 2001 წლამდე. მესამე, მნიშვნელოვანია ტექსტში დემოკრატია და ავტოკრატია შორის არსებული განსხვავებების კონტროლი, რათა დადგენილიყო, თუ რამდენადაა შესაძლებელი

რასეტიესული დემოკრატიული მშვიდობის არსებობა. და მეოთხე, ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკის გავლენა დემოკრატიულ მშვიდობაზე განხილულ იქნა სხვა თანამედროვე დემოკრატიული მშვიდობის ამხსნელ ეკონომიკურ ცვლადებთან ერთად (იქვე, 186-187).

ისტორიის მანძილზე სახელმწიფოთა შორის არსებობს ორი ტიპის ეკონომიკური ინტერაქცია: არაპიროვნული და პიროვნული. არაპიროვნული ეკონომიკა განიხილება როგორც ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკა, რადგან იგი დაფუძნებულია სახელშეკრულებო ვალდებულებებზე და მეტწილად დამოკიდებულია ვაჭრობაში ირიბად მონაწილე მესამე მხარეზე, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულებების აღსრულებას. პიროვნულ ეკონომიკებს კი ხელშეკრულების სისუსტე ახასიათებთ, რადგან იგი პიროვნულ ურთიერთობებს ეფუძნება. ამ შემთხვევაში ადამიანები სახელშეკრულებო ვალდებულებებს ურთიერთნდობაზე ამყარებენ. ასეთი ტიპის ეკონომიკური ინტერაქცია ისტორიის მანძილზე ძალიან ხშირი იყო და დღესაც არსებობს მრავალ სახელმწიფოში. ფეოდალურ ევროპაში ეკონომიკური კონტრაქტის დადების დროს თითქმის არასდროს ხდებოდა მესამე პირის მონაწილეობა, რადგან მთელი პროცესი ემყარებოდა პიროვნული კავშირების არსებობას ან უბრალო ნდობას უცხო ადამიანის მიმართ (იქვე, 187).

ნებისმიერი ეკონომიკური თეორია ნებისმიერ საზოგადოებაში აგებულია საქონლისა და მომსახურების გაცვლაზე. ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკის ძირითადი არსი და სტრატეგია ბაზარზე უცხო ადამიანებთან კონტრაქტის გაფორმებაა. სუსტი-ხელშეკრულებითი ეკონომიკა კი პიროვნულ ურთიერთობამდე დადის, რაც ხაზს უსვამს ინდივიდუალურ ინტერესებს, პრეფერენციებს და ხედვას. შესაბამისად, იმისათვის, რომ ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკისთვის არსებობდეს სივრცე, საჭიროა, რომ ქვეყანა იყოს ძლიერი. ადამიანები ეკონომიკურ ვალდებულებებს ვერ ანდობენ უცხო პიროვნებებს, შესაბამისად, ზემოთხსენებული ეკონომიკური სისტემა იარსებებს იქ, სადაც არსებობს ნდობის მაღალი ფაქტორი. ნახსენები მესამე პირი ასეთ სისტემაში შესაძლოა, იყოს კერძო სერვისის გამცემი (მაგ. ნოტარიუსი), ან საზოგადო (მთავრობა). უფლებამოსილი მესამე პირი უნდა მოქმედებდეს ძლიერი ბიუროკრატიისა და სასამართლო სისტემის ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტის აღსრულებას და დაიცავს თითოეულ აქტორს ბაზარზე. ამგვით ხდება შესაძლებელი არაპიროვნული ეკონომიკური ინტერაქციის შედეგად მეტი სარგებლის მიღება, ვიდრე პიროვნული ეკონომიკის კერძო ხელშეკრულებების დროს. გარდა ამისა, ხელშეკრულება-ინტენსიურ ეკონომიკაში ჩართულ აქტორებს აქვთ მეტი თავისუფლების ინტერესი არამხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ სხვა აქტორებისთვისაც. რადგან, რაც მეტი აქტორი იქნება ჩართული ვაჭრობაში, მით მეტად იზრდება ბაზარზე არსებული შესაძლებლობები. ეს კი თავის მხრივ ზრდის თანასწორობას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში, რელიგიურ გაერთიანებებში, ეროვნული მიკუთვნებისადმი და ა.შ. აქედან გამომდინარე, საზოგადოებას აქვს სურვილი, რომ დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი მოსახლეობის უფლებები, არამედ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეების უფლებებიც. ეკონომიკური მიზეზის გამო ომები საერთაშორისო სისტემაში შეიძლება, ორი მიზეზის გამო არსებობდეს:

- პირველი - პოლიტიკური ელიტის მიერ შიდა ჯგუფების რეპრესია. ამის ნათელი მაგალითია ერაყისა და ირანის ომი 1980-იან წლებში, როდესაც ასობით ათასი სხვადასხვა მიკუთვნებულობის ადამიანი შეეწირა კერძო ინტერესებს. ეკონომიკური ინტერესების შემდეგ (ამ შემთხვევაში ნავთობი), ეს ინტერესი მმართველი კოალიციისთვის იყო სამთავრობო ადგილების შენარჩუნება მმართველი ტომებისთვის და კლანებისთვის.

- მეორე - პოლიტიკური ლიდერების ძალაუფლების შენარჩუნების მოტივი. ძირითადად ხდება სუსტი ხელშეკრულებითი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც ხალხი გაცილებით მეტი ლოიალობით გამოირჩევა საკუთარი ჯგუფების მიმართ, შესაბამისად ლეგიტიმურობის დეფიციტი განაპირობებს ნაკლებ სტაბილურობას (იქვე, 188-190).

ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკის პირობებში ბაზარზე ერთი აქტორის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოჰყვება დანარჩენი აქტორების მდგომარეობის გაუმჯობესება. შესაბამისად, არსებობს საზოგადოებრივი სიკეთისა და ბაზრის ზრდის საერთო ნება. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკა ყველაზე მეტად დემოკრატიული სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი, გასაგები ხდება, თუ რატომ არ ომობენ ისინი ერთმანეთში და ეძებენ ალტერნატიულ გამოსავალს ნებისმიერი სახის კონფლიქტის გადასაწყვეტად. ვინაიდან ნებისმიერი კონფლიქტი აფერხებს ბაზრის ზრდას, ყველა დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც უკავშირდება ბაზარს, ცდილობს, რომ კონფლიქტი სწრაფად და ნაკლებ მტკივნეულად დასრულდეს. დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ომის ფასი გაცილებით აღემატება მშვიდობის შენარჩუნების ფასს. იმავეს ვერ ვიტყვით სუსტ-ხელშეკრულებით სახელმწიფოებზე, რადგან მათი სისტემა მორგებულია მხოლოდ საკუთარი ბაზრის გამდიდრებაზე, რაც არც ისე წარმატებით გამოსდით. გარდა ამისა, ვინაიდან დემოკრატიული სახელმწიფოების ინტერესები ხშირად იკვეთება საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით, ხელშეკრულება-ინტენსიური ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები ამ მიმართულებითაც იზიარებენ მსგავს კურსს მსოფლიო ბაზარზე. იმისთვის, რათა მსოფლიო ბაზარზე სახელშეკრულებო ვალდებულებებმა გამართულად იფუნქციონირონ და აქტორებს შორის ნდობის ფაქტორი სტაბილურად მაღალი იყოს, მნიშვნელოვანია წესრიგისა და კანონის უზენაესობის დაცვა და პატივისცემა (იქვე, 189).

6. დემოკრატიული მონაცემების ჭრილში

ბრიუს რასეტი (1993) ცნობილ ნაშრომში “Grasping the Democratic Peace” წარმოადგენს გრაფიკს, სადაც დეტელურადაა აღწერილი მტრულად განწყობის დონეები და პოლიტიკური სისტემის ტიპები, რომელიც სახელმწიფოთაშორისი სამხედრო დავების (MID) კვლევების საფუძველზეა მიღებული 1946-1987 წლებში. ფრაზაში „პოლიტიკურად რელევანტური დიადები“ იგულისხმება მომიჯნავე ან ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდებარე სახელმწიფოთა წყვილები, სადაც ერთ-ერთ მათგანს მაინც აქვს ძალის უპირატესობა. გრაფიკი 2.1-ის მიხედვით, დემოკრატიებს ერთმანეთში არ უომიათ. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული დიადების რიცხვი საგრძნობლად მცირეა, მათაც იმ სიხშირით რომ ეომათ, როგორც ეს მეორე სვეტშია წარმოდგენილი, ომების ჯამური რაოდენობა დემოკრატიებს შორის საგრძნობლად ნაკლები იქნებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული პერიოდის განმავლობაში მხოლოდ თოთხმეტი შემთხვევა იყო, როდესაც დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის სამხედრო კონფლიქტის საფრთხე არსებობდა, იყო ძალის დემონსტრაციის ან ძალის გამოყენების საშიშროება. შესაბამისად, იმის ალბათობა, რომ პოლიტიკურად რელევანტური დემოკრატიული სახელმწიფოების წყვილებს შორის რაიმე სახის სამხედრო დავას ექნებოდა ადგილი ამ პერიოდის მანძილზე იყო $1/276$ ($3,864 \div 14$). არადემოკრატიული სახელმწიფოების შემთხვევაში კი ალბათობა შეადგენდა $1/36$, რაც თითქმის 8 ჯერ მეტია (იქვე, 20-22).

დავის უმაღლესი დონე	ორივე სახელმწიფო დემოკრატიულია	ერთი ან ორივე არადემოკრატიულია	დიადების საერთო რაოდენობა
დავის გარეშე	3,864	24,503	28,367
საფრთხე	2	39	41
ძალის დემონსტრაცია	4	116	120
ძალის გამოყენება	8	513	521
ომი	0	32	32
სულ	3,878	25,203	29,081

გრაფა 2.1: პოლიტიკურად რელევანტური სახელმწიფოთაშორის დიადების დავებთან დაკავშირებული ქცევა, 1946-1986. ავტორის კონსტრუქცია. წყარო: Russett, et al., 1993, 21

გრაფა 2.2 აჩვენებს, თუ რა სიხშირით აქვთ დემოკრატიებს დავა სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოებთან. ამის ჩვენება შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ტიპის ფაქტორივი დავების სიხშირის შედარებით მოსალოდნელ სიხშირესთან, იმ შემთხვევაში, თუ დავები გადანაწილდება დიადების რაოდენობასთან შესაბამისად თითოეულ გრაფაში.

		დემოკ. - დემოკ.	დემოკ. - ანოკრატ.	დემოკ. - ავტოკრატ.	ანოკრატ. - ანოკრატ.	ანოკრატ. - ავტოკრატ.	ავტოკრატ. - ავტოკრატ.
საფრთხეები	ფაქტობრივად	2	3	4	7	8	17
	მოსალოდნელი	5.6	6.9	11.4	1.7	7.5	7.9
ძალის დემონსტრაცია	ფაქტობრივად	4	27	38	6	24	21
	მოსალოდნელი	12.5	23.1	34.9	4.0	21.8	23.7
ძალის გამოყენება	ფაქტობრივად	8	90	138	47	151	87
	მოსალოდნელი	23.3	85.9	129.3	49.0	135.7	97.9
ომი	ფაქტობრივად	0	5	14	0	7	6
	მოსალოდნელი	4.3	5.5	8.9	1.3	5.9	6.1
სულ	ფაქტობრივად	14	125	194	60	190	131
	მოსალოდნელი	45.7	121.4	184.5	56	170.9	135.6

გრაფა 2.2: დავების მოსალოდნელი და ფაქტობრივი სიხშირეები სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურად რელევანტურ დიადებში, 1946-1986. ავტორის კონსტრუქცია. წყარო: Russett, et al., 1983, 79.

მოცემული მიგნების მიხედვით მცირე განსხვავებაა ფაქტობრივსა და მოსალოდნელ დავებს შორის არადემოკრატიულ სახელმწიფოებში (მე-4 სვეტი; გარდა პირველი მონაცემისა). ამავე დროს, რასეტი მიგნებით, რაც უფრო ნაკლებად დემოკრატიულია სახელმწიფო, რომელსაც დავა აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოსთან, მით მეტია დაძაბულობა და მაღალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტის მაჩვენებელი. საბოლოოდ, ფაქტია,

რომ საერთაშორისო ურთიერთობებში დემოკრატიები განსაკუთრებული მშვიდობისმოყვარეობით არ გამოირჩევიან. მშვიდობას მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობაში ინარჩუნებენ (იქვე, 79).

7. დასკვნა

ის ფაქტი, რომ დემოკრატიები არასოდეს ომობენ ერთმანეთში საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უდიდესი თეორიული აღმოჩენაა. მიუხედავად ამისა, მეცნიერთა დიდი რაოდენობა აგრძელებს კამათს იმის შესახებ, არის თუ არა დემოკრატია და მშვიდობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და რა მექანიზმები ხსნის ამ კავშირს. მოცემულ ტექსტში განხილულია, როგორც კლასიკური გაგების დემოკრატიული მშვიდობის აპოლოგეტებისა და კრიტიკოსების შეხედულებები, ასევე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა. დემოკრატიული მშვიდობის თეორიის თანამედროვე კვლევებში კიდევ უფრო გამყარდა და გამოიკვეთა საშინაო ფაქტორების გავლენა დიადურ მშვიდობაზე. სამოქალაქო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა, მოქალაქეების მორალური ფასეულობები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები დიდ როლს ასრულებენ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის არსებულ მშვიდობაზე. არ შეიძლება, უყურადღებოდ დარჩეს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, რომლის როლიც სახელმწიფოებს შორის მშვიდობის შენარჩუნებაში დროთა განმავლობაში მხოლოდ იზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Dafoe, Allan. Statistical Critiques of the Democratic Peace: Caveat Emptor. *American Journal of Political Science* 55, no. 2 (2011): 247–62. Accessed July 5, 2020. www.jstor.org/stable/23025049.
- Gowa, JoanneWard, M. Allies, Adversaries, and International Trade. By Joanne Gowa. Princeton: Princeton University Press, 1994. *American Political Science Review*, 89(3), 802–803. doi:10.2307/2083053
- Hegre, Håvard, Bernhard, Michael Bernhard and Teorell, Jan Teorell. Civil Society and the Democratic Peace. *Journal of Conflict Resolution* 64, no. 1 (January 2020): 32–62. doi:10.1177/0022002719850620
- Layne, Christopher. Kant or Cant: The Myth of the Democratic Peace. *International Security*, (1994). 19(2), 5–49. doi:10.2307/2539195
- Mello, Patrick A. Democratic Peace Theory. SSRN Scholarly Paper. Rochester, NY: Social Science Research Network, September 25, 2014. Accessed July 17, 2020.
- Merkel, Wolfgang. Embedded and defective democracies. *Democratization*, 11:5, 33–58, 2004 DOI: 10.1080/13510340412331304598
- Mousseau, Michael. The Democratic Peace Unraveled: It’s the Economy. *International Studies Quarterly* 57, no. 1 (2013): 186–97. Accessed July 5, 2020.
- Owen, John M. Economic Interdependence and Regional Peace. In *International Relations Theory and Regional Transformation*, edited by T. V. Paul, 107–32. Cambridge: Cambridge University Press, 2012. doi:10.1017/CB09781139096836.008.
- Rosato, Sebastian. The Flawed Logic of Democratic Peace Theory. *The American Political Science Review* 97, no. 4 (2003): 585–602. Accessed July 17, 2020. www.jstor.org/stable/3593025.
- Rousseau, David L., Christopher Gelpi, Reiter Dan and Paul K. Huth. Assessing the Dyadic Nature of the Democratic Peace, 1918–88. *The American Political Science Review*. (1996), 90(3), 512–. doi:10.2307/2082606
- Russett, Bruce M. Democracy, War and Expansion through Historical Lenses. *European Journal of International Relations* 15, no. 1 (March 2009): 9–36. doi:10.1177/1354066108100051.
- Russett, Bruce, William Antholis, Carol R. Ember, Melvin Ember, and Zeev Maoz. *Grasping the Democratic Peace: Principles for a Post-Cold War World*. PRINCETON, NEW JERSEY: Princeton University Press, 1993. Accessed November 24, 2020. doi:10.2307/j.ctt7rqf6.
- Russett, Bruce. Bushwhacking the Democratic Peace. *International Studies Perspectives* 6, no. 4 (November 1, 2005): 395–408.
- Toms, Michael R., and JESSICA L. P. WEEKS. Public Opinion and the Democratic Peace. *The American Political Science Review* 107, no. 4 (2013): 849–65. Accessed July 7, 2020.

უსაფრთხოების კვლევები (კოპენჰაგენის სკოლა): თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი

თათია მოსიძე

დოქტორანტი, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი

1. შესავალი

“Security is what actors make of it”

Buzan & Waever, 2003

უსაფრთხოების კვლევები განსაკუთრებით მაღალი ინტერესით სარგებლობს არა მხოლოდ საექსპერტო, არამედ სხვადასხვა სადისკუსიო სივრცეებში, ჩამოყალიბდა რა მსოფლიო მას-მედიისათვის ერთ-ერთ მიმზიდველ თემად. დღეს უსაფრთხოებას უკავშირებენ საკმაოდ ბევრ საკითხს, თუმცა ყოველთვის ასე არ ყოფილა და მან განვითარების საინტერესო გზა გაიარა, რომელიც დღესაც გარდაქმნის ეტაპზეა. უსაფრთხოების კვლევები დიდი ხნის მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობების ქვედარგად მოიაზრებოდა, თუმცა მისგან დამოუკიდებლად ფორმირება ცივი ომის დროს დაიწყო, ხოლო მკვეთრი კონტურები 90-იანი წლებიდან შეიძინა. დღესდღეობით კი მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების კვლევები დამოუკიდებელი მიმართულებაა.

უსაფრთხოების კვლევებში ცივი ომის დროს წამყვანი ე. წ. „ოთხი S“ მიდგომა გახლდათ: სახელმწიფო - უსაფრთხოების მთავარი აქტორი და რეფერენტი, სტრატეგია - რომელშიც მოიაზრებოდა სამხედრო დაგეგმარება, მეცნიერება - ის ზუსტი მეცნიერებები, რომელზეც სამხედრო დაგეგმარება იყო დაფუძნებული და სტატუს კვო - უსაფრთხოება განიხილებოდა ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგს შენარჩუნების საშუალებად. შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოება პირველ რიგში აღიქმებოდა პროდუქტად, რომლის უპირველესი მწარმოებელი და მომხმარებელი სწორედ სახელმწიფო იყო და შესაბამისად, უსაფრთხოების მთავარ სამოქმედო არეალს სამხედრო სექტორი წარმოადგენდა (Williams 2008).

პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელმაც ხაზი გაუსვა უსაფრთხოების წამყვან ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში, გახლდათ ბარი ბუზანის 1983 წელს გამოქვეყნებული წიგნი „ადამიანები, სახელმწიფო და შიში: ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები საერთაშორისო ურთიერთობებში“. აღნიშნული წიგნი ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ოთხი S-დან ორს და ამბობს, რომ უსაფრთხოება არ არის მხოლოდ სახელმწიფოს შესახებ, არამედ დაკავშირებულია ადამიანების კოლექტიურობასთან. ასევე, არ შეიძლება ის შეზღუდული იყოს სამხედრო ძლიერებაზე ფოკუსირებული მემკვიდრეობით. ამის ნაცვლად, ბუზანმა

განავითარა ისეთი სტრუქტურა/ჩარჩო, სადაც განიხილა ხუთი ძირითადი სექტორი, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოებას: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემო (Buzan 1983, 25-27).

და რა არის უსაფრთხოების სფერო? არის ეს მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური საფრთხეები, ინფექციური დაავადებები და გარემოს დეგრადაცია, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები, სამოქალაქო ომები, გენოციდი, ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, ტერორიზმი, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულები, თუ სხვა? გამომდინარე მსოფლიოს სწრაფი, დინამიური განვითარებიდან, უსაფრთხოების კვლევები, რომელიც სამხედრო სფეროთი დაიწყო, შემდეგ გაფართოვდა და გარკვეული სახეცვლილებებით იქნა მოცემული და კვლავ განიცდის ევოლუციას. მაგალითად, დღეს აქტიური კვლევითი დღის წესრიგია, თუ რამდენად შეცვალა კორონავირუსის პანდემიამ უსაფრთხოების გარემო.

როგორ შეიძლება უსაფრთხოების მიღწევა, რა საკითხებია მნიშვნელოვანი და ვინ წყვეტს მათ? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად წინამდებარე ნაშრომში ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების კოპენჰაგენის სკოლის წარმომადგენლების - ბარი ბუზანის, ლენე ჰანსენის, ოლე ვეივერის, ჰოლგერ შტრიცელის, იოანა ნიუმანისა და სხვა მეცნიერების მოსაზრებების გაშუქებას. ასევე, ნაშრომი მიმოიხილავს მომიჯნავე კვლევებსა და ავტორებს.

2. უსაფრთხოების კვლევების ჩამოყალიბება

უსაფრთხოების შესახებ მსჯელობის გაფართოება, კვლევითი დღის წერტილის ჩამოყალიბება დასაკუთრების ცნების (სეკურითიზაციის განმარტება მოცემულია მესამე ქვე-თავში) განვითარება უპირატესად დაკავშირებულია ბარი ბუზანთან და ოლე ვეივერთან. ბუზანის, ვეივერისა და ვილდეს თანანავტორობით 1998 წელს დაიბეჭდა წიგნი „უსაფრთხოება: ახალი ჩარჩო ანალიზისათვის“. წიგნში მოცემული თემები წარმოადგენს დღეს არსებული უსაფრთხოების კვლევების ფუნდამენტს.

უსაფრთხოების საკითხების იდენტიფიცირება ტრადიციონალისტებისთვის უფრო ადვილია და მოიაზრებს სამხედრო საკითხებსა და ძალის გამოყენებას, მაგრამ უფრო რთულია, როდესაც უსაფრთხოების თემები გადის სამხედრო სექტორის გარეთ და ფართო დიაპაზონის საკითხებს ეხება.

2.1 პირველი პერიოდი: ფართო ნინალოგია

დებატები იწყება ცივი ომის პერიოდიდან, რადგან უსაფრთხოების საკითხის გაშუქება მხოლოდ სამხედრო და ბირთვული იარაღის საკითხებით მკვლევართა ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. 1970-80-იან წლებში უსაფრთხოების კვლევების არსებული დღის წესრიგი, სადაც ცენტრალური ადგილი სამხედრო საკითხებს ეკავა, შეიცვალა, რადგან ავტორებმა წინა პლანზე წამოსწიეს გარემოს დაცვისა და ეკონომიკური საკითხები, ხოლო 90-იან წლებში ტრანსნაციონალური დანაშაული (Buzan and Waever 1998).

ტრადიციონალისტების ბანაკიდან სტივენ ვოლტი ტრადიციული დღის წესრიგის შენარჩუნების უპირატესობის არგუმენტს გვთავაზობს. კერძოდ, უსაფრთხოების სწავლება - „არის ომის ფენომენი, რომელიც შეიძლება განიმარტოს, როგორც სწავლება საფრთხის, სამხედრო ძალის კონტროლისა და გამოყენების

შესახებ“.⁷ სამხედრო საკითხების გარდა სხვა სფეროებზე გაფართოების მომხრეებს კი უპირისპირდება იმ არგუმენტით, რომ - უსაფრთხოების სწავლების გაფართოება შეიცავს რისკს, რადგან რთული იქნება კვლევითი საზღვრების დაწესება. ჰაერის დაბინძურება, დაავადებები, ბავშვთა ჩაგვრა, ან ეკონომიკის რეცესიაც შეიძლება დანახული იყოს როგორც გამოწვევა უსაფრთხოებისათვის. ამ გზით უსაფრთხოების განმარტება გაანადგურებს მის ინტელექტუალურ თანმიმდევრობას და უფრო რთული იქნება გამოსავლის პოვნა უსაფრთხოების კონკრეტულ საკითხებზე (Buzan and Waever 1998, 3-4). ეს მიდგომა შეიძლება დანახული იყოს, როგორც ერთგვარი შიში, რომ მსგავსი საკითხებით სამხედრო დომენის გაფართოებას კონტრპროდუქტიული ეფექტი ექნება მთლიანად სოციალური და საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის სტრუქტურაზე და მოწყობაზე.

ტრადიციონალისტების პოზიციის მიუხედავად, უსაფრთხოების კვლევების თანამედროვე განვითარება მოწმობს, რომ სამხედრო სფეროს მიღმა გაფართოება სულ უფრო ლეგიტიმური ხდება. ბუზანისა და სხვა ავტორების ნაშრომებმა ნათელი გახადა, რომ მხოლოდ ერთი მიდგომით უსაფრთხოების დეფინიცია აღარ არის ოპტიმალური, თუმცა, არსებობს კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია, რათა საკითხი განიხილულ იქნას უსაფრთხოების კვლევის დღისწესრიგის ნაწილად.

უსაფრთხოების სრულფასოვანი ანალიზისთვის საჭიროა განვსაზღვროთ/განვმარტოთ ანალიზის დონეები. საერთაშორისო ურთიერთობების სწავლებაში ბუზანი და ვივერი ანალიზის ხუთ დონეს იყენებენ:

- საერთაშორისო სისტემა - მოიცავს უმსხვილეს კონგლომერატებს, ურთიერთქმედით, ან ურთიერთდამოკიდებულ ერთობებს, რომელთაც ზემდგომი სისტემა, ან მთავრობა არ ჰყავთ;
- საერთაშორისო ქვესისტემები - ერთეულების დაჯგუფებები საერთაშორისო სისტემის შიგნით, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს მთლიანი სისტემიდან კონკრეტული ბუნებით, ან ურთიერთქმედების ინტენსივობით, ან თანადამოკიდებულებით ერთმანეთზე. ქვესისტემები შეიძლება იყოს ტერიტორიულად თანმიმდევრული, ამ შემთხვევაში ისინი არიან რეგიონალური (Asean), ან არ იყოს (Organization for Economic Cooperation);
- ერთეულები - აქტორები, რომლებიც შედგებიან სხვადასხვა ქვეჯგუფების, ორგანიზაციების, საზოგადოებებისა და ინდივიდებისგან არიან საკმარისად შეკრული და დამოუკიდებელი, რაც სხვებისგან განასხვავებს მათ. მაგალითად, სახელმწიფოები, ნაციები, ტრანსნაციონალური ფირმები;
- ქვეერთეული - მოიაზრებს ადამიანების ორგანიზებულ ჯგუფებს ერთეულებში, რომლებსაც აქვთ უნარი (ან ცდილობენ) გავლენა მოახდინონ ერთეულის ქცევაზე. მაგალითად, ბიუროკრატები, ლობისტები;
- ინდივიდები - სოციალურ მეცნიერებაში ანალიზის უმეტესობისთვის საყრდენი/ამომავალი წერტილი (Buzan and Waever 1998, 5-6).

უსაფრთხოების სექტორებად დაყოფაზე ფიქრი ცივი ომის ბოლო დეკადაში დაიწყო, როდესაც სამხედრო-პოლიტიკურ დღის წესრიგს ახალი საკითხები დაემატა. ბუზანმა გამოყო ხუთი სექტორი:

- სამხედრო - დაინტერესებულია სახელმწიფოს თავდაცვითი და თავდასხმითი შესაძლებლობებით შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ასევე განიხილავს სახელმწიფოების მოსაზრებებს და მოლოდინებს ერთმანეთზე;
- პოლიტიკური - სახელმწიფოს ორგანიზაციული სტაბილურობა, სამთავრობო სისტემა და იდეოლოგია,

7. პირდაპირი ციტირების თარგმანი და პარაფრაზი ქართულ ენაზე ეკუთვნის წინამდებარე თავის ავტორს.

რაც მათ ლეგიტიმურობას განსაზღვრავს;

- ეკონომიკა - წვდომა რესურსებზე, ფინანსებსა და ბაზარზე, რათა შეიანაჩუნონ/მიადწიონ კეთილდღეობასა და სახელმწიფო ძალაუფლების მისაღებ დონეს;
- სოციალური - ენის ტრადიციული მანერა/ნიმუში, კულტურა, რელიგია, ეროვნული იდენტობა, ჩვეულება, ადათი;
- გარემო - ბიოსფეროს მხრადაჭრა, რაზეც ადამიანური საქმიანობის არაერთი ასპექტია დამოკიდებული.

ამგვარად, შეიცვალა რეფერენტ ობიექტის აღქმა. რეფერენტ ობიექტი განიმარტება როგორც ობიექტი, რომელსაც ემუქრებიან და სჭირდება დაცვა. თუ მანამდე სახელმწიფო იყო უსაფრთხოების მთავარი აქტორიც და რეფერენტიც, დღეს შეიძლება ითქვას, რომ წინ წამოიწია საკითხებმა, რომლებიც ზემოთხსენებული სექტორული დაყოფის შედეგია. დღეს, უფრო მეტად, ვიდრე როდესმე, ადამიანი განიხილება რეფერენტ ობიექტად.

უსაფრთხოების კონცეფცია კოპენჰაგენის სკოლის მიხედვით: ნაწილობრივ გაფართოვდა საფრთხეები და რეფერენტ ობიექტი, განსაკუთრებით სოციალური/იდენტობის უსაფრთხოების მიმართულებით. ყურადღება მიაქცია რეგიონულ დონეს, თუმცა, უმეტესად ფოკუსირდა სეკურიტიზაციაზე. კოპენჰაგენის სკოლის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური უსაფრთხოება დაშენებულია იდენტობის ისეთ კონცეპტუალიზაციაზე, რომელიც იდენტობას განიხილავს როგორც მუდმივას და არა სოციალურად კონსტრუირებულს. ეს მოიაზრებს ფოკუსს იდენტობის შედეგებზე და არა თანმიმდევრულ და პოლიტიკურ პროცესებზე, რომელთა გავლითაც ეს იდენტობები ჩამოყალიბდა. შესაბამისად, კოპენჰაგენის სკოლა კონსტრუქტივიზმთან უფრო ახლოსაა, ვიდრე პოსტსტრუქტურალიზმის პერსპექტივასთან (Buzan and Hansen 2009, 212-217).

მნიშვნელოვანია იმ ექვსი ძირითადი ელემენტის ფორმულირება, რომელსაც კოპენჰაგენის სკოლა გამოყოფს:

ხელშემწყობი გარემოებები - რაც გულისხმობს, რომ მოცემულობა, კონტექსტი, საშუალებას იძლევა ჩვეულებრივი საკითხი საფრთხის გამომწვევ საკითხად გადაიქცეს;

სეკურიტიზაციისკენ ნაბიჯის გადადგმა - მოიაზრებს აქტორის მცდელობას, სიტყვით გამოსვლის შედეგად კონკრეტული საკითხი ეგზისტენციალური საფრთხის მატარებლად წარმოუჩინოს საზოგადოებას;

სეკურიტიზაცია - მოიცავს პროცესს, რომლის დროსაც კონკრეტული საკითხი აღქმულია უსაფრთხოების საკითხად, რაც განპირობებულია ორი ფაქტორის სინთეზით, პირველი, საზოგადოების დარწმუნება და მეორე, ამ მიმართულებით შესაბამისი პოლიტიკური ქმედებების განხორციელება;

დესეკურიტიზაცია - საკითხი და/ან მოქმედი პირები აღარ წარმოადგენენ უსაფრთხოების სფეროს და გადაინაცვლეს ჩვეულებრივი/ნორმალური პოლიტიკის სპექტრში;

რეგიონალური უსაფრთხოების კომპლექსი - ერთეულთა ერთობლიობა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში რომელთა უსაფრთხოების პროცესები და დინამიკა ურთიერთდაკავშირებულია;

უსაფრთხოების სექტორები - ბარი ბუზანის 5 სექტორი. კერძოდ, სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი (McDonald 2008, 70).

2.2 საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევების ევოლუცია

უსაფრთხოება საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკის თეორიტიკოსებმა ვოლკერმა და ვილიამსმა განმარტეს და აღნიშნეს, რომ „უსაფრთხოების კონცეფცია სიღრმისეულ დონეზე არის კონკრეტული გადაწყვეტის გზები მნიშვნელოვან კითხვებზე, რომელიც ეხება საკუთარ და სხვების იდენტობებს, საზღვრებს (ტერიტორიული და სოციალური), მმართველებს, ლეგიტიმურობას და სუვერენიტეტს, ალტერნატიულ კონცეპტუალიზაციას სჭირდება ამ პოლიტიკური სტრუქტურების მნიშვნელობის ჩართულობა და ალტერნატიული კონცეფციების შეთავაზება“⁸ (Buzan & Hansen 2009, 5).

საერთაშორისო უსაფრთხოების სწვალების შესახებ დებატები 60 წელზე მეტია მიმდინარეობს და ძირითადად შემდეგი ოთხი კითხვის გარშემო ვითარდება: რეფერენტ ობიექტი, საფრთხეების მდებარეობა, უსაფრთხოების სექტორი, და უსაფრთხოების პოლიტიკის ხედვა. ასევე, უსაფრთხოების კონცეფციას მხარს უჭერს ისეთი სამი მოსაზღვრე/მომიჯნავე კონცეფციების ფორმა, როგორიცაა: დამატებითი (შეკავება), პარალელური (ძალა) და ოპოზიციური (მშვიდობა) (იქვე, 6).

განვიხილოთ, თითოეული მათგანი:

უნდა იყოს თუ არა პრივილეგირებული სახელმწიფო, როგორც რეფერენტ ობიექტი? - უსაფრთხოება არის რაღაცის შექმნა, რასაც დაცვა სჭირდება, იქნება ეს ეროვნება, სახელმწიფო, ინდივიდი, ეთნიკური ჯგუფი, გარემო თუ თავად პლანეტა. ეროვნული უსაფრთხოებისა და როგორც ადრე ტრადიციონალისტები იტყოდნენ საერთაშორისო უსაფრთხოებაში ნაცია/სახელმწიფო იყო ანალიტიკური და ნორმატიული რეფერენტ ობიექტი. სახელმწიფოს უსაფრთხოება დანახული იყო, სხვა რეფერენტ ობიექტის დაცვის საუკეთესო ინსტრუმენტად. ამდენად, ეროვნული უსაფრთხოება იწოდებოდა როგორც სახელმწიფო უსაფრთხოება. თუმცა, ცივი ომის დროს ეს იყო სახელმწიფოსა და ნაციის უსაფრთხოების შერწყმა, სადაც ნაცია ძლიერ სახელმწიფოს უჭერდა მხარს, სახელმწიფო კი ამის საფასურად იცავდა საზოგადოების ინტერესებსა და ღირებულებებს. სწორედ ეს არის კითხვა - რა და ვინ უნდა იყოს რეფერენტ ობიექტი უსაფრთხოებისათვის? (Buzan & Hansen 2009, 10-11). დღეს ეს კითხვა კიდევ აქტუალურია და კვლევისთვის საინტერესო საგანს წარმოადგეს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოები მნიშვნელოვანი რეფერენტ ობიექტები არიან, თუმცა წინ წამოიწია, ასევე, ადამიანის, ინდივიდის საკითხმა და შეიძლება ითქვას ცენტრმა სწორედ ადამიანზე გადაინაცვლა.

უნდა მოიცავდეს თუ არა როგორც შიდა ისე გარე საფრთხეებს? - სუვერენიტეტი დაკავშირებულია საზღვრებთან. დღეს არსებული დღის წესრიგი ცივი ომისა და საგარეო აგრესიისგან წამოსული საფრთხეების შედეგი უფროა, ვიდრე დებრესიისა და სოციალური რეფორმების. საფრთხეებმა გადაინაცვლა საშინაოდან საგარეოზე და ეროვნულის მაგივრად გახდა საერთაშორისო (იქვე, 11).

არის თუ არა უსაფრთხოება განუყოფლად დაკავშირებული საფრთხეების დინამიკასთან, საშიშროებასთან და უკიდურეს აუცილებლობასთან? - ეროვნული უსაფრთხოება ჩამოყალიბდა ისეთ პოლიტიკურ კლიმატში, სადაც ამერიკა და დასავლეთი საფრთხეს გრძნობდა ოპონენტისგან. ჰერცის (1950) ცნობილი გამოხატულება უსაფრთხოების დილემის შესახებ - „უსაფრთხოება უნდა იყოს კავშირში თავდასხმასთან, დაპყრობასთან, დომინაციასთან - როცა უკიდურესობისკენ გიბიძგებენ - სრულ განადგურებასთან“. მაგალითად, ეს მიდგომა

8. თარგმანი ეკუთვნის ავტორს.

ცივი ომის დროს იყო მენისტრიმული, კერძოდ, საბჭოთა კავშირი - აშკარა საფრთხე, ხოლო ბირთვული იარაღის არსებობა იყო გამართლებული, როგორც თავდაცვა ამ საფრთხისგან. 90-იან წლებში ეს მიდგომა და კავშირი უსაფრთხოებისადმი დარჩა ცენტრალური დებატების საგნად (იქვე, 12-13).

ISS-ის განვითარების ფაქტორად ბუზანმა და ჰენსენმა გამოყვეს ხუთი განზომილება. ესენია: დიდი ძალის პოლიტიკა, ტექნოლოგია, მთავარი მოვლენები, აკადემიური დებატების შიდა დინამიკა და ინსტიტუციონალიზაცია (იქვე, 39). აღნიშნული ხუთი განზომილება ერთგვარი მამოძრავებელი ძალაა ორი მიმართულებით, პირველი - რა საკითხსა და თემებს განიხილავს ხალხი უსაფრთხოების მთავარ პრობლემად, ე.ი. მნიშვნელოვან როლს თამაშობს უსაფრთხოების საკითხების განსაზღვრასა და მათ ფორმირებაში. მეორე - როგორ იწერება ამ საფრთხეების შესახებ. რეალურად, მოცემული ხუთი განზომილება აყალიბებს რომელი ონტოლოგია, ეპისტემოლოგია და მეთოდები მოიაზრება ლეგიტიმურად და რა როლი უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოების მკვლევარებს პოლიტიკურ, აკადემიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დიდი ძალის პოლიტიკა - მილიტარიზებული სუპერძალების ბიპოლარულმა სისტემამ 1940- იანი წლების ბოლოს განაპირობა ISS ფორმაცია, ამერიკა საბჭოთა კავშირის დაპირისპირების ირგვლივ მომდევნო 40 წლის განმავლობაში. სხვა ფენომენიც გამოჩნდა დღის წესრიგში, მესამე სამყაროს უსაფრთხოება, მაგრამ ის იყო სტრუქტურირებული ბიპოლარულობით. 90-იანი წლების შუა პერიოდიდან ჩინეთის საკითხი გახდა მნიშვნელოვანი ამერიკისთვის, კერძოდ, მისი დიდი ეკონომიკური ექსპანსია და ნახევრად მეგობრივი ნახევრად მტრული დამოკიდებულება დასავლეთთან. ის საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხად გადაიქცა, რომლის წონა კიდევ უფრო გაიზარდა და შესაბამისად დებატები მის ირგვლივ. ამ ტენდენციას აშკარად ვხედავთ. კერძოდ, 2020 წლის 23 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ პრესკონფერენციაზე ქალაქ ჰიუსტონში მდებარე ჩინეთის საკონსულოს დახურვის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ჯაშუშების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. ამასთანავე, მან მკაფიოდ გაუსვა ხაზი, რომ კომუნისტური ჩინეთის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი დროის მისიაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინეთი შეცვლის სამყაროს (Pompeo 2020). აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მდივანის ეს გამოსვლა, მეტყველების აქტის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის დროსაც ის კონკრეტული საკითხის სეკურიტიზაციას ცდილობს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 9/11-ის შემდგომ პერიოდს ამერიკის პოლიტიკაში ანალიტიკოსები ახალ ერას უწოდებენ. გლობალურმა ომმა ტერორიზმზე, კიდევ ერთხელ წამოწია წინ რეგიონულ უსაფრთხოებაში გარე ძალების ტრანსფორმაცია და მათი ჩარევა ლოკალურ დონეზე.

ტექნოლოგიური იმპერატივი - არ არის აუცილებელი რომ ტექნოლოგია იყოს სამხედრო, რათა მან გავლენა მოახდინოს ISS-ზე. კითხვა, როგორ ახდენს გავლენას ტექნოლოგია ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სამხედრო და კულტურულ განვითარებაზე დიდი დებატების საგანია. მიუხედავად იმისა, რომ ის არის ერთ-ერთი მამოძრავებელი ISS-ის განვითარების, ის თავად არის სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების გავლენის ქვეშ. ასევე, აგენტი არის ადამიანი, რომელიც განსაზღვრავს, რომელი ტექნოლოგია განავითაროს. მაგალითად, ბირთვული იარაღის განვითარება ცივი ომის დროს განპირობებული იყო ამერიკისა და სსრკ-ს ბიპოლარული დაპირისპირებით (იქვე, 53-54). როგორც ვხედავთ, კომპლექსური უკუკავშირია ტექნოლოგიასა და სხვა მამოძრავებელ ფაქტორებსა და ადამიანის გადაწყვეტილებას შორის.

მოვლენები - მთავარი მოვლენების გარეშე ISS-ის განვითარებაზე საუბარი წარმოუდგენელია. სამი

მოვლენის გამოყოფა შეიძლება: განმსაზღვრელი მოვლენა - პალმერი ამას მასტიმულირებელს ეძახის. მაგალითად პერლ ჰარბორზე იაპონიის თავდასხმა. მნიშვნელოვნად კრიტიკული - ახალი საკითხების წამოწევა დღის წესრიგში მედიის, პოლიტიკური ინიციატივების და სხვათა ზეწოლის მიერ. განსხვავებული კრიტიკული მოვლენა - აქ მოიაზრება ისეთი სახის მოვლენები, რომლებსაც ერთის მხრივ დიდი ყურადღება ექცევა მედიისა თუ პოლიტიკოსების მხრიდან და მეორეს მხრივ თეორია აიგნორებს ან არ განიხილავს ISS-ის ფარგლებში. მაგალითად, ომის დროს გაუპატიურებას, სექსტრაფიკინგს საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა მედიასა და პოლიტიკაში, თუმცა უსაფრთხოების მკვლევარები მათ გენდერულ საკითხებში ნაკლებად ან საერთოდ არ მოიაზრებენ (იქვე, 54-57).

შიდა დინამიკა აკადემიურ დებატებში - პირველი ეხება ეპისტემოლოგიას, მეთოდსა და კვლევის ფოკუსს. მეორე გამოწვეულია სხვა სფეროების განვითარების გავლენით, მაგალითად მათემატიკა, ეკონომიკა, რომელმაც ბირთვული სტრატეგიების პირველი თაობა მოგვცა. მათ შორის თამაშის თეორია, ლინგვისტიკა, სოციალური თეორია, ფემინისტური თეორია, კოგნიტური ფსიქოლოგია, პოლიტიკური თეორია, განვითარება და პოსტ-კოლონიური სწავლება. მესამე - პოლიტიკური და პოლიტიზირებული შეშფოთების ასახვა პოლიტიკურ და ნორმატიულ სტატუსზე უსაფრთხოების მკვლევარებს შორის. მეოთხე - მეტა-ხედვა, რომ სწავლულები გადაწყვეტენ როგორ უნდა განვითარდეს ეს სფერო.

ინსტიტუციონალიზმი - არის მაიდენტიფიცირებელი გზა თუ როგორ ხდება ISS განხორციელება ორგანიზაციული სტრუქტურის რიგებში. დაწყებული უნივერსიტეტიდან, აკადემიურიდან, კვლევითი ცენტრებიდან, think tank-ებისა და პოლიტიკური დღის წესრიგით დამთავრებული.

მოცემულ ხუთ ფაქტორს ეხმიანება პოლ ვეივერი, რომელიც დადებითად აფასებს მათ, თუმცა აღნიშნავს, რომ მათ სჭირდებათ არხი მიკრო სოციოლოგიაში, სადაც ფაქტორები ჩამოაყალიბებენ კვლევას. მათ უნდა იმუშაონ სოციალურ კონტექსტში, ერთმანეთში (Waever 2010).

გარდა ამისა, კრიტიკული შეფასება მოყვა ტექნოლოგიისთვის დიდი როლის მინიჭებას, თუმცა დღეს აშკარაა, რომ ნამდვილად ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს მას, რადგან ის მოიაზრებს ინტერნეტს, კიბერ სივრცეს და დღეს უსაფრთხოების ლიდერ სივრცედ სწორედ ეს მიმართულება ყალიბდება, იქნება ეს კიბერტერორიზმი, კიბერ ომი თუ სხვა. ბუზანი და ჰანსენი აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე ახალ ცვლილებებს ნაკლებად ელიან აკადემიური დებატებისა და ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით, მაგარამ არ ფიქრობენ რომ ის გაქრება. პირიქით, კარს ღიას ტოვებენ ახალი მიდგომებისთვის, ფიქრისთვის. კრიტიკა შეეხო ვილიამსის მხრიდან მეხუთე კითხვის არ არსებობას, კერძოდ - საჯარო და კერძო სფეროს შორის ურთიერთობის თაობაზე. ავტორებმა იმედი გამოთქვეს, რომ ამ საკითხს თავად კრიტიკის ავტორი ან სხვა მკვლევარი განავითარებს, რითაც კიდევ უფრო გამდიდრდება და გაღრმავდება უსაფრთხოების კვლევები (Buzan & Hensen 2010).

2.3. კლასიკური უსაფრთხოების კომპლექსური თეორია

კლასიკური უსაფრთხოების კომპლექსური თეორიის პირველი მონახაზი შექმნა ბუზანმა 1983 წელს თავის წიგნში “ადამიანი, სახელმწიფო და შიში“, როდესაც თეორია მიუსადაგა სამხრეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კვლევას. აღნიშნული თეორია გამოიყენეს სხვა ავტორებმაც, მათ შორის ვეივერმაც, ევროპაში ცივი ომის შემდგომი ტრანსფორმაციის შესწავლისას.

კლასიკური უსაფრთხოების კომპლექსური თეორიის მიხედვით რეგიონული ქვესისტემა უსაფრთხოების ანალიზში ობიექტის სახით უნდა არსებობდეს. ისევე, როგორც, ტრადიციონალისტების ნაშრომების უმეტესობა, აქაც საკვანძო ერთეულია სახელმწიფო და მთავარ სექტორად წარმოდგენილია პოლიტიკა და სამხედრო მიმართულება. კომპლექსური უსაფრთხოება განმარტებულია, როგორც სახელმწიფოთა ნაკრები, რომელთა მთავარი უსაფრთხოების აღქმები და საზრუნავი იმდენად ურთიერთდაკავშირებულია, რომ მათი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა ვერ იქნება გონივრულად გაანალიზირებული ან გადაჭრილი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად (Buzan 1998, 10-11). გამომდინარე იქიდან, რომ უსაფრთხოების კომპლექსები შედგება ლოკალური სახელმწიფოების დაჯგუფებებისგან, კლასიკური უსაფრთხოების კომპლექსები გარდა იმისა, რომ ცენტრალურ როლს თამაშობენ მოცემული დაჯგუფებების წევრთა ურთიერთობაში, ასევე ქმნიან გადამწყვეტ კლიმატს/პირობებს, როგორ და რომელი ძლიერი გარე ძალა შევა/შეიტრება რეგიონში. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების კომპლექსები ქვესისტემებია, რომელთაც საკუთარი სტრუქტურა აქვთ. ბუზანის მიხედვით, სტრუქტურის არსებობისთვის მნიშვნელოვანია სამი კომპონენტი: ერთეულებს შორის შეთანხმება და განსხვავებები მათ შორის; მტრობისა და მეგობრობის ნიმუში/ფორმა (pattern); ძალთა გადანაწილება ძირითად ერთეულებს შორის.

დამატებით, გამოყოფს, ოთხ ძირითად სტრუქტურულ ვარიანტს, რომელიც გავლენას ახდენს კომპლექსური უსაფრთხოების არსებული სტრუქტურის ცვლილებაზე:

- სტატუს კვოს შენარჩუნება - ლოკალური კომპლექსის ძირითადი სტრუქტურა ფუნდამენტურად ხელუხლებელი რჩება, რაშიც მოიაზრება ძალთა გადანაწილება და მტრობის ფორმა. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს, რომ ცვლილება არ მოხდეს, უბრალოდ ეს ცვლილება ემსახურება სწორედ არსებულის შენარჩუნებას;
- შიდა ტრანსფორმაცია - ლოკალური კომპლექსის სახეზეა მაშინ, როდესაც ძირითადი სტრუქტურული ცვლილება ხდება კონტექსტის შიგნით, სადაც უკვე არსებობს გარე საზღვრები. შეიძლება ეს მოხდეს რეგიონული ინტეგრაციის, ძალთა გადანაწილების ცვლილების ან მეგობრობა - მტრობის ჩარჩოში, მთავარი ალტერნატივების ცვლილებით;
- გარე ტრანსფორმაცია - ჩნდება, კომპლექსის ძირითადი სტრუქტურის სახეცვლილებისას, რაც გამოწვეულია არსებული საზღვრების ექსპანსიით ან შემცირებით;
- შეერთება - ერთი ან მეტი გარე ძალა პირდაპირ მიემართება რეგიონული კომპლექსისკენ იმ მიზნით, რომ ადგილობრივი უსაფრთხოების დინამიკა დათრგუნოს, რაც განსხვავდება დიდი ძალის მხრიდან ინტერვენციის ჩვეული პროცესისაგან (იქვე, 13-14).

აღსანიშნავია, რომ მცირედ ცვლილებებს საზღვარზე შეიძლება არ ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ძირითად სტრუქტურაზე. თუმცა, მთავარი/წამყვანი სახელმწიფოს დამატებას, ან განადგურებას არსებითი გავლენა ექნება ძალთა გადანაწილებასა და მეგობრობა-მტრობის ჩარჩოზე.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს კლასიკური უსაფრთხოების კომპლექსური თეორიის გამორჩეული ღირსება, რაც მდგომარეობს შემდეგში - თეორია რეგიონზე ფოკუსირდება, რაც თავის მხრივ განაპირობებს ეროვნული და გლობალური უსაფრთხოების უკიდურესობებიდან ყურადღების გადატანას. თეორიის მიხედვით, სწორედ რეგიონულ დონეზე ურთიერთქმედებენ გლობალური და რეგიონული უსაფრთხოება და შესაბამისად მოქმედებათა დიდი ნაწილი სწორედ მათ შორის იშლება. გარდა ამისა, ეს მიდგომა გვთავაზობს აღწერილობით კონცეფციას, როგორც სტატიკური, ისე დინამიური ანალიზისთვის და უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი

ცვლილებებისთვის განლაგების საწყის ნიშნულებს საერთშორისო უსაფრთხოების სტრუქტურის ფარგლებში. „მას შემდეგ, რაც მოცემული კომპლექსის სტრუქტურა იდენტიფიცირებულია, ის შეიძლება გამოყენებული იქნას ცვლილების შესაძლო ვარიანტების შესამცირებლად“ (Buzan 1998, 14-15).

ბუზანის მიხედვით უსაფრთხოების რეგიონებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

- შედგებიან ორი ან მეტი სახელმწიფოსგან;
- თანმიმდევრული გეოგრაფიული დაკავშირება;
- ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის დაკავშირებულია უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულებით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური;
- უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულების ფორმა უნდა იყოს ღრმა და განგრძობითი (უფრო მეტი, ვიდრე ერთჯერადი ინტერაქცია), მაგრამ არა პერმანენტული (იქვე, 15).

3. სეკურიტიზაცია

რას ნიშნავს ეგზისტენციალური საფრთხე და უკიდურესად საჭირო ღონისძიებები? ეგზისტენციალური საფრთხის გაგება შესაძლებელია რეფერენტ ობიექტთან დაკავშირებით მხოლოდ კონკრეტულ მახასიათებელთან მიმართებაში. ამის უნივერსალური სტანდარტი არ არსებობს. განსხვავებულია დონეებისა და სექტორების მიხედვით. მაგალითად, სამხედროში - შეიარაღებული კონფლიქტისგან გადარჩენა, პოლიტიკურში - სუვერენიტეტი, ასევე იდეოლოგიაც, ეკონომიკურში - გაკოტრება ან უუნარობა დააკმაყოფილო მოსახლეობის საბაზო მოთხოვნილებები, სოციალურში - რელიგია, ერი, იდენტობა; გარემოში - გლობალური დათბობა, კლიმატი, ბიოსფერო და სხვა.

სეკურიტიზაცია ნიშნავს საკითხი იყოს წარმოდგენილი როგორც ეგზისტენციალური საფრთხე, რომელიც მოითხოვს ექსტრემალურ ზომებს, რაზეც ითანხმებ საზოგადოებას და ამართლებ პოლიტიკური პროცედურებით (Waever 1998, 23-24). სეკურიტიზაცია შეიძლება დანახული იქნას როგორც პოლიტიზირების უფრო ექსტრემალური ფორმა. უსაფრთხოება წარმოადგენს თვით მიმართებით პრაქტიკას, რადგან ის, რაც პრაქტიკაში გადაიქცევა ხოლმე უსაფრთხოების საკითხად, არ არის აუცილებელი, რომ რეალურად ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენდეს, არამედ იმიტომ გადაიქცა ასეთად, რომ ის ასე იყო წარდგენილი (Waever 1998, 24-25). როგორც ბუზანი აღნიშნავს, სეკურიტიზაციის ზუსტი განმარტება და კრიტერიუმები დგინდება ინტერსუბიექტური ხელმძღვანელობისგან ეგზისტენციალური საფრთხის თვალშისაცემი საფუძლიანობით, რათა ქონდეს არსებითი პოლიტიკური ეფექტი. გზა, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეისწავლო სეკურიტიზაცია არის დისკურსისა და პოლიტიკური კონსტალაციის კვლევა. საქმე გვაქვს სეკურიტიზაციის შემთხვევასთან, როდესაც აქტორი საკითხის წარმოჩინებას მოახერხებს ეგზისტენციალურად, ჰპოვებს მხარდაჭერას და საკითხის გადაჭრისთვის შეუძლია წესების დარღვევა, რომლის დარღვევაც აქამდე არ შეეძლო. აქვე აღსანიშნავია, რომ თავად დისკურსი, რომელიც წარადგენს რაიმეს როგორც ეგზისტენციალურ საფრთხეს რეფერენტ ობიექტთან მიმართებით თავის მხრივ არ წარმოადგენს სეკურიტიზაციას, არამედ არის სეკურიტიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი. საკითხი სეკურიტიზირებულია მხოლოდ მას შემდეგ რაც/თუ მოიპოვებს საზოგადოების/აუდიტორიის მხარდაჭერას (იქვე, 24-25).

ავტორის მიხედვით, წარმატებულ სეკურიტიზაციას უნდა ქონდეს სამი კომპონენტი: ეგზისტენციალური

საფრთხე, საგანგებო ქმედება, წესების დარღვევით გამოწვეული ეფექტი ერთეულებს შორის ურთიერთობებზე. სეკურიტიზაციის პროცესი არის რასაც ენის თეორიაში უწოდებენ მეტყველების აქტს (speech act). ეს მიდგომა ამბობს, რომ აქტორი ახდენს საკითხის სეკურიტიზაციას - საზოგადოება იღებს მის მტკიცებას/მოთხოვნას. სეკურიტიზაციის აქტორი არის ვიღაც, ან ჯგუფი, რომელიც ასრულებს უსაფრთხოების მეტყველების აქტს. ჩვეულებრივ ესენი არიან პოლიტიკური ლიდერები, ბიუროკრატები, მთავრობის წარმომადგენლები, ლობისტები, გავლენის მქონე ჯგუფები (იქვე, 26).

სეკურიტიზაცია შეიძლება იყოს სახელდახელო (ad hoc) ან ინსტიტუციონალიზებული. ბოლო უფრო ხშირია სამხედრო სექტორში, რადგან კონფლიქტი და ომი განგრძობითა ანუ საფრთხე არის მდგრადი და განმეორებითი და პასუხი ხდება ინსტიტუციონალიზებული. როგორც ავტორი აღნიშნავს, სეკურიტიზაციის მიღება ან არ მიღება ყოველთვის პოლიტიკური გადაწყვეტილება/არჩევანია (იქვე, 27-29).

უსაფრთხოების ანალიზში ცენტრალური ადგილი უკავია, იმ პროცესის დადგენას, რომლის დროსაც კონკრეტული საფრთხეები საკუთარი მნიშვნელობის წინ წამოწევით პოლიტიკურ დღის წესრიგში ხვდებიან (Buzan & Hansen 2009).

იმისათვის, რომ არსებობდეს წარმატებული სეკურიტიზაცია, საჭიროა რამდენიმე ფაქტორი: დროულობა, აუდიტორიის მიმხრობა, გარე რეალობა - საფრთხის მახასიათებლები/ბუნება; ურთიერთობა სპიკერსა და აუდიტორიას შორის; მეტყველების აქტის სოციალური და დისკურსიული კონტექსტი; სეკურიტიზაციის აქტორის პოზიციონირება; უსაფრთხოების მეტყველების აქტის განმეორებადობა/პროცესი (Nyman 2012, 59).

ლენე ჰანსენი გვთავაზობს სეკურიტიზაციის კრიტიკას - the silent security dilemma. მდუმარე უსაფრთხოების დილემა ჩნდება როდესაც უსაფრთხოების პოტენციურ სუბიექტს საერთოდ არ აქვს ან შეზღუდული შესაძლებლობა აქვს ისაუბროს მისი უსაფრთხოების პრობლემებზე. მაგალითად, მუსლიმი ქალი, რომელიც გახდა გაუპატიურების მსხვერპლი, ამ ფაქტის საჯაროდ გამხელისას თავს საფრთხეში იგდებს, რადგან საზოგადოებაში გამეფებული ნორმების გამო დამატებით გახდება ჩაგვრის ობიექტი (Buzan and Hansen 2009, 216). აღნიშნული კრიტიკა მიემართება დასავლურ-ცენტრისტული ვარაუდის ნაკლოვანებას სეკურიტიზაციის თეორიაში, რომელიც უპირობოდ მოიაზრებს გამოხატვის თავისუფლების და ისეთი პოლიტიკური სტრუქტურის არსებობას, რომელიც წარმოადგენს ინდივიდის ძალადობისგან დაცვის გარანტიას როგორც სისტემური, ისე შემთხვევითი ფორმებისგან.

სეკურიტიზაციის საკითხი უსაფრთხოების კვლევების თანამედროვე დღის წესრიგში აქტუალურობით გამოირჩევა. ჩნდება ახალი მოსაზრებები და დამოკიდებულებები. ჰოლგერ სტრიზელმა კოპენჰაგენის სკოლის მიდგომა სტატიკურობის გამო გააკრიტიკა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამ დრომდე არ მომხდარა აქტორისა და აუდიტორიის ურთიერთობის კონცეპტუალიზაცია (Strizel 2014). არ არის ნათელი როდის და რატომ არის რელევანტური ესა თუ ის აუდიტორია ან რომელი უნდა იყოს, ან რა მოხდება თუ სეკურიტიზაციის აქტორი იქნება დიქტატორი. გარდა ამისა, სეკურიტიზაციაში პრობლემად გამოიყო ის ფაქტი, რომ პროცესი და მეტყველების აქტი სინონიმებადაა წარმოჩენილი. როგორც ვეივერი და ბუზანი ამბობენ ისინი არ მიყვებიან რადიკალ პოსტ-სტრუქტურალისტებს, რომლებიც მხოლოდ კონცენტრირდებიან სამეტყველო აქტის ლინგვისტური მახასიათებლების სტრუქტურის სიძლიერებზე, არამედ ისინი მეტყველების ლინგვისტური მახასიათებლის კონცეპტუალიზაციას ახდენენ და განსაზღვრავენ მას, როგორც მხოლოდ შიდა ხელისშემწეობ პირობას. ასევე,

ავტორის მიერ კრიტიკის ობიექტია ზედმეტი სტატიკურობა და დინამიურობის ნაკლებობა. უგულვებელყოფა იმისა, რომ სეკურიტიზაცია პროცესის შედეგად არის ჩამოყალიბებული და წარმოშობილი. აუდიტორიის კონცეფციის კრიტიკისას კი ჩნდება კითხვები თუ ვინ არის ამ აუდიტორიის ნაწილი და ვინ არა? (Balzacq 2005, 171-201).

მიუხედავად იმისა, რომ სეკურიტიზაცია აფართოებს უსაფრთხოების რეფერენტ ობიექტს სახელმწიფოს მიღმა, მაინც სახელმწიფო რჩება პრივილეგირებული – ეს არის საკვანძო კრიტიკა უსაფრთხოების იმ მიდგომის გადასახედიდან, რომელიც ანალიზის მთავარ დონედ ადამიანის დონეს მიიჩნევს (Nyman 2013, 60).

თანამედროვე კვლევებში სეკურიტიზაციის საინტერესო მოსაზრებები წარმოიშვა უსაფრთხოების სწავლებაში გამოსახულების/იმიჯის შემოტანის მიმართულებით. ამაზე პირველად საუბარი მაიკლ ვილიამსმა დაიწყო და განიხილა გზები, რომლითაც გამოსახულება ფუნქციონირებს როგორც კომუნიკაციათა აგენტი. რამდენად მნიშვნელოვანია სურათით გადაცემა და როგორ ეხმარება სურათი განსხვავებულ აუდიტორიას, რა გავლენა აქვს სეკურიტიზაციის შედეგებზე? გავიხსენოთ CNN-ის ეფექტი, რომელმაც გავლენა იქონია 90-იან წლებში ჰუმანიტარული ინტერვენციების განხორციელების დინამიკაზე (Williams 2003). ლენე ჰანსენის მიხედვით, ვიზუალური სეკურიტიზაციისთვის საჭიროა ოთხი კომპონენტი: სურათი, დროული ინტერტექსტუალურობა, დომინანტური პოლიტიკის დისკურსი მოცემულ ქვეყანაში მოცემულ საკითხზე, ლინგვისტური ტექსტი, რომელიც ახსნის კადრს (Hansen 2011, 55). მუჰამედის კარიკატურის კრიზისმა ხაზი გაუსვა ვიზუალური სეკურიტიზაციის არსებობას თანამედროვე უსაფრთხოების კვლევების დღის წესრიგში. ასევე, ნათელი გახდა, რომ სეკურიტიზაცია უსაფრთხოების დიკურსში არ შედის მარტივად, არამედ ეყრდნობა რადიკალიზაციის პროცესს და ჰომოგენიზაციას, რომ მოხდეს მისი სრულფასოვანი და წარმატებული სეკურიტიზაცია.

3.1. მაკრო-სეკურიტიზაცია

ბუზანისა და ვეივერის მიხედვით მაკრო-სეკურიტიზაცია არის უმაღლესი დონის სეკურიტიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ კონტექსტს, რომლის საშუალებითაც ხდება სხვადასხვა აღქმული საფრთხეების ინტერპრეტაცია და მათთვის პრიორიტეტების მინიჭება. მათი მიხედვით სეკურიტიზაცია საერთაშორისო დონეზე, განსხვავდება კლასიკური სეკურიტიზაციისგან რეგიონულ დონეზე (Buzan and Waever 2009).


გამომდინარე იქიდან, რომ მაკრო-სეკურიტიზაციას შეუძლია საერთაშორისო უსაფრთხოების სტრუქტურირება და ამასთანავე ურთიერთობების დაორგანიზება, ის წარმოშობს კონსტალაციას იმ მოცემულ დროს როდესაც მასზე ძლიერი მოთხოვნაა. მაგალითად, ცივი ომის პერიოდი შეიცავდა მაკრო-სეკურიტიზაციის ორ მამოძრავებელ ძალას, როცა ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ხელს უწყობდა ორ უნივერსალისტურ იდეოლოგიას ნულოვანი შეჯიბრებითობისას, რამაც წარმოშვა ცივი ომის კონსტალაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ მაკრო-სეკურიტიზაცია მუშაობს როგორც საერთაშორისო ისე სახელმწიფო დონეზე არის გამუდმებული დაძაბულობა დონეებს შორის, რაც მოწყვლადს ხდის მაკრო საფრთხეებს ან რეფერენტ ობიექტის დესეკურიტიზაციას. მაგალითად ტერორიზმზე ომის მაკრო-სეკურიტიზაციის დესტაბილიზაცია შეიძლება თუ სხვა სახელმწიფოებმა გაიაზრეს, რომ სავარაუდოდ ერთობლივი ბრძოლა

ტერორიზმის წინააღმდეგ უფრო აშშ-ს კონკრეტულ ინტერესებს უკავშირდება ვიდრე გარკვეულ გლობალურ საზრუნავს (იქვე, 256-257).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაკრო-სეკურიტიზაციას აქვს სამი განზომილება (იქვე, 258):

1. ყოვლისმომცველობა;
2. დონეები;
3. მხარდაჭერის ხარისხი.



სურათი 1: მაკრო-სეკურიტიზაცია და უსაფრთხოების კონსტელაციები (Buzan and Waever 2009, 259).

3.2. დესეკურიტიზაცია

როდესაც საუბარია სეკურიტიზაციაზე, აუცილებელია დესეკურიტიზაციის განხილვა. ამ უკანასკნელს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საკითხი გადაინაცვლებს გადაუდებელი ფორმიდან ნორმალური გარიგების პროცესში. გვთავაზობს, რომ ის გახდა სეკურიტიზირებულიდან პოლიტიზირებული, ვიდრე არაპოლიტიზირებული (Hansen 2012). შეესაბამება ოთხი პოლიტიკური ფორმა:

- ცვლილება სტაბილიზაციით - მაგალითად განტვირთვის/განმუხტვის პოლიტიკა ცივი ომის პერიოდი;
- ჩანაცვლება - ამ დროს დესეკურიტიზაცია არის ისეთი კომბინაციის შედეგი, როდესაც ერთი თემა ეთიშება უსაფრთხოების ქოლგას და სხვა საკითხი ხდება სეკურიტიზირებული.

- რეარტიკულაცია - საკითხის სეკურიტიზებულიდან მოხსნა მაშინ როდესაც აქტიურად ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების შეთავაზება საფრთხის და საშიშროების საკითხებზე. განსხვავებით წინა ორისგან, რეარტიკულაცია გვთავაზობს უფრო პირდაპირი, პოლიტიკური ჩართულობის რადიკალურ ფორმას. ამ დროს სახეზეა ფუნდამენტალური საზოგადოებრივი სფეროს ტრანსფორმაცია, რაც თავის მხრივ მოიცავს მტრობა - მეგობრობის გამიჯვნის აღმოფხვრას.
- გაჩუმება - როცა საკითხი საერთოდ ქრება ან ვერ ახერხებს გახდეს უსაფრთხოების დისკურსის მონაწილე (იქვე, 539-545).

3.3. რეგიონი და ძალაუფლება - უსაფრთხოების სტრუქტურის რეგიონალისტური ხედვა

ცივი ომის შემდეგ საერთაშორისო უსაფრთხოების სტრუქტურაში გამოიყო სამი თეორიული მიდგომა:

ნეორეალისტიკური - სისტემა სახელმწიფო ცენტრისტულია და ძალთა ბალანსია მნიშვნელოვანი. ეს მიდგომა მოიაზრებს, რომ სტრუქტურაში მოხდა ცვლილება ბიპოლარულობის დასრულებით. მიმდინარე დომინანტური მოსაზრებით სისტემაში გამოწვეული ეს ცვლილება ფორმირდა შეზღუდული დიაპაზონის ფარგლებში უნიპოლარულსა და მულტიპოლარულს შორის (Buzan and Waever 2003, 6).

გლობალისტიკური - რეალიზმისა და ნეორეალიზმის ანტითეზისია. ის უფრო მეტად ფესვგადგმულია კულტურული, ტრანსნაციონალური და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომებში. ამ მიდგომის ყველაზე ნათელი გამკვეთი არის მსოფლიო პოლიტიკის დეტერიტორიზაცია. სახელმწიფო და სახელმწიფოთა სისტემა აღარ არის მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალური საგანი, არამედ ადგილი აქვს არასახელმწიფო აქტორების და სისტემების მოქმედებას სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით და გარეთ. ტერიტორიულობა და სუპერტერიტორიულობა კომპლექსური ურთიერთქმედებით თანაარსებობენ. გლობალიზაცია ზრდის მცდელობას კოლექტიური უსაფრთხოების პოლიტიკის არსებობისთვის, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე. ამ მოსაზრებების გაძლიერებას ხაზი გაუსვა 9/11-ზე ამერიკის საპასუხო რეაქციებმა. სახელმწიფო ცენტრისტული ჩანაცვლდა ცენტრი-პერიფერია მოდელით. 90-იან წლებში გლობალიზაციამ უფრო მკაფიოდ წარმოშვა სამხედრო-პოლიტიკური სეკურიტიზაცია, სადაც გარკვეული საკითხები ნეორეალიზმის ხედვებს შეერწყა. პერიფერია საფრთხეშია, ცენტრი გახდა შემკვრელი და საერთაშორისო სისტემა უფრო იერარქიული. ამ პერსპექტივით გლობალიზაცია უფრო ნაკლებად ავტონომიური პროცესი და უფრო მეტად წარმოადგენს ამერიკის ჰეგემონობის გამოხატულებას. თუმცა, მულტიპოლარულობის ხედვა არის აქტუალური საგარეო პოლიტიკაში სადაც ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, ირანი, ინდონეზია, ბრაზილია და საფრანგეთი რეგიონულ დიდ ძალებად მოიაზრებიან (იქვე, 7-10).

რეგიონალისტების პერსპექტივა - წარმოადგენს ბარი ბუზანის რჩეულ მიდგომას. მისი მიხედვით, რეგიონალური დონე გახდა კონფლიქტებსა და სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ცენტრი. ასევე, ამ მოსაზრებას ეყრდნობიან მკვლევარები, რომლებიც ცდილობენ ახსნან თანამედროვე უსაფრთხოების საკითხები. მიდგომა ზედაპირულად ორ მოსაზრებას ეყრდნობა: პირველი - სუპერძალებს შორის დაპირისპირების კლება ამცირებს გლობალური ძალების ინტერესის ხარისხს დანარჩენი მსოფლიოსადმი. მეორე - ცივი ომის შემდეგ დიდი ძალების უმეტესობა, ამ ეტაპზე, საერთაშორისო სისტემაში შედარებით მსუბუქ ძალებად გვევლინებიან, რაც ნიშნავს, რომ ისინი შიდა დინამიკამ მოწყვიტა სამხედრო ჩართულობას და სტრატეგიულ შეჯიბრობითობას

მსოფლიოს ისეთ წერტილებში სადაც კონფლიქტებია (იქვე, 10-13). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 9/11-ის შემდეგ საკმაოდ შეიცვალა მსგავსი დამოკიდებულება და დღეს ნამდვილად ვხედავთ რეგიონული გავლენის მოსაპოვებლად დიდი ძალების ჩართულობას სხვა ქვეყნებში, სწორედ სამხედრო მიმართულებით. ამის მაგალითია ერაყის, ავღანეთის, სირიის, იემენის, სომალის და სხვა კონფლიქტები. რეგიონალისტური პერსპექტივა მოიცავს, როგორც ნეორეალისტების, ასევე გლობალისტების ელემენტებს და უპირატესობას ანიჭებს ანალიზის მეორე დონეს.

3.4. რეგიონული უსაფრთხოების მოკლე ისტორია

რეგიონული უსაფრთხოების განვითარების ეტაპი სამ პერიოდად იყოფა: პირველი - 1500-1945 წლები, მეორე - 1945-1989 წლები, მესამე - 1990 წლიდან - დღემდე. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეიქმნას, რას გულისხმობს თითოეული ეტაპი, მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს.

პირველი - უპირატესობა ენიჭება გლობალურ დონეს. მიუხედავად იმისა, რომ იყო რეგიონული, ის განისაზღვრებოდა დიდი ძალების მიერ, რაშიც იგულისხმება გლობალური ოპონენტები ევროპაში, რომელთა რიცხვს ბოლოსკენ ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია დაემატა. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური აზია, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა, ამ დროს ევროპული დიდი ძალებისთვის იყო მათი რეგიონი, შესაბამისად რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა იყო პატარა, მაგრამ გამონაკლისი იყო ის ტერიტორიები, რომლებმაც სრულად არ დაკარგეს დამოუკიდებლობა - ჩინეთი, იაპონია ან თავად შექმნეს ურთიერთდამოკიდებული სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები (იქვე, 15).

მეორე - ცივმა ომმა და დეკოლონიზაციამ წინააღმდეგობრივი ეფექტი შექმნა. დეკოლონიზაციამ გამოიწვია ახალი სახელმწიფოების დიდი ტალღა, რითაც საშუალება მისცა რეგიონული უსაფრთხოების დინამიკას დაეწყო მოქმედება სწორედ ამ ახალ დამოუკიდებელ აქტორებს შორის, განსაკუთრებით კი აფრიკაში. მეორეს მხრივ, აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება. ორივე ძალამ მალე დაინახა მესამე სამყაროს მნიშვნელობა და ის ფაქტიურად გადაიქცა მათი დაპირისპირებისათვის მნიშვნელოვან არენად, როგორც სამხედრო, ასევე იდეოლოგიური კუთხით. გამომდინარე იქიდან, რომ მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის უმეტესად მეტოქეობასა და ინტენსიურ ბრძოლებს ქონდა ადგილი (სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ აფრიკა), შეიძლება ითქვას, რომ მათი RSCs ჩამოყალიბდა სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების საფუძველზე (იქვე, 15-17).

მესამე - ცივი ომის შემდეგ რეგიონულ უსაფრთხოებაზე ზეგავლენა სამმა ფაქტორმა მოახდინა: 1) სუპერძალით ევროპის გადაფარვის ცვლილება, გარღვევა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში. სსრკ-ს ფიასკო და 15 ახალი სახელმწიფოს RSC-ის თამაშში შემოსვლა. კერძოდ, საერთაშორისო სისტემა ბიპოლარულიდან გახდა უნიპოლარული (ამერიკის ჰეგემონია). 2) იდეოლოგიური კონფრონტაციის მოცილება და სსრკ-ს სურათიდან გაქრობა, რამაც მნიშვნელოვანად შეცვალა გლობალური ძალების შეღწევის ბუნება და ინტენსივობა მესამე მსოფლიოს ქვეყნების RSCs-ში. 3) საკითხების ახალი დიაპაზონი, რომლებიც სამხედრო სფეროს ფარგლებს სცილდება. რეალურად, უსაფრთხოების დღის წესრიგი შეიცვალა არასამხედრო აქტორებისა და საკითხების სცენაზე შემოსვლით.

გარდა ამისა, ცივი ომის შემდგომ სამყაროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია დაემატა -

საერთაშორისო სისტემა დაიყო ორ სამყაროდ: მშვიდობისა და კონფლიქტის ზონად. პირველ მათგანში მოიაზრება დასავლური ქვეყნებისა და მათი მოკავშირე სახელმწიფოების ერთობლიობა, სადაც წუხილი სამხედრო უსაფრთხოების ფარგლებს მნიშვნელოვნად სცილდებოდა და უფრო არა სამხედრო საკითხებით შემოიფარგლებოდა. მშვიდობის ზონის ქვეყნები შორ პერსპექტივაში ერთმანეთში სამხედრო დაპირისპირებას არ განიხილავდნენ. მაშინ როდესაც, კონფლიქტის ზონის ქვეყნებისთვის სამხედრო სახის საფრთხე არ გამქრალა და ის კვლავ ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგ რეგიონში კონფლიქტური RSC - ი მათი დღის წერიგის განმსაზღვრელად გვევლინება, მაშინ როდესაც სხვა რეგიონებში RSC - ი ჩამოყალიბდა უსაფრთხოების რეჟიმად ან უსაფრთხოების საზოგადოებად, რამაც განაპირობა, უსაფრთხოების საკითხების გასვლა სამხედრო სფეროს მიღმა (იქვე, 17-20).

ნათელია, რომ ცივი ომის შემდეგ, რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა თვალსაწიერს აფართოებს. 9/11 - ის ტერაქტების სერია, უახლესი გამოწვევა კოვიდ-19-ის სახით, ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე სახელმწიფოს შორის ურთიერთობების დარეგულირება, ან პირიქით. მაგალითად, 2020 წლის 15 სექტემბერს, ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებული შტატების მედიატორობით ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას ისრაელს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ბაჰრეინს შორის (Lubold and Schwartz 2020). 2020 წლის 23 ოქტომბერს კი ისრაელსა და სუდანს შორის შედგა ურთიერთობების ნორმალიზება (Gearan and Hendrix 2020), რომელთა რიცხვს მალევე მაროკო დაემატა (Holland 2020). გარდა ამისა სპარსეთის ყურის 41-ე სამიტს 2017 წლის შემდეგ პირველად დაესწრო კატარის ემირიც, სადაც საუდის არაბეთსა და კატარას შორის საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო საზღვრების გახსნის შესახებ გაკეთდა განცხადება (Yee and Crowley 2021). მეორეს მხრივ საყურადღებოა ირანის მხრიდან კიდე უფრო გაზრდილი აგრესია ისრაელისადმი, ასევე ღიად ურანის 20%-მდე გამდიდრების პროცესის დაწყება (Emmott 2021) და არამარტო. იმდენად დინამიურია მიმდინარე პროცესები, რომ თანმიმდევრული და სწორი შეფასებები - რა გარემოებები განაპირობებენ ან მოახდენენ ზეგავლენას რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურის ფორმირებაზე, ყოველდღიურ დაკვირვებას მოითხოვს.

4. რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია - RSCT

RSCT-ის ცენტრალური იდეის მიხედვით, ვინაიდან საფრთხეთა უმეტესობა გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოსაა, უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულება როგორც წესი ჩამოყალიბებულია რეგიონულ კლასტერებად, რომელსაც უსაფრთხოების კომპლექსი ეწოდება. RSCT-ი იყენებს მატერიალისტებისა და კონტრუქტივისტების მიდგომების ნაზავს. მატერიალისტების მხრიდან - შემოსაზღვრული ტერიტორიალობის იდეას და ძალთა გადანაწილებას, რაც ნეორეალიზმთან არის ახლოს. ხოლო, კონსტრუქტივისტებიდან - სეკურიტიზაციის თეორიას, რომელიც ფოკუსირდება პოლიტიკურ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება უსაფრთხოების საკითხი, სადაც მტრობა და მეგობრობა არის დამოუკიდებელი ცვლადები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სეკურიტიზაციის პროცესი არსებითად ღიაა და მასზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები. RSCT გვთავაზობს კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ახდენს უსაფრთხოების რეგიონის ტიპების კლასიფიკაციას, შესაბამისად გვთავაზობს შედარებითი სწავლების ბაზის რეგიონულ უსაფრთხოებაში. გარდა ამისა, ძალუძს დაავიწროვოს შესაძლო შედეგები რეგიონის მოცემული ტიპისთვის და პროგნოზირების უნარიტაც ხასიათდება (Buzan and Waever 2003, 4).

როდესაც საუბარია რეგიონული უსაფრთხოების თეორიაზე, მნიშვნელოვანია იდენტიფიცირდეს ის მთავარი ცვლადები, რომლებიც განსაზღვრავს მას. ბარი ბუზანმა 2003 წელს ოლე ვეივერთან ერთად გამოცემულ წიგნში „Regions and Power: the Structure of International Security” ისაუბრა RSCT-ის ძირითად მახასიათებლებზე, რომელთაც ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე კვლევების დროს.

რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია რამდენიმე ძირითადი ცვლადით ხასიათდება:

- ✓ მტრობა-მეგობრობის განგრძობითი ჩარჩო, სადაც გამოკვეთილია მტრობის ისტორიული მომენტი ლოკალურ დონეზე. მაგალითად, ბერძნები და თურქები, ან კულტურული საკითხი, მაგალითად, არაბები, ევროპელები;
- ✓ ურთიერთქმედება ანარქიული სტრუქტურის, ძალთა ბალანსის შედეგებსა და ადგილობრივ გეოგრაფიულ მოცემულობას შორის. გეოგრაფიული განზომილება უსაფრთხოების ურთიერთქმედებაზე დიდ გავლენას ახდენს, განსაკუთრებით სამხედრო, პოლიტიკურ, სოციალურ და გარემო სექტორებზე. აქ ძირითადი წესია, რომ მომიჯნავეობა ზრდის უსაფრთხოების ინტერაქციას.
- ✓ უსაფრთხოების ანალიზისას ლოკალური ფაქტორებისთვის სათანადო ღირებულების მიცემა.
- ✓ ძირითადი დათქმაა, რომ უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულებას ახასიათებს რეგონალური ტენდენცია, რომელიც ერთეულების ძალების მიერ არის განსაზღვრული (Buzan and Waever 2003, 45-50).

RSCT-ის მთავარი სტანდარტული ფორმა შეჯამების სახით ასე გამოიყურება: შეჯიბრობითობა, ძალთა ბალანსი, ალიანსი მთავარ ძალებს შორის რეგიონს შიგნით, რასაც შეიძლება დაემატოს შემდგომი ჩარევა გარე ძალების მიერ (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთი). ასევე, მტრობისა და მეგობრობის ჩარჩო.

აღწერილობითი RSCT-ის წამყვანი ფუნქციაა დაადგინოს რეგიონული უსაფრთხოების ემპირიული კვლევების ჩარჩო, რისთვისაც თეორია გასაზღვრავს რას უნდა მიექცეს ყურადღება ანალიზის სხვადასხვა დონეზე და როგორ უნდა მოხდეს მათი ურთიერთდაკავშირება:

- შიდა, რეგიონს შიგნით სახელმწიფოების მოწყვლადი მხარეები, რა არის საფრთხე;
- სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, რაც აყალიბებს რეგიონს;
- რეგიონის ინტერაქცია მეზობელ რეგიონთან;
- გლობალური ძალის როლი რეგიონში (ურთიერთქმედება რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის) (იქვე, 51).


RSCT-ის კიდევ ერთი მთავარი მიზანია დაადგინოს საწყისი წერტილი, რომლის მიმართაც განისაზღვრება და შეფასდება ცვლილებები რეგიონულ დონეზე. გამომდინარე იქიდან, რომ RSCT არის განგრძობითი ქვესტრუქტურა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული კომპონენტით და აქვს როგორც შიდა სტრუქტურა, ისე გარე საზღვრები, ეს მოცემულობები შეიძლება გამოყენებულ იქნას უწყვეტობისა და განგრძობითობის მონიტორინგისათვის. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს განსხვავდეს მნიშვნელოვანი ცვლილება უმნიშვნელო მოვლენისგან. RSCT-ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრუქტურა ადგენს ოთხ ცვლადს:

- ✓ საზღვრები, რომელიც მას განასხვავებს მეზობლებისაგან;
- ✓ ანარქიული სტრუქტურა - შედეგია ორი ან მეტი ავტონომიური ერთეულისაგან;
- ✓ პოლარულობა - ძალთა გადანაწილება ერთეულებს შორის;
- ✓ სოციალური კონსტრუქცია - ფარავს მტრობისა და მეგობრობის საკითხს ერთეულებს შორის (Buzan

and Waever 2003, 53).


გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია გამოიყოს ბუზანის მიერ ჩამოყალიბებული RSC-ის სამი შესაძლო შეფასება, რომელიც კლასიკური უსაფრთხოების თეორიაში იყო წარმოდგენილი:

- სატატუს კვო - სტრუქტურაში არ აქვს ადგილი მნიშვნელოვან ცვლილებას;
- შიდა ტრანსფორმაცია - სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებაა, ეს შეიძლება იყოს ანარქიულობის, პოლარულობის, დომინანტურობის, მეგობრობისა თუ მტრობის ჩარჩოს ცვლილება;
- გარე ტრანსფორმაცია, გულისხმობს გარე საზღვრების გაფართოებას ან პირიქით, შეიცვალა რეგიონში წევრი და მთლიანი სტრუქტურის ტრანსფორმაცია მოხდა (იქვე, 53).



Map 1. Patterns of Regional Security During the Cold War

სურათი 2: რეგიონული უსაფრთხოების დაჯგუფებები ცივი ომის პერიოდში (Buzan and Waever 2003, xxv)



Map 2. Patterns of Regional Security Post-Cold War

სურათი 3: რეგიონული უსაფრთხოების დაჯგუფებები ცივი ომის შემდგომ პერიოდში (Buzan and Waever 2003, xxvi)

4.1 შემთხვევის ანალიზი რეგიონალური უსაფრთხოების კომპლექსური თეორიის ჭრილში

კონკრეტული შემთხვევის ანალიზი რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორიის მიხედვით მრავლად გვხვდება ახლო აღმოსავლეთის, აზიის თუ ევროპის მაგალითზე (Santini, Diez, Buzan and others). აქ განხილული იქნება სამხერთ კავკასია, რომელიც შედარებით ახალი მცდელობა იქნება და ახალ სივრცეს გააჩენს მომავალი ანალიზის, დისკუსიისა და სიღრმისეული კვლევისთვის.

შეიძლება თუ არა სამხერთ კავკასიას, როგორც ქვერეგიონს, ჰქონდეს უსაფრთხოების კომპლექსური მიდგომა? ამ კითხვაზე პასუხს სწორედ იმ ცვლადების ანალიზის შედეგად მივიღებთ, რომელიც განსაზღვრავს RSTC სტრუქტურას.

პოსტ-საბჭოთა სივრცე შედგება ოთხი ქვერეგიონისგან: ცენტრალური აზია, კავკასია, ბალტიის ქვეყნები და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. თითოეული მათგანის უსაფრთხოების აღქმა და წუხილი დაკავშირებულია ძირითადად რუსეთის ფედერაციასთან, რაც წარმოშობს ფართო უსაფრთხოების კომპლექსს. ბუზანისა და ვეივერის მიხედვით, რეგიონული დინამიკის ბევრი ფაქტორი პოსტ-საბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბებულია რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის გარე ინდიკატორებიდან. მაგალითად, უკრაინის უსაფრთხოება არ არის განპირობებული მარტო შიდა რეგიონით, არამედ გარე რეგიონული აქტორებითაც. საქართველოს შემთხვევაშიც ასეა. სამხერთ კავკასია არ შეესაბამება რეგიონული კომპლექსის თეორიის კრიტერიუმებს, ვერ ახდენს სეკურიტიზაციას ერთი თემის ირგვლივ, რადგან საერთო მიზანი, რომ რეგიონულ

დონეზე უსაფრთხოების აღქმა მოხდეს ერთიანად, არ არსებობს. საქართველოს უსაფრთხოების კომპლექსს განსაზღვრავს რუსეთთან მტრობის ჩარჩო. თუმცა, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში ასე ცალსახად არ არის საქმე. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებობს ისტორიული მტრობის ცვლადი – მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით აქტიურდება. შესაბამისად, მისი ტრანსფორმირების მოლოდინი ძალიან მცირეა, რაც კიდევ ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია, რომ სამხერთ კავკასიას ქონდეს საერთო რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური აღქმა. კონტექსტი და შესაბამისად იქიდან წარმოქმნილი სეკურიტიზირებული საკითხები განსხვავებულია.

თუმცა, თანამედროვე მოვლენები ცხადყოფს, რომ ტრანსფორმაციის მიმართულებით დინამიკა სახეზეა. მაგალითად, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2020 წლის 27 სექტემბერს მთიანი-ყარაბაღის კონფლიქტის ცხელ, ომის ფაზაში გადასვლა და 10 ნოემბერს მოსკოვში 9 პუნქტიანი სამშვიდობო შეთანხმება (Министерство иностранных дел Российской Федерации 2020) ამის თვალსაჩინო მაგალითია. აღნიშნულ შეთანხმებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე და მეოთხე პუნქტი, რომლის მიხედვითაც რუსეთის სამშვიდობო ძალები გამყოფი ხაზისა და ლაჩინის დერეფნის გასწვრივ განლაგდებიან, სულ მცირე ხუთი წლის ვადით (იქვე..). ეს უკანასკნელი პირდაპირ ნიშნავს რეგიონში რუსი მშვიდობისმყოფელების რიცხოვნობის ზრდას, რომლის აღსრულებაც დაუყოვნებლივ დაიწყო (Osborn and others 2020). ამასთან ერთად, თურქეთი ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის ცენტრს რუსეთთან ერთად შექმნის, რაც ოფიციალური ანკარის რეგიონში შემოსვლას ნიშნავს (Özer 2020). ამასთან ემატება 2021 წლის 11 იანვარს მოსკოვში გამართული სამხრეთ-მეზვედრა, ვლადიმერ პუტინი, ილჰამ ალიევი და ნიკოლ ფაშინიანს შორის, სადაც მხარეები შეთანხმდნენ სარკინიგზო და საავტომობილო კავშირის შესახებ სომხეთისა და აზერბაიჯანის გავლით (Юраниец 2021), რაც სამშვიდობო ხელშეკრულების მეცხრე პუნქტის აღსრულების დაწყებას ნიშნავს. გარდა ამისა, აღსანიშნავია თურქეთის პრეზიდენტის მიერ ბაქოში 2020 წლის 10 დეკემბერს რეგიონალური ე. წ. „ექვსეულის პლატფორმის“ ფორმირების ინიციატივის გახდერება, სადაც მოიაზრება შემდეგი ქვეყნები: თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, რუსეთი და ირანი (РИА Новости 2020). მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივა ჯერჯერობით მხოლოდ იდეის დონეზეა გახდერებული, თანამედროვე უსაფრთხოების კვლევებში მეტყველების აქტის მნიშვნელობის ხაზგასმა გვავალდებულებს მსგავს საკითხს მეტად დაუპყვირდეთ. ზემოთ ხსენებული მოვლენები გარკვეულად არის მცდელობა შეიცვალოს რეგიონში უსაფრთხოების საკითხების აღქმა. თუმცა, ჯერჯერობით როდესაც საუბარია სამხრეთ კავკასიის რეგიონზე და ისმის კითხვა, აქვს თუ არა მას უსაფრთხოების კომპლექსური მიდგომა, პასუხი ჯერჯერობით კვლავ უარყოფითია, რადგან საქართველოსთვის მთავარი საფრთხე კვლავ არის რუსეთი, შესაბამისად, რეგიონის ერთიანი პოზიციის ფორმირება, რომელშიც რუსეთი აღარ აღიქმება მთავარ საფრთხედ, ვერ მოხდება. მეორეს მხრივ, ტენდენციები, რომლებიც რუსეთს ყველას საფრთხედ აქცევს ასევეა სახეზე, მაგრამ არა უნიფორმული და უწყვეტი სახით.

გარდა ამისა, გარე აქტორების მიმართულებაც მნიშვნელოვანია. საქართველოს შემთხვევაში დასავლეთი მკვეთრად გამოხატული აქტორია, ხოლო სომხეთთან და აზერბაიჯანთან მიმართებით სხვა სურათია. ასევე, სხვა რეგიონულ წარმომადგენლებთან სამივე ქვეყანას განსხვავებული ურთიერთობა და დამოკიდებულება აქვთ, იქნება ეს ახლო აღმოსავლეთი თუ სხვა. საერთო გადაკვეთის წერტილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს უსაფრთხოების კომპლექსად ჩამოყალიბებისათვის არ გააჩნიათ.

5. დასკვნა

უსაფრთხოების კვლევების თანამედროვე დღის წესრიგი ცოცხალი შესწავლის პროცესის შედეგია, რომელიც დღესაც ღია სივრცეს ტოვებს ახალი მიდგომების განვითარებისთვის. 1940 წლიდან დაწყებული დებატები იმაზე, თუ რა არის წამყვანი უსაფრთხოებაში, რას უნდა მიექცეს ყველაზე დიდი ყურადღება და მიენიჭოს პრივილეგია, დღესაც გრძელდება. იცვლება მხოლოდ მოსაზრებათა ნაკადი, რომელიც სამხედრო ცენტრისტულიდან გაფართოვდა გარემოს, ეკონომიკის, კულტურის, ჯანმრთელობის თუ სხვა მიმართულებებით. ცივი ომის შემდეგ უსაფრთხოება გახდა კონცეფცია, რომელიც წარმოქმნის ახალ სექტორებს, შესაბამისად შეუძლია გააერთიანოს მანამდე დაპირისპირებულ პერსპექტივებზე დებატები.

უსაფრთხოება არ არის სტატიკური, ის პროცესის შედეგად ვითარდება, სადაც სეკურიტიზაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს. მაგალითად, გარემო ადრე არ იყო მნიშვნელოვანი, დღეს კი ის უსაფრთხოების დღის წესრიგის საპატიო კომპონენტია. 2020 წლიდან კი კორონა ვირუსის პანდემიამ მსგავსი დაავადებების მიმართ გაზარდა ყურადღება. რეალურად, მოხდა მისი სეკურიტიზაცია, როგორც ლოკალურ, რეგიონალურ, ისე გლობალურ დონეზე. თუმცა, აქ ჩნდება კითხვა, რომ არ მომხდარიყო კოვიდი დიდი ძალაუფლების მქონე დასავლეთის ქვეყნებში, იქნებოდა კი ის გლობალურ დონეზე უსაფრთხოების დღის წესრიგში შეტანილი? ამაზე მსჯელობა საინტერესოა და კიდევ ერთხელ გამოკვეთს სწორედ წამყვანი სახელმწიფოების როლს უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც იმ თეორიების ჯერაც კონკურენტუნარიანობას, რომლებიც სახელმწიფო-ცენტრული კვლევის ფოკუსით გამოირჩევიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Balzaq, T. 2005. The Three Faces of Securitization: Political Agency, Audience and Context. *European Journal of International Relations* 11 (2).
- Buzan, Barry. 1983. *People, States, and Fear: The National Security Problem in International Relations*. Brighton, Sussex: Wheatsheaf Books.
- Buzan, Barry, and others. 1998. *Security: A New Framework of Analysis*. London: Lynne Rienner
- Buzan, Barry, and Ole Waever. 2003. *Regions and Powers: The Structure of International Security*. Cambridge: Cambridge University Press.
- Buzan, Barry, and Ole Waever. 2009. Macrosecuritisation and Security Constellations: Reconsidering Scale in Securitisation Theory. *Review of International Studies*
- Buzan, Barry, and Lene Hansen. 2009. *The Evolution of International Security Studies* Cambridge: Cambridge University Press.
- Buzan, Barry, and Lene Hansen. 2010. Beyond “The Evolution of International Security Studies?” *SAGE Publications*. Vol.41 (6).
- Diez, Thomas. 2005. Turkey, the European Union and Security Complexes Revisited. *Mediterranean Politics*. Vol 10 (2).
- Emmot, Robin. 2021. EU worried about Iran enrichment, aims to save nuclear accord. Reuters. <https://www.reuters.com/article/us-iran-nuclear-eu-idUSKBN29A166> (ბოლო წვდომა 12/01/2021).
- Gearan Anne and Steve Hendrix. 2020. Sudan and Israel agree to normalize ties, the third such accord since August. *The Washington Post*. https://www.washingtonpost.com/world/middle_east/israel-sudan-peace-normalization-terrorism/2020/10/23/285f53e4-1548-11eb-a258-614acf2b906d_story.html (ბოლო წვდომა 12/01/2021).
- Hansen, Lene. 2011. Theorizing the image for Security Studies: Visual securitization and The Muhammad Cartoon Crisis. *European Journal of International Relations*. Vol 17 (1).
- Hansen, Lene. 2012. Reconstructing desecuritisation: the normative-political in the Copenhagen School and directions for how to apply it. *Review of International Studies*. Vol 38 (3).
- Holland, Steve. 2020. Morocco joins other Arab nations agreeing to normalize Israel ties. Reuters. <https://www.reuters.com/article/israel-usa-morocco/israel-morocco-agree-to-normalize-relations-in-latest-u-s-brokered-deal-idUSKBN28K2CN> (ბოლო წვდომა 12/01/2021)
- Lubold Gordon and Felicia Schwartz. 2020. U.S., Israel, U.A.E., Bahrain Sign Peace Accord. *The Wall Street Journal*. <https://www.wsj.com/articles/u-s-israel-u-a-e-bahrain-sign-peace-accord-11600191303> (ბოლო წვდომა 12/01/2021).

- McDonald, Matt. 2008. Constructivism. Security studies: An introduction. edited by Paul D. Williams. Milton Park, Abingdon, Oxon, U.K.: Routledge.
- Nyman, Jonaas. 2013. Edited by Laura J. Shepherd. Critical Approaches to Security an introduction To theories chapter 5: Securitization theory. New York: Routledge.
- Osborn, Andrew, Nvard, Hovhannisyan, Nailia, Bagirova. 2020. Russian peacekeepers deploy to Nagorno-Karabakh after ceasefire deal. Reuters. <https://www.reuters.com/article/armenia-azerbaijan/russian-peacekeepers-deploy-to-nagorno-karabakh-after-ceasefire-deal-idUSKBN27Q11R> (ბოლო წვდომა 12/01/2021).
- Özer, Sarp. 2020. Staff who will work in the Joint Center went to Azerbaijan. https://www.aa.com.tr/tr/azerbaycan-cephe-hatti/ortak-merkezde-gorev-yapacak-personel-azerbaycana-gitti/2092517?fbclid=IwAR1jgrVKi8HimQy-5FvOq1ZY0i-6nDlj5mH6p6j_FkAnv2QvD4ozcUeAHEgs (ბოლო წვდომა 12/01/2021).
- Pompeo, Mike. 2020. Communist China and the Free World's Future. U.S. Department of State. <https://www.state.gov/communist-china-and-the-free-worlds-future/> (ბოლო წვდომა 24/07/2020)
- Santini, H. Ruth. 2017. A New Regional Cold War in the Middle East and North Africa: Regional Security Complex Theory Revisited. The International Spectator. Vol. 52 (4).
- Stritzel, Holger. 2014. Securitization Theory and the Copenhagen School. European Journal Of International Relations. Vol 13 (3).
- Waeber, Ole. 2010. Towards a Political Sociology of Security Studies. SAGE Publications. Vol.41 (6)
- Williams, M. 2003. Words, Images, Enemies: Securitization and International Politics. International Studies Quarterly 47 (4).
- Williams, D.Paul, ed. 2008. Security Studies: An introduction. Milton Park, Abingdon, Oxon, U.K.: Routledge.
- Yee, Vivian and Michael Crowley. 2021. Saudi Arabia Will Reopen Borders With Qatar, Easing a Regional Rift. The New York Times. <https://www.nytimes.com/2021/01/04/world/middleeast/qatar-saudi-arabia.html> (ბოლო წვდომა 12/01/2021).
- РИА Новости. 2020. Эрдоган предложил создать “платформу шести” на Южном Кавказе. <https://ria.ru/20201210/erdogan-1588641827.html> (ბოლო წვდომა 12/01/2021)
- Юранец, Анна. 2021. Мы настроены на результат»: Путин, Алиев и Пашинян встретились в Москве. Газета.Ru. https://www.gazeta.ru/politics/2021/01/11_a_13432358.shtml (ბოლო წვდომა 12/01/2021).
- Министерство иностранных дел Российской Федерации. 2020. Заявление Президента Азербайджанской Республики, Премьер-министра Республики Армения и Президента Российской Федерации. https://www.mid.ru/ru/foreign_policy/international_safety/conflicts/-/asset_publisher/xIEMTQ3OvzcA/content/id/4419267 (ბოლო წვდომა 12/01/2021).

